

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი  
სამოქალაქო, სამეწარმეო და სხვა კატეგორიის საქმეებზე  
2008 წელი №12

ს ა ს ა რ ჩ ე ლ ო

წ ა რ მ ო ე ბ ა

1. საქმის წარმოების შეწყვეტა
  - საქმის წარმოების შეწყვეტა იურიდიული პირის ლიკვიდაციისას
  - საქმის წარმოების შეწყვეტა მხარეთა მორიგების გამო
  - წარმომადგენლის უფლებამოსილებანი
2. სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვება მხარეთა გამოუცხადებლობის გამო
3. საქმის წარმოების შეჩერება
4. სასამართლო სხდომის ოქმი
  - სასამართლო სხდომის ოქმის შინაარსი
  - შენიშვნები სხდომის ოქმთან დაკავშირებით
5. იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენა
6. კასაციის დასაშვებობა
7. საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა
8. სააპელაციო წესით გასაჩივრებაზე უფლებამოსილი პირი

# 1. საქმის წარმოების შეწყვეტა

## საქმის წარმოების შეწყვეტა მხართა მორიგების გამო

### განჩინება

#ას-95-375-08

10 მარტი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა  
პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),  
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),  
ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

#### აღწერილობითი ნაწილი:

მ. ს-შვილმა სარჩელი აღძრა სასამართლოში მ. კ-ელის მიმართ დანაშაულით მიყენებული მორალური და მატერიალური ზიანის - 20 000 ლარის ანაზღაურების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: 2006 წლის 30 მაისს მოპასუხემ მოსარჩელეს მიაყენა სიცოცხლისათვის საშიში ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება. გორის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 29 იანვრის განაჩენით მ. კ-ელი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულში და შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა.

გორის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 18 ივნისის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით მ. ს-შვილის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, - მ. კ-ელს მის სასარგებლოდ დაეკისრა ზიანის - 1786 ლარის გადახდა, რაც სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში მ. ს-შვილმა გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

სააპელაციო სასამართლოში საქმის 2007 წლის 22 ნოემბერს განხილვისას მხარეებმა განაცხადეს, რომ მათ შორის მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომლის მიხედვით მ.კ-ელი, სასჯელის ამოწურვის შემდეგ - 2009 წლის ივლისში, გადაუხდიდა აპელანტს როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მოპასუხისათვის დაკისრებულ 1786 ლარს, ისე, მორალური ზიანის ასანაზღაურებლად 3014 ლარს, სულ - 5000 ლარს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 22 ნოემბრის განჩინებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3, 372-ე მუხლებით, 218-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მხარეთა შორის დამტკიცდა მორიგება იმ პირობით, რომ მ. კ-ელი 2009 წლის ნოემბრის ბოლომდე მ. ს-შვილს გადაუხდიდა 3014 ლარს, გაუქმდა მოცემულ საქმეზე გორის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 18 ივნისის გადაწყვეტილება და ამავე კოდექსის 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის მიხედვით სამოქალაქო საქმის წარმოება შეწყდა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მ. ს-შვილმა შეიტანა კერძო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და მორიგების პირობების სრულად დამტკიცება, ვინაიდან მხარეთა შორის მორიგება შედგა არა მარტო 3014 ლარზე, რომელიც გასაჩივრებული განჩინებით დამტკიცდა, არამედ - პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მოპასუხისათვის დაკისრებული 1786 ლარის გადახდევინებაზე, ამასთან, მ. კ-ელის გადასახდელი თანხა მთლიანობაში შეადგენდა 5000 ლარს და პალატამ 3214 ლარის ნაცვლად არასწორად მიუთითა 3014 ლარის დაკისრებაზე.

გორის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 18 ივნისის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით მ. ს-შვილის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მ. კ-ელს მის სასარგებლოდ დაეკისრა ზიანის - 1786 ლარის გადახდა, რაც სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში მ. ს-შვილმა გაასაჩივრა სააპელაციო წესით. დანარჩენ ნაწილში გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა.

სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 22 ნოემბრის სხდომის ოქმის თანახმად, მ. ს-შვილმა და მისმა წარმომადგენელმა გ. ტ-შვილმა განაცხადეს, რომ თანახმანი არიან მორიგებაზე იმ პირობით, თუ მ. კ-ელი 2009 წლის ნოემბრის ბოლომდე მ. ს-შვილს გადაუხდიდა გორის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 18 ივნისის კანონიერ ძალაში შესული დაუსწრებელი გადაწყვეტილებით მოპასუხისათვის დაკისრებულ 1786 ლარს და სააპელაციო საჩივრით მოთხოვნილ მორალურ ზიანს - 3014 ლარს, რამაც სულ უნდა შეადგინოს 5000 ლარი. მ. კ-ელმა განაცხადა, რომ თანახმაა მისი პატიმრობის ამოწურვის შემდეგ გადაუხადოს აპელანტს მის მიერ მოთხოვნილი 3014 ლარი. იმავე სასამართლო სხდომაზე მხარეებმა წარადგინეს მორიგების აქტი, რომლის მიხედვით, მ. კ-ელს მ. ს-შვილისათვის 2009 წლის ნოემბრის ბოლომდე მორალური ზიანის ანაზღაურებისათვის უნდა გადაეხადა 3014 ლარი.

**სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლებისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მ. ს-შვილის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ სადავო მორიგების დამტკიცებისას იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლითა და 218-ე მუხლის პირველი ნაწილით, რომლის თანახმად სასამართლომ ყოველნაირად უნდა შეუწყოს ხელი და უნდა მიიღოს კანონით გათვალისწინებული ყველა ზომა, რათა მხარეებმა საქმე მორიგებით დაამთავრონ. დასახელებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ სასამართლო ვალდებულია, კანონით გათვალისწინებული ყოველგვარი შესაძლო საშუალებებით იზრუნოს მხარეთა შორის მორიგების მიღწევისათვის, მათ შორის, განუმარტოს მორიგების სამართლებრივი შედეგები და ხელი შეუწყოს მორიგების პირობები სწორად ჩამოყალიბებას.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ ისე დაამტკიცა მხარეთა მიერ წარდგენილი მორიგების აქტი, რომ არანაირი შეფასება არ მიუცია სასამართლო სხდომის ოქმში დაფიქსირებული მხარეთა განმარტებების და მხარეთა მიერ შედგენილი მორიგების აქტისათვის, რომელთა თანახმად მორიგების საგანს წარმოადგენდა მორალური ზიანი.

ამასთან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის საფუძველზე, სააპელაციო პალატამ, მხარეთა მორიგების გამო, შეწყვიტა რა საქმის წარმოება, პირველი ინსტანციის სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება მთლიანად გააუქმა, რა დროსაც სამართლებრივად სათანადოდ არ შეუფასებია ის გარემოება, რომ მითითებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება მ.კ-ელი-სათვის 1786 ლარის დაკისრების ნაწილში კანონიერ ძალაშია შესული და მასთან დაკავშირებით მხარეთა შორის რაიმე შეთანხმება არ ყოფილა. სასამართლოს მხარეთათვის არც კანონით გათვალისწინებული მორიგების სამართლებრივი შედეგი არ განუმარტავს.

ამდენად, დასახელებული გარემოებები იძლევა ეჭვის საფუძველს, რომ მორიგების აქტში მისი პირობები არასრულად იქნა შეტანილი და, ფაქტობრივად, მორიგება მოიცავდა მხოლოდ მორალურ ზიანს.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გაუქმდეს მხოლოდ კანონით გათვალისწინებული წესით.

საქმის ხელახლა განხილვისას სასამართლომ უნდა გამოარკვიოს, თუ ზუსტად რა პირობებზე შეთანხმდნენ მხარეები და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღოს სათანადო გადაწყვეტილება.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

**დ ა ა დ გ ი ნ ა:**

მ. ს-შვილის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 22 ნოემბრის განჩინება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**მხარეთა მორიგების გამო საქმის წარმოების შეწყვეტა**

**განჩინება**

#ას-308-565-08 13 მაისი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),  
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),  
ლ. ლაზარაშვილი**

**დავის საგანი:** ქორწინების შეწყვეტა, არასრულწლოვანი შვილების საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა, ალიმენტის დაკისრება, ქონების გაყოფა

**აღწერილობითი ნაწილი:**

გ. ო-შვილმა სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხე დ. ო-შვილის მიმართ არასრულწლოვანი შვილების საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრისა და ქორწინების შეწყვეტის შესახებ შემდეგი საფუძვლით: მხარეები იმყოფებოდნენ რეგისტრირებულ ქორწინებაში, რა დროსაც შეეძინათ ორი შვილი - ლ.

და ა. ო-შვილები. წლების მანძილზე მხარეთა შორის ჩამოყალიბდა გაუსაძლისი ურთიერთობა, მოპასუხე სისტემატურად აყენებს შეურაცხყოფას და სასტიკად ეპყრობა ბავშვებს, რის გამოც მხარეთა შორის ქორწინება უნდა შეწყდეს და შვილების საცხოვრებელ ადგილად განისაზღვროს მამის საცხოვრებელი ადგილი.

დ. ო-შვილმა სარჩელი ცნო მხოლოდ ქორწინების შეწყვეტის ნაწილში და შეგებებული სარჩელით მოითხოვა შვილების აღსაზრდელად გადაცემა, ალიმენტის დაკისრება, საცხოვრებელი ფართის გამოყოფა და მოძრავი ქონების გაყოფა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წ. 13 ნოემბრის გადაწყვეტილებით გ. ო-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა - გ. და დ. ო-შვილებს შორის 1991 წ. 24 ოქტომბერს კრასნოიარსკის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ქორწინების სასახლეში #2122 სააქტო ჩანაწერით რეგისტრირებული ქორწინება შეწყდა, არასრულწლოვანი შვილების - 1992 წლის 7 ნოემბერს დაბადებული ლ. ო-შვილისა და 1999 წლის 15 მაისს დაბადებული ა. ო-შვილის საცხოვრებელ ადგილად განისაზღვრა მამის - გ. ო-შვილის საცხოვრებელი სახლი, დ. ო-შვილს უარი ეთქვა შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა დ. ო-შვილმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 21 თებერვლის განჩინებით მხარეებს შორის დამტკიცდა მორიგება შემდეგი პირობებით: გ. ო-შვილი თანახმაა, დ. ო-შვილს გადაუხადოს ყოველთვიურად 10 წლის მანძილზე 100 ლარი, დ. ო-შვილი თანახმაა, შვილების: 1992 წლის 7 ნოემბერს დაბადებული ლ. ო-შვილისა და 1999 წლის 15 მაისს დაბადებული ა. ო-შვილის საცხოვრებელ ადგილად განისაზღვროს მამის - გ. ო-შვილის საცხოვრებელი ადგილი; დ. ო-შვილს ნება დაერთო, შვილებთან ურთიერთობა ჰქონოდა შეუზღუდავად, რაშიც იგულისხმება შვილების დროებით დედასთან წყვანის უფლებაც, მოცემულ საქმეზე გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და საქმის წარმოება შეწყდა. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე და მე-3 მუხლებით, 218-ე მუხლის პირველი ნაწილით, 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტით და მიიჩნია, რომ მორიგების პირობები კანონშესაბამისია.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე გ. ო-შვილმა შეიტანა კერძო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის წარმოების განახლება შემდეგი საფუძვლებით: გასაჩივრებულ განჩინებაში მითითებულია, რომ გ. ო-შვილმა დ. ო-შვილს ყოველთვიურად, 10 წლის განმავლობაში, უნდა უხადოს 100 ლარი, თუმცა განჩინებაში არ დაფიქსირებულა, რომ გ. ო-შვილი დათანხმდა, აღნიშნული თანხა გადაეხადა დ. ო-შვილისათვის ბინის ქირის სახით. აღსანიშნავია, რომ მხარეთა შორის სადავო მორიგება მიღწეულ იქნა სააპელაციო სასამართლოს მხრიდან გ. ო-შვილის მიმართ ზეწოლითა და შვილების აღსაზრდელად დედისათვის მიკუთვნების შიშით. გ. ო-შვილის შესაძლებლობა არ მიეცა, თავისი წარმომადგენლისაგან მიეღო იურიდიული კონსულტაცია იმასთან დაკავშირებით, ევალბოდა თუ არა მას დ. ო-შვილისათვის ყოველთვიურად თანხის გადახდა, ვინაიდან სასამართლომ მისი ინტერესების დამცველი ადვოკატი სხდომათა დარბაზიდან დაითხოვა. ფაქტობრივად, კერძო საჩივრის ავტორს დ. ო-შვილისათვის ყოველთვიურად 100 ლარის გადახდის შესაძლებლობა არ გააჩნია. ამდენად, გასაჩივრებული განჩინება მიღებულ იქნა კანონდარღვევით, ყოველგვარი იურიდიული საფუძვლის გარეშე, რის გამოც უნდა გაუქმდეს.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა კერძო საჩივრის საფუძვლები, გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთება და მიიჩნია, რომ გ. ო-შვილის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მეორე ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, მხარეებს შეუძლიათ, საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მითითებული ნორმა ითვალისწინებს მოდავე მხარეთა მიერ გარკვეული შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში საქმის მორიგებით დამთავრების შესაძლებლობას, რაც ფორმდება წერილობით, მორიგების აქტით, რომელსაც ხელს აწერს ორივე მოდავე მხარე. აღნიშნული ხელმოწერით მხარეები გამოხატავენ თავის ნებას მორიგების აქტში ასახული პირობების მიმართ.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ 2008 წ. 21 თებერვლის სხდომაზე წარმოდგენილი მორიგების აქტი ხელმოწერილია როგორც აპელანტი, ისე, მოწინააღმდეგე მხარის მიერ, რითაც გ. და დ. ო-შვილებმა დაადასტურეს მოცემული დავის მორიგებით დასრულების სურვილი და მხარეთა ნებაში ექვის შეტანის საფუძველზე კერძო საჩივრის ავტორს არ მიუთითებია.

დაუსაბუთებელია კერძო საჩივრის ავტორის მითითება, რომ სააპელაციო სასამართლომ გ. ო-შვილის წარმომადგენელს 2008 წ. 21 თებერვლის სხდომაზე დასწრების უფლება არ მისცა, რის გამოც მხარეს მორიგების პირობებთან დაკავშირებით იურიდიული კონსულტაციის მიღების შესაძლებლობა შეუზღუდა. ზემოხსენებულ სასამართლო სხდომის ოქმში მხარეთა წარმომადგენლების სხდომათა დარბაზიდან დათხოვნის თაობაზე მითითებული არ არის და რაიმე მტკიცებულებით არ დასტურდება.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ სააპელაციო პალატის 2008 წ. 21 თებერვლის სხდომის ოქმის შინაარსი მხარეებს კანონით დადგენილი წესით სადავოდ არ გაუხდიათ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს გ. ო-შვილის მოსაზრებას, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინების კანონდარღვევით გამოტანის თაობაზე.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

**და ა ა დ გ ი ნ ა:**

გ. ო-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.  
თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008წ. 21 თებერვლის განჩინება დარჩეს უცვლელი.

სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**საქმის წარმოების შეწყვეტა მხარეთა მორიგების გამო; წარმომადგენლის უფლებამოსილებანი განჩინება**

#ას-290-547-08

27 მაისი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),  
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),  
ნ. კვანტალიანი**

**კერძო საჩივრის დავის საგანი:** მორიგების აქტის გაუქმება

**აღწერილობითი ნაწილი:**

2006 წლის 20 ივნისს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა მ. ა-მემ მოპასუხე დ. ა-მის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა მისი და მოპასუხის მიწის ნაკვეთებს შორის საზღვრის დადგენა, ღია აივნის გამოიჯვნა, მიწის ნაკვეთზე არსებული შენობა-ნაგებობების მოშლა, აუცილებელი გზის გათავისუფლება და ზიანის ანაზღაურება 1600 ლარის ოდენობით.

მოსარჩელე მიუთითებდა, რომ ქალაქ ქუთაისის სასამართლოს 1998 წლის 3 ივნისის გადაწყვეტილებით იგი ცნობილ იქნა ქუთაისში, ... ქ. #37-ში მდებარე დ. ა-მის სახელზე რიცხული სახლის 2/5-ის მესაკუთრედ. ამავე სასამართლოს 2000 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილებით მ. ა-მის კუთვნილი 2/5 გაიყო რეალურად, ხოლო ეზო დარჩა საერთო სარგებლობაში.

2006 წლის 15 აპრილს მოსარჩელე ოჯახით ჩავიდა ქუთაისში მისი კუთვნილი სახლის 2/5-ში საცხოვრებლად, მაგრამ მოპასუხე და მისი ოჯახის წევრები უთიშავდნენ ელექტროენერგიას, საშუალებას არ აძლევდნენ ესარგებლა წყლის ონკანით და საპირფარეშოთი, რომელიც მდებარეობს საერთო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე.

მოსარჩელეს ასევე არ ჰქონდა საშუალება, ეცხოვრა სასამართლოს მიერ მისთვის მიკუთვნილებული სახლის 2/5-ში, რადგან დ. ა-მე წლების განმავლობაში უსაფუძვლოდ სარგებლობდა მისი ფართით. მოპასუხემ არსებითი ზიანი მიაყენა მოსარჩელის საკუთრებას, რაც გამოიხატა იმაში, რომ მისადები ოთახი გადაუკეთეს სამზარეულოდ, ონკანის და გაზგაყვანილობის მოშლის გამო დაზიანდა კედლები.

გარდა ამისა, მოსარჩელის მითითებით, ეზოში არსებული დამხმარე ნაგებობების კანონიერების საკითხი სადავოა, აღნიშნული შენობა-ნაგებობები, იმ მიზნით, რომ ეზო თავისუფლად არ გამოიჯნულიყო, შეგნებულადაა აშენებული ეზოს დასავლეთით, აგრეთვე დარღვეულია პროექტით გათვალისწინებული პირობები. მ. ა-მემ არაერთხელ მიმართა სასამართლოს დაედგინა დამხმარე ნაგებობების კუთვნილების საკითხი, თუმცა ამას შედეგი არ მოჰყოლია.

სამოქალაქო კოდექსის 176-ე მუხლის თანახმად, მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს შეუძლია მოითხოვოს მეზობელ ნაკვეთზე ისეთი ნაგებობის აშენების ან ექსპლუატაციის აკრძალვა, რომელიც ხელყოფს ნაკვეთით სარგებლობის უფლებას და ეს იმთავითვე აშკარაა. რამდენადაც ზემომითითებული ნაგებობების არსებობა ხელს უშლის მიწის ნაკვეთის გამოიჯვნას, შესაბამისად, მოთხოვნა აღნიშნული ნაგებობების მოშლის შესახებ მართლზომიერია და უნდა დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 3 ნოემბრის საოქმო განჩინებით ქ. ქუთაისის მერია საქმეში ჩაება მესამე პირად დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 30 ნოემბრის განჩინებით მ. ა-მის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, დადგინდა მხარეთა შორის აივნის გამოიჯვნა ფაქტობრივი ფლობის მიხედვით, დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ საქმეზე დადგინდა მიიჩნია, რომ დ. და მ. ა-მეების საერთო საკუთრებას წარმომადგენდა ქ. ქუთაისში, ... და ... ქ. #37/2-ში მდებარე 600 კვ.მ მიწის ნაკვეთი, მხარეები, ფაქტობრივად, სარგებლობდნენ უფრო მეტი მიწის ნაკვეთით, ვიდრე საკუთრებაში გააჩნდათ, ამ მიწის ნაკვეთზე დ. ა-მეს აშენებული ჰქონდა დაუკანონებელი და უნებართვო ნაგებობები. გეგმა-ნახაზის

მიხედვით არ ირკვეოდა, მიწის ნაკვეთის რომელი ნაწილი წარმოადგენდა ქალაქის საკუთრებას და რომელი – მხარეებისას.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, მოცემულ შემთხვევაში მხარე მოითხოვდა სადავო ეზოს საზღვრების გამიჯვნას და დაუკანონებელი ნაგებობების აღებას, რისი გადაწყვეტაც შეუძლებელი იყო ქალაქის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის გამოყოფამდე, რამდენადაც უცნობი იყო ვის ტერიტორიაზე იდგა სადავო შენობა-ნაგებობები.

საქალაქო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია მოსარჩელის მოთხოვნა აუცილებელი გზის გათავისუფლებისა და მისი კუთვნილი სველი წერტილების სარგებლობის ხელშეშლის აღკვეთის ნაწილში, ვინაიდან სასამართლო ადგილზე დათვალიერებით დარწმუნდა, რომ მოპასუხეზე ხელშეშლის აღკვეთის დავალდებულების საფუძველი არ არსებობდა, მოსარჩელის მიერ მითითებული აუცილებელი გზა გათავისუფლებული იყო.

რაც შეეხებოდა მოთხოვნას ზიანის ანაზღაურების ნაწილში, ამასთან დაკავშირებით სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის მიხედვით, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებს და შესაგებელს. მოსარჩელემ კი ზიანის მიყენების ფაქტის დადასტურება ვერ შეძლო.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. ა-მემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება სარჩელის დაუკმაყოფილებელ ნაწილში და ახალი გადაწყვეტილებით მისი სასარჩელო მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილება.

სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის მოსამზადებელ ეტაპზე დაკმაყოფილდა მხარეთა შუამდგომლობა და მოხდა სადავო საცხოვრებელი სახლისა და მიწის ნაკვეთის ადგილზე დათვალიერება, აგრეთვე, ჩატარდა საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 18 დეკემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით მ. ა-მის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, მ. ა-მის სარჩელი დაკმაყოფილდა.

აღნიშნულ დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივარი შეიტანა დ. ა-მემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის არსებითად განხილვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 22 იანვრის განჩინებით დ. ა-მის საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 18 დეკემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და განახლდა საქმის წარმოება.

საქმის სააპელაციო წესით განხილვისას 2008 წლის 19 თებერვლის სხდომაზე მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელმა ი. გ-მემ წარადგინა მორიგების აქტი, რომლის თანახმად, მ. ა-მე და მისი წარმომადგენელი ალექსანდრე თ-შვილი თანახმა არიან, სადავო 600 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან კუთვნილი 2/5 ანუ 240 კვ.მ გამოიყოს შემდეგი სახით: ქალაქ ქუთაისში, ... და ... ქ. #37/2-ში მდებარე სახლის პირველ სართულზე 16.2 კვ.მ სათავსოს რეკონსტრუქციის შედეგად მიღებულ სათავსოებზე ფართით 8 კვ.მ და 7.9 კვ.მ გამყოფი კედლის ცენტრიდან ეზოში, სამხრეთის მიმართულებით არსებულ ბაქანზე და კიბეებზე, ასევე ზეპირკვლის სართულში (პერპენდიკულარულად) საზაფხულო აივნის ფართობზე გაივლოს გამყოფი ხაზი სიგრძით 9.1 მეტრი. გამყოფი ხაზი 90° კუთხით გაგრძელდეს დასავლეთით 9 მეტრი და 10 სანტიმეტრი, რის შემდგომაც გამყოფი ხაზი 90° კუთხით სამხრეთით გაივლოს 4 მეტრსა და 50 სანტიმეტრზე და გაგრძელდეს სამხრეთის მიმართულებით სამეზობლო ღობემდე 4 მეტრით. აღნიშნული გაყოფის შედეგად მ. ა-მეს გამოიყოს 240 კვ.მ მიწის ნაკვეთი მისი სახლთმფლობელობის წილის პროპორციულად. დ. ა-მე და მისი წარმომადგენელი ი. გ-მე თანახმაა, აღნიშნული სახით გამოიყოს 600 კვ.მ სადავო მიწის ფართიდან 240 კვ.მ მ. ა-მის კუთვნილი 2/5-ის პროპორციულად. მ. ა-მეს 240 კვ.მ მიწის ნაკვეთის გამოყენებისათვის ეზოში გასასვლელი ჭიშკარი დარჩეს ... ქუჩიდან, რომლითაც ისარგებლებს დამოუკიდებლად. ეზოში ჩასასვლელი ჭიშკრის მოწყობა დაევალოს მ. ა-მეს. რაც შეეხება სადავო ეზოს ჩასასვლელში არსებულ ჭიშკარს, დ. ა-მე უზრუნველყოფს ჭიშკრის აღებას და გადატანას. გამოყოფილი 240 კვ.მ მიწის ნაწილში სახლის გვერდით არსებული რკინის კონსტრუქცია (ტალავერი), რომელზეც გაშენებულია ვენახი, დარჩეს მ. ა-მის საკუთრებაში. ეზოში მიჯნის გავლება და აივნის გაყოფა, ზეპირკვლის და კიბეების გაყოფა მოხდეს მ. ა-მის მიერ გაღებული ხარჯით. გაყოფის შედეგად დარჩენილი მიწის ნაკვეთი 360 კვ.მ დარჩეს დ. ა-მის საკუთრებაში. მორიგების აქტის დამტკიცებიდან 6 თვის განმავლობაში მ. ა-მე თანახმაა, დ. ა-მემ მოაწყოს მის კუთვნილ 360 კვ.მ მიწის ნაკვეთში ჩასასვლელი ჭიშკარი თავისი ხარჯით. ამ პერიოდის განმავლობაში კი ისარგებლოს ... ქუჩიდან ჩასასვლელი ჭიშკრითა და ეზოთი, რაზედაც დ. ა-მე თანახმაა. გამიჯვნის დასრულებამდე დ. ა-მე თანახმაა, მ. ა-მემ ისარგებლოს ეზოში არსებული წყლის ონკანითა და საპირფარეოთი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 19 თებერვლის განჩინებით სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტიდან გამომდინარე, წარმოდგენილი ზემოაღნიშნული მორიგების აქტი დამტკიცდა და საქმის წარმოება შეწყდა.

სააპელაციო სასამართლოს აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა მ. ა-მემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სააპელაციო სასამართლოში საქმის ხელახალი განხილვისათვის დაბრუნება.

კერძო საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მორიგების აქტის თაობაზე იგი არ ყოფილა ინფორმირებული. მართალია, რწმუნებულების საფუძველზე მისი ინტერესების დაცვას ა. თ-შვილი ახორციელებდა, მაგრამ ამ უკანასკნელისათვის მორიგების უფლებამოსილება არ მიუნიჭებია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლიდან გამომდინარე, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ სასამართლომ საქმე განიხილა ერთ-ერთი მხარის დაუსწრებლად, რომელსაც არ მიუღია შეტყობინება კანონით დადგენილი წესით. ამ შემთხვევაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით მ. ა-ძისათვის არ უცნობებიათ სასამართლო სხდომის დრო, რაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველია.

მორიგების აქტი აშკარად ეწინააღმდეგება კერძო საჩივრის ავტორის ინტერესებს და არღვევს მის უფლებებს, რამდენადაც აღნიშნული აქტით მ. ა-ძეს დაევა ეზოს მიჯნის გავლება და აივნის გაყოფა, ასევე საძირკვლისა და კიბეების თავისი ხარჯებით გაყოფა. მორიგების აქტზე თანდართულ ნახაზით დარღვეულია კერძო საჩივრის ავტორის ნაკვეთის გეომეტრიული ზომები და ნაკვეთის ფორმა.

გასაჩივრებული განჩინებით მ. ა-ძეს ხელი შეეშალა კანონით დადგენილი წესით შეესყიდა ქალაქის ფონდში ჩარიცხული 325 კვ.მ მიწის ნაკვეთი. ქალაქის ადგილობრივმა თვითმმართველობამ მას განუცხადა, რომ მითითებული მიწის ნაკვეთის შესყიდვა მას არ შეეძლო, რადგან მოპასუხეს გასაჩივრებული განჩინებიდან გამომდინარე, უფლება მიეცა ესარგებლა ქალაქის ფონდში არსებული მიწის ნაკვეთით.

მორიგების აქტი უკანონოა იმ მიზეზითაც, რომ ამ აქტს ხელს აწერს თ. ა-ძე, რომელიც მითითებულია მ. ა-ძის წარმომადგენლად, საქმის მასალებში კი მის მიერ თ. ა-ძისათვის წარმომადგენლობის უფლების მიმნიჭებელი დოკუმენტი არ მოიპოვება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 19 თებერვლის განჩინება დატოვებულ იქნეს უცვლელად, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალების თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოწინააღმდეგე მხარის - დ. ა-ძის წარმომადგენელმა ი. გ-ძემ წარადგინა მორიგების აქტი და იშუამდგომლა სასამართლოს წინაშე მისი დამტკიცების თაობაზე, რასაც დაეთანხმა მ. ა-ძის წარმომადგენელი ა. თ-შვილიც. აღნიშნულ მორიგების აქტს ხელს აწერენ მხარეთა წარმომადგენლები ი. გ-ძე და ა. თ-შვილი. საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსარჩელე მ. ა-ძეს თავის წარმომადგენელ ა. თ-შვილისათვის მინიჭებული აქვს უფლებამოსილება საქმის მორიგებით დამთავრებაზე, ამავე უფლებამოსილებით სარგებლობს მოპასუხე დ. ა-ძის წარმომადგენელი ი. გ-ძე. პირველ შემთხვევაში რწმუნებულება გაცემულია უვადოდ, ხოლო მეორე შემთხვევაში რწმუნებულება ვადაშია და მარწმუნებლის ან რწმუნებულის მხრიდან წარმომადგენლობის შეწყვეტის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი საქმეში არ მოიპოვება. მორიგების აქტს ხელს აწერს, აგრეთვე, ქ. ქუთაისის მერიის წარმომადგენელი, რომელიც საქმეში ჩაბმულია მესამე პირად დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 19 თებერვლის განჩინებით წარმოდგენილი ზემოაღნიშნული მორიგების აქტი დამტკიცდა და საქმის წარმოება შეწყდა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს, რომ მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს - ცნოს სარჩელი. კანონის აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, სამოქალაქო სამართალწარმოებაში მოქმედებს დისპოზიციურობის პრინციპი, რაც ნიშნავს, რომ სამოქალაქო სამართალურთიერთობის მონაწილენი ალჭურვილნი არიან თავიანთ უფლებათა თავისუფლად განკარგვის სრული უფლებამოსილებით. მხარეთა თავისუფალ განკარგულებაშია ყველა პროცესუალური საშუალება ამ უფლებამოსილების რეალიზებისათვის: მოსარჩელის ნებაზეა დამოკიდებული დაიწყოს საქმე, არ დაიწყოს ან შეწყვიტოს ნებისმიერ მომენტში, მოპასუხის გადასაწყვეტია, ცნოს ან არ ცნოს სარჩელი, მხარეთა მიერ გონივრული კომპრომისის მიღწევის უნარზეა დამოკიდებული, დაამთავრონ საქმე მორიგებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლი შეიცავს იმ საპროცესო მოქმედებათა ამომწურავ ჩამონათვალს, რომელთა შესრულების უფლებაც არა აქვს წარმომადგენელს სპეციალური მინდობილობის გარეშე. მითითებული ნორმის მიხედვით, წარმომადგენელს შეუძლია დაამთავროს საქმე მორიგებით მხოლოდ მინდობილობაში სპეციალური მითითების შემთხვევაში. მოცემულ დავაში როგორც მოსარჩელემ, ისე, მოპასუხემ მათი წარმომადგენლების ა. თ-შვილისა და ი. გ-ძის მეშვეობით განკარგეს კანონით მინიჭებული უფლებამოსილება საქმის მორიგებით დასრულებაზე, რის შესაბამისადაც მათი აღნიშნული მოქმედება სამართლებრივ შედეგს წარმოშობს. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნული მორიგების აქტი, როგორც მხარეთა წარმომადგენლების მიერ მათი საპროცესო უფლების კანონშესაბამისი რეალიზების შედეგი, ექვემდებარებოდა დამტკიცებას.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, მორიგების აქტის გაუქმების საფუძველი ვერ გახდება კერძო საჩივრის ავტორის მითითება აღნიშნული აქტის დამტკიცების შედეგად მისი უფლებების დარღვევის თაობაზე. მორიგების აქტში ჩამოყალიბებულ პირობებს თავად მხარეები განსაზღვრავენ. სადავო

შემთხვევაში მხარეთათვის კანონით მინიჭებული აღნიშნული საპროცესო უფლების რეალიზება განხორციელდა მათივე წარმომადგენლების მიერ მორიგების აქტზე ხელმოწერის გზით, რის გამოც მ. ა-ძის მსჯელობა მის მიერ დასახელებული პირობების შეუსაბამობის მოტივით აქტის გაუქმების შესახებ საფუძველს მოკლებულია.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მითითებას იმასთან დაკავშირებით, რომ იგი 2008 წლის 19 თებერვლის სასამართლო სხდომაზე (რომელზეც წარდგენილი მორიგების აქტის დამტკიცების გამო საქმის წარმოება შეწყდა), დადგენილი წესით არ იყო მიწვეული. საქმის მასალებით დგინდება, რომ მ. ა-ძე ესწრებოდა წინა სასამართლო სხდომას, 2008 წლის 12 თებერვალს. აღნიშნული სხდომა გადაიდო მ. ა-ძის წარმომადგენელ ა. თ-შვილის შუამდგომლობით, მორიგებისათვის ვადის მიცემის მიზნით, რასაც თავად მ. ა-ძეც დაეთანხმა. აღნიშნულ სხდომაზე ჩამორთმეული გადადების ხელწერილით დგინდება, რომ მ. ა-ძე გაფრთხილებული იყო მომდევნო, 2008 წლის 19 თებერვლის, სასამართლო სხდომის დროის თაობაზე.

მართალია, მორიგების აქტს, როგორც მ. ა-ძის წარმომადგენელი, ალ. თ-შვილთან ერთად ხელს აწერს თ. ა-ძეც, რომელიც არ არის მხარე და არც მ. ა-ძის წარმომადგენელი, მაგრამ ეს ვერ გახდება მორიგების აქტის გაუქმების საფუძველი. გადამწყვეტია ის გარემოება, რომ აღნიშნული მორიგების თაობაზე ნება გამოვლენილია მ. ა-ძის მიერ მისი წარმომადგენლის - ა. თ-შვილის მეშვეობით, რომელიც ხელს აწერს მორიგების აქტს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და კერძო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლით, 419-ე-420-ე მუხლებით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა :**

1. მ. ა-ძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 19 თებერვლის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **საქმის წარმოების შეწყვეტა მხარეთა მორიგების გამო**

#### **განჩინება**

#ას-302-559-08 11 ივნისი, 2008 წ., განჩინება

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),  
რ. ნადირიანი (მომხსენებელი),  
თ. თოდრია**

**დავის საგანი:** საქმის წარმოების შეწყვეტა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2006 წლის პირველ მარტს თ. გ-შვილმა სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მოპასუხე რ. ჯ-შვილის მიმართ და მოითხოვა მოპასუხის უკანონო მფლობელობიდან თბილისში, ... დასახლების #58-ში მდებარე #2 ბინის გამოთხოვა და მისთვის ბინის თავისუფალ მდგომარეობაში გადაცემა. მოსარჩელის განმარტებით, სადავო ბინა საკუთრების უფლებით ირიცხება თავის სახელზე. ზეპირი გარიგების საფუძველზე მოპასუხეს შეუთანხმდა ნასყიდობის ხელშეკრულების დადებაზე, რომელმაც მას გადაუხადა 4500 აშშ დოლარი. მითითებული თანხიდან რ. ჯ-შვილმა მისგან რამდენიმე დღით ისესხა 2000 აშშ დოლარი, თუმცა შემდგომ აღარ დაუბრუნა. აღნიშნულის გამო, მათ შორის მიმდინარეობდა სასამართლოში დავა, რომელიც თბილისის სააპელაციო სასამართლოში მორიგებით დასრულდა. მხარეთა მორიგება ითვალისწინებდა შემდეგ პირობებს:

რ. ჯ-შვილი კისრულობდა ვალდებულებას, თ. გ-შვილისთვის გადაეხადა 2300 აშშ დოლარი 2002 წლის 31 დეკემბრამდე. აღნიშნული თანხის დათქმულ ვადაში მიღების შემდეგ, თ. გ-შვილი თანახმა იქნებოდა, თბილისში, ... VI დასახლების #158/2-ში მდებარე ბინა აღრიცხულიყო რ. ჯ-შვილის



სახელზე. აღნიშნულ ვადაში თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში, რ. ჯ-შვილის პრეტენზია აღარ ექნებოდა სადავო ბინაზე და კისრულობდა ვალდებულებას, ნებაყოფლობით დაეცალა ბინა და გადაეცა თ. გ-შვილისათვის.

მოსარჩელის განმარტებით, მოპასუხემ არ შეასრულა მორიგების პირობები, რის გამოც მოითხოვა კვლავ მის სახელზე რიცხული სადავო ბინიდან რ. ჯ-შვილის გამოსახლება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 21 ნოემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით თ. გ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა - რ. ჯ-შვილის მფლობელობიდან გამოთხოვილ იქნა ქ. თბილისში, ... VI დასახლება #158/2-ში მდებარე ბინა და თავისუფალ მდგომარეობაში გადაეცა თ. გ-შვილს.

რ. ჯ-შვილმა დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე შეიტანა საჩივარი, რომელიც ამავე სასამართლოს 2007 წლის პირველი თებერვლის განჩინებით არ დაკმაყოფილდა და დარჩა ძალაში გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 21 ნოემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და 2007 წლის პირველი თებერვლის განჩინება სააპელაციო წესით გაასაჩივრა რ. ჯ-შვილმა, მოითხოვა მათი გაუქმება და თ. გ-შვილის მიერ მის მიმართ აღძრულ ვინდიკაციურ სარჩელზე, სსკ-ის 273-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველით, საქმის წარმოების შეწყვეტა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 29 იანვრის განჩინებით თ. გ-შვილის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა - გაუქმდა ამ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 21 ნოემბრის დასწრებელი გადაწყვეტილება და ამავე სასამართლოს 2007 წლის პირველი თებერვლის განჩინება; თ. გ-შვილის სარჩელზე, რ. ჯ-შვილის მიმართ უკანონო მფლობელობიდან ქ. თბილისში, ... VI დასახლება #158/2-ში მდებარე ბინის გამოთხოვის თაობაზე, შეწყდა საქმის წარმოება.

სააპელაციო სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია ის გარემოება, რომ თ. გ-შვილსა და რ. ჯ-შვილს შორის არსებულ დავაზე, მხარეთა მორიგების გამო, შეწყდა საქმის წარმოება და აღნიშნული განჩინება შესულია კანონიერ ძალაში. აღნიშნულის გამო, სასამართლომ ჩათვალა, რომ არ არსებობდა ბინიდან გამოსახლების თაობაზე სარჩელის აღძვრის წინაპირობა, ვინაიდან საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში, სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ შეიძლებოდა (სსკ-ის 273-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 29 იანვრის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა თ. გ-შვილის წარმომადგენელმა ზ. ჯ-შვილმა, მოითხოვა მისი გაუქმება იმ საფუძველით, რომ, მართალია, სარჩელი იმავე მხარეებსა და იმავე საგანზე იყო აღძრული, მაგრამ სხვა საფუძველით, კერძოდ, რ. ჯ-შვილის მხრიდან მორიგების პირობების შეუსრულებლობის გამო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 417-ე მუხლის საფუძველზე, აღნიშნული კერძო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად განსახილველად გადაგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ, საქმის ზეპირი განხილვის გარეშე, შეისწავლა საქმის მასალები, კერძო საჩივრის საფუძველები და თვლის, რომ თ. გ-შვილის წარმომადგენელ ზ. ჯ-შვილის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის სასამართლო მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ მხარეები მორიგდნენ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 273-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში, სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ შეიძლება.

საქმის წარმოების შეწყვეტას უკავშირდება ძალიან სერიოზული შედეგი: იმავე სარჩელით სასამართლოში ხელმეორედ მიმართვა დაუშვებელია, იმავე სარჩელში იგულისხმება სარჩელი იმავევე მოთხოვნით, იმავე საფუძველითა და იმავე მხარეებს შორის.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «ბ» ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო, მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით, შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ არსებობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან განჩინება, რომელიც გამოტანილია დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით.

მითითებული მუხლის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტა დასაშვებია, თუ არსებობს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება იმავე სარჩელზე. სარჩელი იგივეა, თუ იგივეა სასარჩელო მოთხოვნა, სარჩელის საფუძველი და იგი აღძრულია იმავე მხარეებს შორის. თუ ერთ-ერთი ელემენტი სხვაა, მაგალითად, მოთხოვნა იგივეა, მაგრამ საფუძველი სხვაა, ან კიდევ ყველაფერი და მათ შორის მოსარჩელე იგივეა, ხოლო მოპასუხე სხვა და ა.შ. სასამართლომ საქმე უნდა განიხილოს.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ თ. გ-შვილსა და რ. ჯ-შვილს შორის არსებული დავა, თ. გ-შვილის სარჩელის გამო, რ. ჯ-შვილის მიმართ რ. ჯ-შვილის უკანონო მფლობელობიდან ქ. თბილისში, ... VI დასახლების #158/2-ში მდებარე ბინის გამოთხოვისა და თ. გ-შვილისათვის

მის თავისუფალ მდგომარეობაში გადაცემის თაობაზე თბილისის საოლქო სასამართლოში მორიგებით დამთავრდა. მხარეთა მორიგება ითვალისწინებდა შემდეგ პირობებს:

რ. ჯ-შვილი კისრულობდა ვალდებულებას, თ. გ-შვილისთვის გადაეხადა 2300 აშშ დოლარი 2002 წლის 31 დეკემბრამდე. აღნიშნული თანხის დათქმულ ვადაში მიღების შემდეგ, თ. გ-შვილი თანახმა იქნებოდა თბილისში, ... VI დასახლების #158/2-ში მდებარე ბინა აღრიცხულიყო რ. ჯ-შვილის სახელზე. აღნიშნულ ვადაში თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში, რ. ჯ-შვილს პრეტენზია აღარ ექნებოდა სადავო ბინაზე და კისრულობდა ვალდებულებას, ნებაყოფლობით დაეცალა ბანა და გადაეცა თ. გ-შვილისათვის.

აღნიშნული მორიგების აქტი დამტკიცდა თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2002 წლის 2 ივლისის განჩინებით, რომლითაც გაუქმდა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და შეწყდა საქმის წარმოება. აღნიშნული განჩინება შევიდა კანონიერ ძალაში.

ასევე დადგენილია, რომ 2006 წლის პირველ მარტს თ. გ-შვილმა სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მოპასუხე რ. ჯ-შვილის მიმართ და მოითხოვა მოპასუხის უკანონო მფლობელობიდან თბილისში, ... დასახლების #58-ში მდებარე #2 ბინის გამოთხოვა და მისთვის ბინის თავისუფალ მდგომარეობაში გადაცემა იმ საფუძველით, რომ მოპასუხემ არ შეასრულა თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების პალატის მიერ განჩინებით დამტკიცებული მორიგების პირობები.

სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობდა ბინიდან გამოსახლების თაობაზე სარჩელის აღძვრის წინაპირობა, ვინაიდან საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში, სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ შეიძლებოდა, რის გამოც შეწყვიტა საქმის წარმოება. აღნიშნულ მოსაზრებას საკასაციო სასამართლო იზიარებს, ვინაიდან მორიგების პირობების შეუსრულებლობა იმავე დავაზე სარჩელის ხელახლა აღძვრის საფუძველს არ წარმოადგენს. მორიგების პირობების შეუსრულებლობა იძულებითი აღსრულების საფუძველია და, შესაბამისად, თ. გ-შვილს შეუძლია მოითხოვს განჩინებით დამტკიცებული მორიგების პირობების იძულებით აღსრულება, სადაც ნათლად არის მითითებული, რომ მორიგების პირობების დარღვევის შემთხვევაში ( 2002 წლის 31 დეკემბრამდე თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში), თ. ჯ-შვილს სადავო ბინაზე პრეტენზია აღარ ექნებოდა. ამასთან, თუკი თ. გ-შვილი თვლის, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2002 წლის 2 ივლისის განჩინების სარეზოლუციო ნაწილი ბუნდოვანია, შეუძლია მიმართოს იმავე სასამართლოს ამ განჩინების განმარტების თაობაზე.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ თ. გ-შვილის წარმომადგენელ ზ. ჯ-შვილის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

თ. გ-შვილის წარმომადგენელ ზ. ჯ-შვილის კერძო არ საჩივარი დაკმაყოფილდეს;

ამ საქმეზე უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 29 იანვრის განჩინება;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**საქმის წარმოების შეწყვეტა მხართა  
მორიგების გამო**

**განჩინება**

#ას-621-846-08

10 სექტემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავითრების საქმეთა  
პალატა**

**შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),  
რ. ნადირიანი (მომხსენებელი),  
თ. თოდრია**

**დავის საგანი:** საქმის წარმოების შეწყვეტა

**აღწერილობითი ნაწილი:**

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 23 მარტის გადაწყვეტილებით ე. და ჯ. ხ-ძეების სარჩელი დაკმაყოფილდა; მათ ქ. ბათუმში, ... ქ. #124-ში არსებული სამკვიდრო ქონებიდან საკუთრების უფლებით გამოეყოთ 28,23 კვ.მ. ასევე, მეუღლესთან ს. ხ-ძესთან ერთად ცხოვრების პერიოდში აშენებული 109,7 კვ.მ-იდან 1/2 ანუ 54,85 კვ.მ. მათ საკუთრებად მთლიანად აღირიცხა 83,08 კვ.მ. მოპასუხე თ. ხ-ძეს დაევალა ამჟამად მეორე სართულზე არსებული კიბისათვის დემონტაჟის გაკეთება და მისი აგება პირველ სართულზე არსებული სამხარეულოს მიმართულებით, რათა მოსარჩელე ჯ. ხ-ძეს მიეცეს საშუალება მოაწყოს თავისუფალი შემოსავლელი თავის საკუთრებაში არსებული ფართის სარგებლობისათვის; მოსარჩელე გ. ხ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა და მას, როგორც მემკვიდრეს, საკუთრების უფლებით გამოეყო სადავო სახლთმფლობელობის პირველ სართულზე არსებული #2 და #4 ოთახები, ამ ოთახებიდან გამოსახლდა მოპასუხე თ. ხ-ძე ოჯახის წევრებთან და შიგ არსებულ საოჯახო ნივთებთან ერთად და ფართი თავისუფალ მდგომარეობაში ჩაბარდა მოსარჩელე გ. ხ-ძეს; მოსარჩელე ჯ. ხ-ძის სარჩელის მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და მას მიეკუთვნა ქ. ბათუმში, ... ქ. #124-ში მდებარე, მის მიერ დაკავებული 318 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, ტექნიკური ნახაზის მიხედვით სახლის პირველ სართულზე არსებული #1 და #3 ოთახები და მეორე სართულზე არსებული #1 და #3<sup>ა</sup> ოთახები, ხოლო უარი ეთქვა მის მოთხოვნას თ. ხ-ძის სარგებლობაში არსებულ მეორე სართულზე განლაგებული #2, 3 და 6 ოთახებისა და 8 კვ.მ დამხმარე ფართის, მისთვის გადაცემის თაობაზე უსაფუძვლობის გამო და იგი საკუთრების უფლებით დარჩა თ. ხ-ძეს.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა თ. ხ-ძემ. შეგებებული სააპელაციო საჩივარი შეიტანეს სასამართლოში გ., ე. და ჯ. ხ-ძეებმა.

საქმე არაერთხელ იქნა განხილული ზემდგომი ინსტანციების სასამართლოების მიერ და ბოლოს, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას მხარეებმა განცხადებით მიმართეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვეს მათ შორის მორიგების დამტკიცება და საქმის წარმოების შეწყვეტა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 24 მარტის განჩინებით მხარეთა შუამდგომლობა მორიგების დამტკიცებისა და საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ დაკმაყოფილდა, გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 23 მარტის გადაწყვეტილება და შეწყდა საქმის წარმოება.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრეს ჯ. და გ. ხ-ძეებმა, მოითხოვეს მისი გაუქმება და საქმის არსებითად განხილვის მიზნით იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობისათვის დაბრუნება იმ საფუძველით, რომ თ. ხ-ძემ ბოროტად გამოიყენა თავისი უფლება და არ შეასრულა მორიგებით ნაკისრი ვალდებულება. კერძო საჩივრის ავტორთა განმარტებით, მათთვის აზრი აღარ აქვს ასეთ მორიგებას, რის გამოც სურთ დავის გაგრძელება სამკვიდრო ქონებიდან კუთვნილი წილის მიღების თაობაზე.

**სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, კერძო საჩივრის საფუძველები და თვლის, რომ ჯ. და გ. ხ-ძეების კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით, შეწყვეტს საქმის წ, თუ მხარეები მორიგდნენ.

მხარეთა მორიგება - ესაა ურთიერთდათმობის გზით მხარეთა შორის დადებული გარიგება, რომელიც ახლებურად განსაზღვრავს მათ უფლებებსა და მოვალეობებს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 273-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში, სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ შეიძლება.

ამავე კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ.

დისპოზიციურობის პრინციპი სამოქალაქო პროცესში, რომელიც სამოქალაქო მატერიალური სამართლის ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპის - ნების ავტონომიის ანარეკლია, ნიშნავს მხარეთა თავისუფლებას განკარგონ თავიანთი მატერიალური და საპროცესო უფლებები.

სამოქალაქო უფლების არსი მდგომარეობს იმაში, რომ ეს უფლება მისი მფლობელის სრულ განკარგულებაშია. პირს შეუძლია ისარგებლოს ამ სიკეთით, გაასხვისოს თავისი უფლება ან საერთოდ უარი თქვას მასზე.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას მხარეებმა განცხადებით მიმართეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვეს მათ შორის მორიგების დამტკიცება და საქმის წარმოების შეწყვეტა.

კერძო საჩივრის ავტორები განმარტავენ რომ, ვინაიდან თ. ხ-მემ ბოროტად გამოიყენა თავისი უფლება და არ შეასრულა მორიგებით ნაკისრი ვალდებულება, მათთვის აზრი აღარ აქვს ასეთ მორიგებას, რის გამოც სურთ დავის გაგრძელება სამკვიდრო ქონებიდან კუთვნილი წილის მიღების თაობაზე. აღნიშნულს საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს, რადგან ჯ. და გ. ხ-მეებმა მორიგებაზე თანხმობით განკარგეს თავიანთი კანონით მინიჭებული უფლება, თავადვე განესაზღვრათ და მიეღოთ გადაწყვეტილება საქმის მორიგებით დამთავრებისა და საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ, რაც დაადასტურეს პირადი ხელმოწერით და ის გარემოება, რომ თ. ხ-მე არ ასრულებს მორიგებით ნაკისრ ვალდებულებას, ვერ გახდება გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი, ვინაიდან კერძო საჩივრის ავტორები უფლებამოსილი არიან, მოითხოვონ ამ განჩინების იძულებითი აღსრულება.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ჯ. და გ. ხ-მეების კერძო საჩივარი უსაფუძვლოა და არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

ჯ. და გ. ხ-მეების კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

ამ საქმეზე უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 24 მარტის განჩინება;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **საქმის წარმოების შეწყვეტა**

#### **განჩინება**

#ას-432-674-08 29 ოქტომბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

თ. თოდრია (მომხსენებელი),

რ. ნადირიანი

დავის საგანი: გარიგების ბათილად ცნობა და ზიანის ანაზღაურება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ლ. ა-შვილის უფლებამონაცვლე ლ. ა-მემ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა ნ. ა-მის მიმართ. საქმეში მესამე პირებად ჩართულ იქნა ეკონომიკის სამინისტრო და სს „თბილისის საერთაშორისო აეროპორტი“. მოსარჩელემ მოითხოვა ლ. ა-შვილსა და სს „თბილისის საერთაშორისო აეროპორტს“ შორის 31.12.1997, 29.12.1998, 01.5.1999, 30.12.1999 წლების თარიღებით გაფორმებული იჯარის ხელშეკრულებების ბათილად ცნობა. მოთხოვნის საფუძველად მითითებულ იქნა იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელე მხარისათვის ცნობილი გახდა, რომ 1997 წლის 4 სექტემბრიდან 1999 წლის 15 სექტემბრამდე „თბილისის საერთაშორისო აეროპორტი“ არ წარმოადგენდა რეგისტრირებულ იურიდიულ პირს, რაც არსებითად ცვლის ხელშეკრულებების პირობათა დარღვევის შემთხვევაში მხარეთა პასუხისმგებლობის სამართლებრივ რეჟიმს, ასევე, მოსარჩელე მხარისათვის ცნობილი გახდა, რომ სადავო საოჯახო ხელშეკრულებები დადებულ იქნა „სახელმწიფო ქონების იჯარით გადაცემისას საიჯარო ქირის განსაზღვრისა და გადახდის წესის შესახებ“ მინისტრთა კაბინეტის 08.01.1995 წლის «#20 დადგენილებით განსაზღვრული წესის დარღვევით კონცესიის გადასახადისა და შეუსაბამოდ მაღალი საიჯარო ქირის დაკისრებით. მოსარჩელის მითითებით, აღნიშნული დადგენილების მოთხოვნათა შესაბამისად, მხოლოდ 29.12.2000 წლის

ხელშეკრულება იქნა გაფორმებული. მოსარჩელის მითითებით მოთხოვნა დაყენებულია არა იურიდიული პირის - სს „თბილისის საერთაშორისო აეროპორტის“ მიმართ, ვინაიდან სააქციო საზოგადოება არ იყო რეგისტრირებული, არამედ არარეგისტრირებული პირის - დირექტორ, ნ. ა-ძის მიმართ, გამომდინარე იქიდან, რომ რეგისტრაციამდე დადებული გარიგებების შესაბამისად, იურიდიული პირის დამფუძნებლები პასუხს აგებენ პერსონალურად როგორც სოლიდარული მოვალეები. სარჩელის მიხედვით, სადავო ხელშეკრულებები უნდა იქნეს ცნობილი ბათილად როგორც მართლსაწინააღმდეგო, ამორალური, ამავე დროს ნებართვის გარეშე დადებული გარიგებები იქიდან გამომდინარე, რომ ქონება - საიჯარო ხელშეკრულების საგანი წარმოადგენდა სახელმწიფოს და არა არარსებული იურიდიული პირის საკუთრებას. ამავე დროს მოსარჩელემ მოითხოვა ზიანის ანაზღაურება უკანონო ხელშეკრულებებით მიღებული მატერიალური დანაკლისის გამო.

31.12.1997, 29.12.1998, 01.05.1999, 30.12.1999 წლების ხელშეკრულებების ბათილად ცნობის, 02.04.1997 წლის ხელშეკრულების კონცესიის გათვალისწინების ნაწილში ბათილად ცნობისა და უკანონოდ დაკისრებული კონცესიის გადასახადის მოპასუხისაგან ანაზღაურების მოთხოვნით სარჩელი ჯერ კიდევ 2000 წელს აღიძრა სს „თბილისის საერთაშორისო აეროპორტის“ მიმართ და საქმე დასრულდა მორიგებით 2001 წლის 6 ივნისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს განჩინებით, თუმცა, მოსარჩელის მითითებით, 2005 წელს აღძრული საქმე არ არის დავაზე იმავე მხარეებს შორის, მაგრამ იმავე საგანზე და მსგავსი საფუძვლით, ამდენად, 2005 წელს აღძრული სარჩელი უნდა იქნეს ცნობილი დასაშვებად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 8 ივლისის განჩინებით საქმე განსჯადობით გადაეცა სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 29 მარტის საოქმო განჩინებით საქმეში მოპასუხედ ნ. ა-ძესთან ერთად ჩაება ეკონომიკური განვითარების სამინისტრო. იმავე სასამართლოს 2007 წლის 16 ივლისის სხდომაზე სარჩელზე მოპასუხედ ჩართულ იქნა სს „თბილისის საერთაშორისო აეროპორტი“, როგორც სადავო ხელშეკრულებათა მხარე, ხოლო ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, როგორც არასათანადო მოპასუხე, ამოირიცხა საქმიდან. მოსარჩელემ ასევე დააზუსტა სარჩელი და მოითხოვა 1997 წლის 2 აპრილისა და 2000 წლის 29 დეკემბრის ხელშეკრულებათა გაუქმება მოქმედების ვადის განსაზღვრის ნაწილში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილებით ლ. ა-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ლ. ა-ძემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 20 მარტის განჩინებით ლ. ა-ძის სარჩელი მოპასუხეების - სს «თბილისის საერთაშორისო აეროპორტისა» და ნ. ა-ძის მიმართ წარმოებით შეწყდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ დადგინდა, ცნო რომ ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 6 ივნისის განჩინებით დამტკიცდა მორიგება მხარეებს - ლ. ა-შვილსა და სს „თბილისის საერთაშორისო აეროპორტის“ შორის და შეწყდა წარმოება საქმეზე #2/66-01, რომელიც აღიძრა ლ. ა-შვილის სარჩელის გამო სს „თბილისის საერთაშორისო აეროპორტის“ მიმართ 31.12.1997, 28.12.1998, 01.05.1999, 30.12.1999 წლების იჯარის ხელშეკრულებების ბათილად ცნობისა და 1997 წლის 2 აპრილის ხელშეკრულების 2007 წლამდე ვადით დადებულად აღიარების, ასევე, 1997 წლის 2 აპრილის ხელშეკრულების ბათილად ცნობის, კონცესიის გადასახადის დაკისრების ნაწილში და უკანონოდ დაკისრებული კონცესიის გადასახადის გამო - მოპასუხისათვის #250 ლარის დაკისრების თაობაზე.

სააპელაციო პალატამ ასევე დადგინდა, ცნო, რომ ლ. ა-შვილის უფლებამონაცვლის - ლ. ა-ძის მიერ 2005 წლის 5 ივლისს აღიძრა სარჩელი ნ. ა-ძის მიმართ. საქმეში მესამე პირებად ჩართულ იქნა ეკონომიკის სამინისტრო და სს „თბილისის საერთაშორისო აეროპორტი“. მოსარჩელემ მოითხოვა 31.12.1997, 29.12.1998, 01.05.1999, 30.12.1999 წლების თარიღებით ლ. ა-შვილსა და სს „თბილისის საერთაშორისო აეროპორტის“ შორის გაფორმებული იჯარის ხელშეკრულებების ბათილად ცნობა, ასევე, ზიანის ანაზღაურება უკანონო ხელშეკრულებებით მიღებული მატერიალური დანაკლისის გამო. საბოლოოდ სარჩელის დაზუსტების შემდეგ დავის მხარეებად დაფიქსირდნენ, ერთი მხრივ, მოსარჩელე ლ. ა-შვილის უფლებამონაცვლე ლ. ა-ძე და, მეორე მხრივ, მოპასუხეები სს «თბილისის საერთაშორისო აეროპორტი» და ფიზიკური პირი ნ. ა-ძე.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ, როგორც 2000 წელს აღძრული, ისე 2005 წელს აღძრული დავის საგანი ანალოგიურია - 31.12.1997, 28.12.1998, 01.05.1999, 30.12.1999 წლების იჯარის ხელშეკრულებათა ბათილად ცნობასა და უკანონო ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურებასთან.

პალატამ მიუთითა, რომ არ შეიძლება, მოთხოვნიდან გამომდინარე, მოსარჩელის მიმართ შესასრულებელი ვალდებულება ჩაითვალოს სხვადასხვად იმის გამო, რომ ერთ შემთხვევაში მოთხოვნა (2000 წლის სარჩელში, ს#2ბ-1891-02) მიმართული იყო მხოლოდ სს „თბილისის საერთაშორისო აეროპორტის“, ხოლო, მეორე შემთხვევაში - ნ. ა-ძის მიმართაც.

საპელაციო პალატამ მიუთითა, რომ სასამართლომ უკვე იმსჯელა 2000 წელს აღძრული სარჩელის საფუძვლებთან დაკავშირებით და შედეგად მიღებული სასამართლოს განჩინებები შესულია კანონიერ ძალაში, დაუშვებელია ხელმეორედ იმავე საკითხზე სასამართლო წარმოების განხორციელება.

საპელაციო პალატის განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ლ. ა-მ და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება. კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, საპელაციო სასამართლომ არასწორად შეწყვიტა საქმის წარმოება, რადგან აღნიშნულ დავაში ასევე მონაწილეობს სხვა პირი, ვის წინააღმდეგაც აღძრულია მოთხოვნა სხვა საფუძველით.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატა კერძო საჩივრის საფუძვლებისა და საქმის მასალების განხილვის შედეგად თვლის, რომ გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

თბილისის საპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 20 მარტის განჩინებით შეწყდა წარმოება საქმეზე, ლ. ა-მის სარჩელის გამო, მოპასუხეების - სს «თბილისის საერთაშორისო აეროპორტისა» და ნ. ა-მის მიმართ იჯარის ხელშეკრულებათა ბათილად ცნობისა და თანხის დაკისრების შესახებ.

საპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული სარჩელი აღძრულია დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და საფუძველით.

კერძო საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ საპელაციო სასამართლომ არასწორად შეწყვიტა საქმის წარმოება, რადგან აღნიშნულ დავაში მონაწილეობს ასევე სხვა პირი, ვის წინააღმდეგაც აღძრულია მოთხოვნა სხვა საფუძველით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «ბ» ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო შეწყვეტს წარმოებას საქმეზე, თუ «არსებობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან განჩინება, რომელიც გამოტანილია დავაზე იმავე მხარეებს შორის იმავე საგანზე და იმავე საფუძველით.»

იმისათვის, რომ სწორი პასუხი გაიცეს კითხვაზე, თუ რამდენად კანონიერად შეწყვიტა საპელაციო სასამართლო საქმის წარმოება, აუცილებელია განვიხილოთ, თუ რა იგულისხმება ზემოაღნიშნულ ნორმაში, რას ნიშნავს იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ სადავოს არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 6 ივნისის განჩინებით დადგენილ იქნა მხარეთა შორის მორიგება, რაც შევიდა კანონიერ ძალაში. აღნიშნული განჩინებით მორიგება შედგა ლ. ა-შვილსა და სს «თბილისის საერთაშორისო აეროპორტს» შორის.

საკასაციო პალატა ამხვილებს ყურადღებას იმ გარემოებაზე, რომ აღნიშნული განჩინებით, მხარეთა მორიგების საფუძველზე შეწყვეტილი საქმის დავის საგანს შეადგენდა 31.12.1997, 28.12.1998, 30.12.1999 წლების იჯარის ხელშეკრულებების ბათილად ცნობა, 1997 წლის 2 აპრილის ხელშეკრულების 2007 წლამდე ვადით დადებულად აღიარება, ასევე, 1997 წლის 2 აპრილის ხელშეკრულების ბათილად ცნობა კონცესიის გადასახადის დაკისრების ნაწილში და უკანონოდ დაკისრებული კონცესიის გადასახადის გამო - მოპასუხისთვის 8250 ლარის დაკისრება.

აღნიშნული მოთხოვნის საფუძველს წარმოადგენდა ის რომ, სადავო ხელშეკრულებები დადებულია იძულებით.

საპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2005 წლის 5 ივლისს აღიძრა სარჩელი ნ. ა-მის მიმართ, ხოლო მესამე პირებად საქმეში მონაწილეობდნენ ეკონომიკის სამინისტრო და სს «თბილისის საერთაშორისო აეროპორტი». აღნიშნული სარჩელის აღძვრისას მოსარჩელე (ლ. ა-შვილის უფლებამონაცვლე ლ. ა-მე) აყენებს იმავე მოთხოვნებს. ა-შვილის უფლებამონაცვლე ლ. ა-მის მიერ აღძრული სარჩელის თანახმად, მოპასუხეს წარმოადგენს პირი, რომელიც არ მონაწილეობდა მხარედ კანონიერ ძალაში შესული განჩინებით შეწყვეტილ საქმეში (ნ. ა-მე), ხოლო სს «თბილისის საერთაშორისო აეროპორტი» წარმოადგენს მოპასუხეს პირველ და მეორე საქმეში.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კანონი მოითხოვს ერთდროულად ყველა სამართლებრივი ელემენტის არსებობას იმისათვის, რომ წარმოიშვას საქმის შეწყვეტის საფუძველი განსახილველი ნორმის მიხედვით.

ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ დავის საგანი იგივეა, რაც 2001 წლის 6 ივნისის განჩინებით შეწყვეტილ საქმეზე, მოთხოვნას უდევს სხვა საფუძველი.

2005 წლის 5 ივლისს აღძრული სარჩელის საფუძველს წარმოადგენს არა ხელშეკრულებათა იძულებით დადების ფაქტი, არამედ ის, რომ სადავო ხელშეკრულებები დადებული იყო არარეგისტრირებულ იურიდიულ პირთან და სახელმწიფო ქონების იჯარით გაცემისას საიჯარო ქირის განსაზღვრისა და გადახდის წესის შესახებ» მინისტრთა კაბინეტის 1995 წლის 8 იანვრის #20 დადგენილების მოთხოვნათა დაცვის გარეშე. ამდენად, 2005 წლის 5 ივლისს აღძრულ სარჩელს გააჩნია ასევე განსხვავებული საფუძველი.

საპელაციო სასამართლომ აღნიშნულ საკითხზე მსჯელობისას მიიჩნია, რომ ამ უკანასკნელი საფუძველით ლ. ა-მე ითხოვდა საქმის წარმოების განახლებას, რაც არ დაკმაყოფილდა, ამდენად აღნიშნული გულისხმობს იმას, რომ 2005 წლის 5 ივლისს აღძრულ სარჩელს ჰქონდა იგივე საფუძველი.

საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს აღნიშნულ მოსაზრებას და განმარტავს, რომ დაუშვებელია სარჩელის საფუძვლისა და, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, საქმის განახლების საფუძვლების ერთმანეთში აღრევა. ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების განცხადების საფუძველს წარმოადგენს კანონით განსაზღვრული გარემოებები, რომლებიც იწვევენ საქმის წარმოების განახლებას, ანუ ამ საფუძვლების არსებობის შედეგია პროცესუალურ-სამართლებრივი მოთხოვნის დაკმაყოფილება, ხოლო სასარჩელო მოთხოვნა არის მატერიალურ-სამართლებრივი მნიშვნელობის. მის საფუძველს შეიძლება წარმოადგენდეს მატერიალურ-სამართლებრივი ნორმით გათვალისწინებული ფაქტობრივი გარემოებები, რომლებსაც უკავშირდება კონკრეტული მატერიალურ-სამართლებრივი შედეგი, რაც მოთხოვნის სახით წარმოგვიდგება.

საკასაციო პალატის აზრით, ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით სააპელაციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «ბ» პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლიანობის შესახებ.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

**დ ა ა დ გ ი ნ ა:**

ლ. ა-მის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 20 მარტის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას;

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**საქმის წარმოების შეწყვეტა, იურიდიული პირის ლიკვიდაციისას**

**განჩინება**

#ას-150-419-08

2 ივნისი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავტრების საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),  
რ. ნადირიანი (მომხსენებელი),  
თ. თოდრია**

**დავის საგანი:** საქმის წარმოების შეწყვეტა

**აღწერილობითი ნაწილი:**

2006 წლის 27 სექტემბერს ნ. ხ-მემ სარჩელით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოპასუხე სს კ/ზ «ლიბერტის» ლიკვიდატორ ო. ბ-მის მიმართ და მოითხოვა მის ანგარიშზე რიცხული 51313 აშშ დოლარიდან მოპასუხისათვის მისთვის 10500 აშშ დოლარის დაბრუნების დავალდებულება, ხოლო სს კ/ზ «ლიბერტის» ანგარიშზე გასესხებული თანხების შემოსვლის შემდეგ დარჩენილი თანხის დაბრუნება.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილებით ნ. ხ-მის სარჩელი დაკმაყოფილდა - სს კ/ზ «ლიბერტის» დაევალა მოსარჩელე ნ. ხ-მის სასარგებლოდ მისი კუთვნილი 51313 აშშ დოლარისა და 29 ცენტრიდან 10500 აშშ დოლარის დაბრუნება, ხოლო დანარჩენი თანხის დაბრუნების გადახდა სს კ/ზ «ლიბერტის» ანგარიშზე გასესხებული თანხების შემოსვლის შემდეგ.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სს კ/ზ «ლიბერტმა», მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას, 2007 წლის 28 ნოემბერს, სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართა სს კ/ზ «ლიბერტის» წარმომადგენელმა ბ. კ-მემ, რომელსაც თან დაურთო საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის 2007 წლის 23 მარტის #145 განკარგულება, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ბათუმის საგადასახადო ინსპექციის 29.06.07 #3259 ბრძანება და განმარტა, რომ სს კ/ზ «ლიბერტი» ლიკვიდირებულია, ამოშლილია სამეწარმეო რეესტრიდან, რის გამოც თავად მოკლებულია შესაძლებლობას, განახორციელოს არარსებული სუბიექტის წარმომადგენლობა, მით უფრო, როცა სს კ/ზ «ლიბერტის» უფლებამონაცვლე არ არსებობს.

სააპელაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე გამოცხადებულმა ნ. ხ-მემ და მისმა წარმომადგენელმა ვ. ხ-შვილმა დაადასტურეს სს კ/ზ «ლიბერტის» ლიკვიდაციისა და სამეწარმეო რეესტრიდან ამოშლის ფაქტი, მაგრამ სასამართლოს წარუდგინეს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის წერილი

მოქალაქე ი. ხ-აშისადმი და მოითხოვეს სს კ/ზ «ლიბერტის» უფლებამონაცვლედ საქართველოს ეროვნული ბანკის დაშვება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 19 დეკემბრის განჩინებით გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება, შეწყდა სს კ/ზ «ლიბერტის» ლიკვიდატორის მიმართ ნ. ხ-ძის სარჩელთან დაკავშირებული საქმის წარმოება.

საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის 2007 წლის 23 მარტის #145 განკარგულების, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ბათუმის საგადასახადო ინსპექციის 29.06.2007 წლის #3259 ბრძანებისა და მხარის განმარტების საფუძველზე, სააპელაციო სასამართლომ დადგინდა მთლიანად იმის გარეშე, რომ სს კ/ზ «ლიბერტი» ლიკვიდირებულია და ამოიშალა სამეწარმეო რეესტრიდან.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მიერ 2007 წლის 27 სექტემბერს მოქალაქე ი. ხ-აშისადმი გაგზავნილი წერილით, სააპელაციო სასამართლომ გარკვეულად მიიჩნია შემდეგი გარემოებები:

სს კ/ზ «ლიბერტი» ვაკოტირებულად გამოცხადდა და ამოღებულ იქნა საქართველოს ეროვნული ბანკის რეესტრიდან. გარდა ამისა, წერილში განიმარტა, რომ სს კ/ზ «ლიბერტის» საქმიანობის, მათ შორის, მენაბრეებისა და სხვა კრედიტორების ამსახველი დოკუმენტაცია არ ნადგურდება და ინახება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

იმ შემთხვევაში, თუ სამართლებრივად მოხდება სს კ/ზ «ლიბერტის» კუთვნილი თანხის დადგენა და დღის წესრიგში დადგება მისი სს კ/ზ «ლიბერტის» კრედიტორებისათვის განაწილება, იგი განხორციელდება არსებული დოკუმენტაციის მიხედვით ამ მიზნით შექმნილი საგანგებო კომისიის მიერ, რომელშიც ასევე შეყვანილი იქნებიან სს «ბანკი ლიბერტის» მენაბრეების წარმომადგენლები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, აგრეთვე, «კომერციული ბანკების შესახებ» კანონის, «ეროვნული ბანკის შესახებ» კანონისა და ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მიერ 2003 წლის 11 ივლისს დამტკიცებული «კომერციული ბანკის ლიკვიდაციის წესის» საფუძველზე, რომელიც არ ითვალისწინებს ლიკვიდაციის, ეროვნული ბანკის რეესტრიდან და სამეწარმეო რეესტრიდან ამოშლილი სუბიექტის უფლებამონაცვლობას, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნულ საქმეზე უნდა შეწყვეტილიყო საქმის წარმოება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 19 დეკემბრის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ნ. ხ-ძის წარმომადგენელმა ვ. ხ-შვილმა, მოითხოვა მისი გაუქმება იმ საფუძველით, რომ, მართალია, სს კ/ზ «ლიბერტი» ლიკვიდირებულია და ამოშლილია სამეწარმეო რეესტრიდან, მაგრამ, ვინაიდან ეროვნული ბანკი იღებს ვალდებულებას, იმ შემთხვევაში, თუ სამართლებრივად მოხდება სს კ/ზ «ლიბერტის» კუთვნილი თანხის დადგენა და დღის წესრიგში დადგება მისი სს კ/ზ «ლიბერტის» კრედიტორებისათვის განაწილება, აღნიშნული განახორციელოს არსებული დოკუმენტაციის მიხედვით ამ მიზნით შექმნილი საგანგებო კომისიის მიერ, ამით ფაქტობრივად განახორციელებს ლიკვიდატორის მოვალეობას, რის გამოც იგი სასამართლოს უნდა მიეჩნია ლიკვიდირებული ბანკის უფლებამონაცვლედ და საქმეზე წარმოება არ შეწყვიტა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 417-ე მუხლის საფუძველზე, აღნიშნული კერძო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად განსახილველად გადაგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ, საქმის ზეპირი განხილვის გარეშე, შეისწავლა საქმის მასალები, კერძო საჩივრის საფუძველები და თვლის, რომ ნ. ხ-ძის წარმომადგენელ ვ. ხ-შვილის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «ე» ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ საქმის ერთ-ერთ მხარედ მყოფი მოქალაქის გარდაცვალების შემდეგ ან იურიდიული პირის ლიკვიდაციისას, სადავო სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, დაუშვებელია უფლებამონაცვლეობა.

საპროცესო უფლებამონაცვლეობა - ესაა მხარეებისა და მესამე პირების შეცვლა იმ პირებით, რომლებზედაც მათი უფლებები და მოვალეობები გადავიდა.

საქმის წარმოების შეწყვეტა დასაშვებია, თუ უფლებამონაცვლეობა, მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, დაუშვებელია.

საპროცესო უფლებამონაცვლეობის საფუძველები (ანუ სადავო სამართლებრივი ურთიერთობიდან გასვლის შემთხვევები) გათვალისწინებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლით, რომლის თანახმად, უფლებამონაცვლეობა დასაშვებია იურიდიული პირის რეორგანიზაციის შემთხვევაში (შეერთება, მიერთება, გაყოფა, გამოყოფა, გარდაქმნა), რაც გათვალისწინებულია «მეწარმეთა შესახებ» კანონის მე-14 მუხლით. რაც შეეხება იურიდიულ პირის ლიკვიდაციისას, ასეთ შემთხვევაში საქმის წარმოება უნდა შეწყდეს, რადგან იურიდიული პირის ლიკვიდაციის შემთხვევაში უფლებამონაცვლეობა არ წარმოიშობა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-80 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საქართველოს ყველა ფიზიკური და იურიდიული პირი აღჭურვილია უნარით, ჰქონდეს სამოქალაქო საპროცესო უფლებები



და მოვალეობები. ამავე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, იურიდიული პირის უფლებაუნარიანობა წარმოიშობა რეგისტრაციის მომენტიდან და შეწყდება მისი ლიკვიდაციის რეგისტრაციის მომენტისთანავე.

აღნიშნული ნორმის თანახმად, იურიდიული პირების საპროცესო უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა ერთმანეთისაგან არ განსხვავდება, ვინაიდან ისინი წარმოიშობა და შეწყდება ერთდროულად - რეგისტრაციის მომენტიდან და ამ რეგისტრაციის გაუქმების მომენტიდან.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის 2007 წლის 23 მარტის #145 განკარგულებისა და ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ბათუმის საგადასახადო ინსპექციის 29.06.2007 წლის #3259 ბრძანების საფუძველზე, სს კ/ზ «ლიბერტი» ლიკვიდირებულ იქნა და ამოირიცხა სამეწარმეო რეესტრიდან.

სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ, ვინაიდან დადგენილია სს «ბანკი ლიბერტის» ლიკვიდაცია, სსკ-ის 272-ე მუხლის «ე» ქვეპუნქტის თანახმად, საქმის წარმოება უნდა შეწყვეტილიყო, რასაც საკასაციო სასამართლო იზიარებს.

კერძო საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ, მართალია, სს კ/ზ «ლიბერტი» ლიკვიდირებულია და ამოშლილია სამეწარმეო რეესტრიდან, მაგრამ, ვინაიდან ეროვნული ბანკი იღებს ვალდებულებას, იმ შემთხვევაში, თუ სამართლებრივად მოხდება სს კ/ზ «ლიბერტის» კუთვნილი თანხის დადგენა და დღის წესრიგში დადება მისი სს კ/ზ «ლიბერტის» კრედიტორებისათვის განაწილება, აღნიშნული განახორციელოს არსებული დოკუმენტაციის მიხედვით ამ მიზნით შექმნილი საგანგებო კომისიის მიერ, ამით ფაქტობრივად განახორციელებს ლიკვიდატორის მოვალეობას, რის გამოც იგი სასამართლოს უნდა მიეჩნია ლიკვიდირებული ბანკის უფლებამონაცვლედ და საქმეზე წარმოება არ შეეწყვიტა.

აღნიშნულ მოსაზრებას საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს, ვინაიდან, სსკ-ის 92-ე მუხლი იურიდიული პირის ლიკვიდაციის შემთხვევაში, უფლებამონაცვლეობას არ ითვალისწინებს, ამასთან, საქმეში არსებული მასალებით ვერ დგინდება ის გარემოება, რომ ეროვნულ ბანკზე გადავიდა სს კ/ზ «ლიბერტის» უფლებები და მოვალეობები.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ნ. ხ-ძის წარმომადგენელ ვ. ხ-შვილის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

#### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

ნ. ხ-ძის წარმომადგენელ ვ. ხ-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

ამ საქმეზე უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 19 დეკემბრის განჩინება;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **2. სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვება მხარეთა გამოუცხადებლობის გამო განჩინება**

#ას-711-931-08 19 ნოემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა:** მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
რ. ნადირიანი,  
თ. თოდრია

**დავის საგანი:** ბრძანების ბათილად ცნობა, იძულებით განაცდურის ანაზღაურება, სამსახურში აღდგენა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 20 მარტის გადაწყვეტილებით ი. და დ. დ-ძების, მ. დ-ძის, ო. თ-ძის, მ. დ-ძის, ფ. უ-შვილის და დ. ზ-ძის სარჩელი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიმართ, დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ბათილად იქნა ცნობილი ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2005 წლის 29 ივლისის #471/03 ბრძანება მისი ძალაში შესვლის დღიდან, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს მოსარჩელეთა სასარგებლოდ დაეკისრა იძულებით გაცდენილი დროის ხელფასის ანაზღაურება დათხოვნის დღიდან გადაწყვეტილების გამოტანამდე; მოსარჩელეთა მოთხოვნა სამსახურში აღდგენის თაობაზე და წარმომადგენლისათვის გაწეული ხარჯების ანაზღაურების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში კანონით დადგენილ ვადაში, სააპელაციო წესით გაასაჩივრა ო. თ-ძის, მ. დ-ძის, მ. დ-ძის, მ. დ-ძის, დ. დ-ძის, ფ. უ-შვილის და დ. ბ-ძის წარმომადგენელმა დ. დ-ძემ. აპელანტებმა მოითხოვეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 20 მარტის გადაწყვეტილების გაუქმება სამსახურში აღდგენაზე და წარმომადგენლისათვის გაწეული ხარჯების ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილება.

2007 წლის 19 თებერვალს აპელანტებმა ი. დ-ძემ, დ. დ-ძემ, მ. დ-ძემ, ო. თ-ძემ და მ. დ-ძემ განცხადებით მიმართეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას და სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის მოტივით, მოითხოვეს საქმის წარმოების შეწყვეტა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 16 მარტის განჩინებით ი. დ-ძის, დ. დ-ძის, მ. დ-ძის, ო. თ-ძის და მ. დ-ძის სააპელაციო საჩივარზე შეწყდა საქმის წარმოება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 30 ნოემბრის განჩინებით ფ. უ-შვილისა და დ. ბ-ძის სააპელაციო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად განსჯადობით გადმოეცა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 28 დეკემბრის განჩინებით ფ. უ-შვილისი და დ. ბ-ძის სააპელაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში და სააპელაციო საჩივრის განხილვის მიზნით დაინიშნა სასამართლო სხდომა 2008 წლის 15 აპრილს 13<sup>30</sup> საათზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 15 აპრილს 13<sup>30</sup> საათზე დაინიშნული სასამართლო სხდომა გამოცხადდა აპელანტების, ფ. უ-შვილის და დ. ბ-ძის წარმომდგენელი: დ. დ-ძე, მესამე პირის - საჯარო სამართლის იურიდიული პირის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი გ. დ-ძე. პროცესზე მოწვეულ პირთაგან არ გამოცხადდა მოწინააღმდეგე მხარე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენელი: დ. ჩ-ძე. სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 15 აპრილის საოქმო განჩინებით სხდომა გადაიდო 2008 წლის 13 მაისს 14<sup>30</sup> საათზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 13 მაისს 14<sup>30</sup> საათზე დაინიშნულ სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდნენ აპელანტები: ფ. უ-შვილი, დ. ბ-ძე, მათი წარმომადგენელი დ. დ-ძე, მოწინააღმდეგე მხარე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 13 მაისის განჩინებით მხარეთა გამოუცხადებლობის გამო დარჩა განუხილველი.

პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ მხარეებს სასამართლოს სხდომის დროის და ადგილის შესახებ ეცნობათ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესის დაცვით;

პალატამ ასევე მიიჩნია, რომ ფ. უ-შვილის და დ. ბ-ძის სააპელაციო საჩივარი მხარეთა გამოუცხადებლობის გამო დატოვებული უნდა იქნეს განუხილველად

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 13 მაისის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრეს ფ. უ-შვილმა და დ. ბ-ძემ.

კერძო საჩივრის ავტორების განმარტებით თბილისის სააპელაციო სასამართლოში, საქმის არსებითი განხილვა არ მომხდარა. საქმე სამჯერ დაინიშნა განსახილველად, სამივეჯერ ჩავიდა თბილისში მათი წარმომადგენელი და გამოცხადდა სააპელაციო სასამართლოში, თუმცა უშედეგოდ. სხდომები მაინც გადაიდო სხვადასხვა მიზეზების გამო. 2008 წლის 15 აპრილს სხდომა დაინიშნული იყო 13 საათსა და 30 წუთზე, მაგრამ ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენელი სხდომაზე არ გამოცხადდა, მანამდე იგი დროულად არც საქალაქო და არც სააპელაციო სასამართლოში არ ცხადდებოდა. როცა მათმა წარმომადგენელმა მოითხოვა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა, „აღმოჩნდა“, რომ მოპასუხე სტუ „არ იყო დადგენილი წესით ინფორმირებული“ და შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა, ხოლო საქმის განხილვა კიდევ ერთხელ გადაიდო.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, 2008 წლის 13 მაისს დაინიშნულ სხდომაზე მათი წარმომადგენელი ავტომანქანის გაუმართაობის გამო ვერ ჩავიდა თბილისში. სასამართლომ სააპელაციო საჩივარი დატოვა განუხილველად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ფ. უ-შვილმა და დ. ბ-ძემ მოითხოვეს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატა გაეცნო ფ. უ-შვილის და დ. ბ-ძის მიერ წარმოდგენილ კერძო საჩივარს და თვლის, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის თანახმად საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესებით დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისას. ამავე კოდექსის 275-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით, განუხილველად დატოვებს სარჩელს, თუ სასამართლო სხდომაზე არც ერთი მხარე არ გამოცხადებულა.

მოცემულ საქმეზე დადგენილია, რომ სააპელაციო სასამართლოში 2008 წლის 13 მაისს დანიშნული სხდომის შესახებ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესის დაცვით ცნობილი იყო ორივე მხარისათვის.

რაც შეეხება კერძო საჩივრის ავტორის განმარტებას, რომ მათი წარმომადგენელი ავტომანქანის გაუმართაობის გამო ვერ ჩავიდა თბილისში 2008 წლის 13 მაისს დანიშნულ სხდომაზე, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს, ვინაიდან აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად მხარეს არ წარმოუდგენია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად დატოვა განუხილველი ფ. უ-შვილის და დ. ბ-ძის სააპელაციო საჩივარი და შესაბამისად არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე 419-ე, 420-ე მუხლებით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა :**

ფ. უ-შვილის და დ. ბ-ძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;  
თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 13 მაისის განჩინება დარჩეს უცვლელად;  
განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **3. საქმის წარმოების შეჩერება**

#### **განჩინება**

#ას-158-427-08

8 მაისი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავლერების საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),  
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),  
ნ. კვანტალიანი**

**კერძო საჩივრის დავის საგანი:** საქმეზე წარმოების შეჩერება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2003 წლის 19 ივნისს ბათუმის საქალაქო სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა ს. შ-ოვმა მოპასუხეების - ჟ. და ტ. შ-ოვების მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა მხარეთა საკუთრებაში არსებული ოროთახიანი ბინის იძულებითი გასხვისება და მიღებული თანხის თანაბარ წილად განაწილება.

მოსარჩელე მიუთითებდა, რომ ქ. ბათუმში, ... ქ. #54/62-ში მდებარე ოროთახიანი ბინა მიიღეს მან, მისმა მეუღლე ჟ. შ-ოვამ და მათმა შვილებმა: ტ. და გ. შ-ოვებმა. 1987 წელს მეუღლეთა შორის ქორწინება შეწყდა. ვაჟიშვილი აღსაზრდელად დარჩა მამასთან, ხოლო ქალიშვილი - დედასთან. სასამართლო გადაწყვეტილებით 11.40 კვ.მ-ის ერთი ოთახი მიეკუთვნა მოსარჩელეს ვაჟთან ერთად, ხოლო მეორე 15.80 კვ.მ ოთახი - მის ყოფილ მეუღლეს. 1995 წელს მხარეებმა მოახდინეს მათ სარგებლობაში არსებული ოთახების პრივატიზება, სათავსები დარჩა საერთო სარგებლობაში.

მოსარჩელის განმარტებით, მართალია, იგი მოპასუხისაგან იზოლირებულად ცხოვრობს, მაგრამ მათ შორის უკმაყოფილება მაინც არსებობს, შესაბამისად, მათი თანაცხოვრება შეუძლებელია. ამას ემატება მოპასუხეთა მიერ საერთო სარგებლობის ფართში შექმნილი ანტისანიტარია, რის გამოც მოსარჩელეს არ ეძლევა საშუალება, ისარგებლოს აღნიშნული ფართით.

2003 წლის 16 სექტემბერს იმავე სასამართლოს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით მიმართა გ. შ-ოვის წარმომადგენელმა ტ. შ-ოვამ მოპასუხეების - ს. შ-ოვის, ნოტარიუს მარინე მახარაძის, აჭარის ა.რ-ის მშენებლობის სამინისტროს საბინაო-კომუნალური მეურნეობის მიმართ და მოითხოვა ს. შ-ოვის სახელზე სადავო ბინის ნაწილის პრივატიზაციის შესახებ ხელშეკრულების გაუქმება და მისი ცნობა ბინის ამ ნაწილის თანამესაკუთრედ ს. შ-ოვთან ერთად.

გ. შ-ოვის განმარტებით, ს. შ-ოვის მიერ ბინის პრივატიზაცია მოხდა უკანონოდ «საქართველოს რესპუბლიკაში ბინის პრივატიზაციის (უსასყიდლოდ გადაცემის) შესახებ» საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1997 წლის 1 თებერვლის #107 დადგენილების მოთხოვნათა დარღვევით, კერძოდ, ბინის პრივატიზება განხორციელდა ოჯახის სრულწლოვანი წევრის თანხმობის გარეშე. ბინის

პრივატიზაციის დროს იგი ოჯახის სრულწლოვანი წევრი იყო, რასაც ადასტურებს მის მიერ 1994 წლის ნოემბერში პირადობის მოწმობის აღება და 1996 წლამდე საზღვაო სანაოსნოში მუშაობა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2004 წლის 1 ივლისის გადაწყვეტილებით გ. შ-ოვის სარჩელი დაკმაყოფილდა, ნაწილობრივ გაუქმდა 1994 წლის 10 აგვისტოს ს. შ-ოვის სახელზე ქ. ბათუმში, ... ქ. #54/62-ში მდებარე #26 ბინის პრივატიზაციის ხელშეკრულება, კერძოდ, საცხოვრებელი ბინის ერთი 11.4 კვ.მ-გან შემდგარი ოთახის მესაკუთრეებად თანაბარი წილით ცნობილ იქნენ ს. და გ. შ-ოვები; ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ს. შ-ოვის სარჩელი, - გაუქმდა მოსარჩელე ს. შ-ოვის, მოპასუხე ქ. შ-ოვასა და დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის მქონე მესამე პირის - გ. შ-ოვის საზიარო უფლება მათ თანასაკუთრებაში რიცხული ბინის აუქციონზე რეალიზაციისა და ამონაგების განაწილებით, იმის გათვალისწინებით, რომ საცხოვრებელი ბინის 11.4 კვ.მ ფართისგან შემდგარი ოთახის თანამესაკუთრეები არიან ს. და გ. შ-ოვები, ბინის მეორე ოთახის - ქ. შ-ოვა, დამხმარე ფართი საერთო სარგებლობაშია.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა როგორც ს. შ-ოვმა, ისე ქ., გ. და ტ. შ-ოვებმა.

ს. შ-ოვმა მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით გ. შ-ოვისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, ხოლო ქ., გ. და ტ. შ-ოვებმა ითხოვეს მითითებული გადაწყვეტილების გაუქმება იმ ნაწილში, რომლითაც დადგინდა ქ. ბათუმში, ... ქ. #54/62-ში მდებარე #26 ბინის აუქციონზე რეალიზაცია.

აჭარის ა.რ-ის უმაღლესი სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატის 2004 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილებით ს. შ-ოვის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2004 წლის 1 ივლისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; გ. შ-ოვის სარჩელი არ დაკმაყოფილდა; დაკმაყოფილდა ს. შ-ოვის სარჩელი - გაუქმდა სადავო ბინაზე ქ. შ-ოვასა და ს. შ-ოვს შორის არსებული საზიარო უფლებები, დადგინდა აღნიშნული ბინის იძულებითი წესით გაყიდვა აუქციონზე და ამონაგები თანხის მხარეთა შორის თანაბარწილად განაწილება; ქ. და გ. შ-ოვების სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; ს. შ-ოვს უარი ეთქვა ქ. შ-ოვასათვის 1000 ლარის დაკისრების მოთხოვნაზე.

მითითებული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ქ. და გ. შ-ოვების წარმომადგენელმა ტ. შ-ოვამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მათი მოთხოვნის დაკმაყოფილება, ხოლო ს. შ-ოვის სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 28 დეკემბრის განჩინებით ქ. შ-ოვასა და გ. შ-ოვის წარმომადგენელ ტ. შ-ოვას საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა - გაუქმდა აჭარის ა.რ-ის უმაღლესი სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატის 2004 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდა იმავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

«სერთო სასამართლოების შესახებ» ორგანული კანონის 88<sup>4</sup>-ე მუხლში 2005 წლის 25 ნოემბრის ორგანული კანონით შეტანილი ცვლილების თანახმად, ლიკვიდირებულ იქნა აჭარის ა.რ-ის უმაღლესი სააპელაციო სასამართლო და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, აჭარის ა.რ-ის უმაღლესი სააპელაციო სასამართლოს წარმოებაში არსებული საქმეები ლიკვიდაციის შემდეგ გადაეცა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილებით ს., გ., ქ. და ტ. შ-ოვების სააპელაციო საჩივრები ნაწილობრივ დაკმაყოფილდა - გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2004 წლის 1 ივლისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ს. შ-ოვის სარჩელი მასსა და ქ. შ-ოვას შორის თანასაკუთრებაში რიცხული ქ. ბათუმში, ... ქ. #54/62-ში მდებარე #26 ბინაზე საზიარო უფლების გაუქმებაზე არ დაკმაყოფილდა; გ. შ-ოვის სარჩელი 1994 წლის პრივატიზაციის ხელშეკრულების ნაწილობრივი გაუქმებისა და საცხოვრებელი ბინის 11.4 კვ.მ ერთი ოთახის თანამესაკუთრედ ცნობის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გ. შ-ოვმა სააპელაციო სასამართლოში დავის საგანი შეცვალა, კერძოდ, პრივატიზაციის ხელშეკრულების გაუქმების ნაცვლად, თანამესაკუთრედ ცნობა და წილზე მისი უფლების აღიარება მოითხოვა.

სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას ს. შ-ოვის წარმომადგენელმა წარადგინა ბათუმის შინაგან საქმეთა სამმართველოს მე-2 განყოფილების გამომძიებლის მიერ 2006 წლის 11 ივლისს გაცემული ცნობა და 2006 წლის 2 აგვისტოს დადგენილება სისხლის სამართლის საქმეზე სისხლისსამართლებრივი დევნისა და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ. მითითებული მტკიცებულებების თანახმად, ბათუმის პროკურატურაში განხილულ იქნა სისხლის სამართლის საქმე ყალბი დოკუმენტის დამზადებისა და გასაღების ფაქტზე, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ ტ. შ-ოვამ გამოიყენა და დამზადა ყალბი ცნობა, რომ გ. შ-ოვი 1992-96 წლებში მუშაობდა საქართველოს საზღვაო სანაოსნოს გემებზე, მაშინ როცა იგი 1994 წლიდან გადასულია საცხოვრებლად უკრაინაში. სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის საფუძვლად დადგენილებაში კანონით დადგენილი წესით ხანდაზმულობის ვადის გასვლა მითითებული. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ

დადგენილად მიიჩნია ის ფაქტობრივი გარემოება, რომ გ. შ-ოვი 1994 წლიდან ჩაწერილი იყო ჩერკასკის ოლქის ჩიგირინის რ-ნის სოფ. . . .

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ პრივატიზაციის ხელშეკრულების დადების მომენტისათვის, იმ დროს მოქმედი საბინაო კოდექსის მე-100 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, გ. შ-ოვის სადავო ბინაზე უფლება დაკარგული ჰქონდა და, შესაბამისად, იგი ვერც პრივატიზების მონაწილე გახდებოდა. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ გ. შ-ოვი რომც ყოფილიყო პრივატიზების დროისათვის სადავო ბინაში ჩაწერილი და იქ მცხოვრები, აღნიშნული მაინც ვერ გახდებოდა პრივატიზაციის ხელშეკრულების გაუქმების საფუძველი, ვინაიდან საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 5 აგვისტოს #520 დადგენილებით, პრივატიზაციის ხელშეკრულება არ საჭიროებდა გ. შ-ოვის თანხმობის სანოტარო წესით დამოწმებას.

სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება გ., ჟ. და ტ. შ-ოვებმა საკასაციო წესით გაასაჩივრეს ნაწილობრივ, კერძოდ, იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა გ. შ-ოვის სარჩელი 1994 წლის პრივატიზაციის ხელშეკრულების ნაწილობრივ გაუქმებისა და საცხოვრებელი ბინის 11.4 კვ.მ ერთი ოთახის თანამესაკუთრედ ცნობის თაობაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 17 სექტემბრის განჩინებით გ., ჟ. და ტ. შ-ოვების საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

სააპელაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე გ. შ-ოვის წარმომადგენელმა განმარტა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის წარმომგებმა გ. შ-ოვის სარჩელი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს 2007 წლის 22 იანვრის #108 ბრძანების (რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი ადმინისტრაციული აქტი გ. შ-ოვის ბათუმში, . . . ქ. #54/62-ში მდებარე #26 ბინაზე რეესტრაციის ნაწილში) ბათილად ცნობის თაობაზე. აღნიშნულის დასტურად მან წარადგინა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 4 მაისის განჩინება და ამავე სასამართლოს 2007 წლის 17 მაისის სხდომის ოქმი ადმინისტრაციული სარჩელის დასაშვებად ცნობის თაობაზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ს. შ-ოვის წარმომადგენელმა იშუამდგომლა სასამართლოს წინაშე, რათა შეჩერებულიყო მოცემული დავის განხილვა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით სარჩელის გადაწყვეტამდე, რადგან ადმინისტრაციული წესით საქმის განხილვის შედეგად მიღებულ გადაწყვეტილებას შემდგომში პრეიუდიციული მნიშვნელობა ექნებოდა განსახილველი დავის მიმართ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 25 დეკემბრის განჩინებით ს. შ-ოვის წარმომადგენლის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა, შეჩერდა ს. შ-ოვის სააპელაციო საჩივრის განხილვა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2004 წლის 1 ივლისის გადაწყვეტილებაზე გ. შ-ოვის მიერ იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში წარდგენილ სარჩელზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის «დ» პუნქტის თანახმად, სასამართლო ვალდებულია, შეაჩეროს საქმის წარმოება, თუ საქმის განხილვა შეუძლებელია სხვა საქმის გადაწყვეტამდე, რომელიც განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო, სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციული წესით.

წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ განსახილველ ადმინისტრაციულ დავაზე მიღებულ გადაწყვეტილებას შეიძლებოდა პრეიუდიციული მნიშვნელობა მისცემოდა განსახილველი სამოქალაქო დავის გადაწყვეტისათვის. თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე ადმინისტრაციულ დავას უნდა გადაეწყვიტა საკითხი იმის თაობაზე, თუ რამდენად კანონშესაბამისი იყო იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს 2007 წლის 22 იანვრის #108 ბრძანება, რომლითაც თავის მხრივ ბათილად იქნა ცნობილი ადმინისტრაციული აქტი გ. შ-ოვის პირადობის დადასტურებისა და რეესტრაციის შესახებ.

აღნიშნულ განჩინებაზე გ. შ-ოვმა იმავე სასამართლოში კერძო საჩივარი შეიტანა, რომლითაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება შემდეგი მოტივებით:

სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაჩერა განსახილველ სამოქალაქო საქმეზე წარმოება იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს 2007 წლის 22 იანვრის #108 ბრძანების გაუქმების მოთხოვნით აღძრულ საქმეზე გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე. კონკრეტული სამოქალაქო დავის განხილვა შესაძლებელია ადმინისტრაციული წესით საქმის განხილვის დასრულებამდე, რასაც ვერ ვიტყვით საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის წარმოებაში მყოფ საქმეზე, რომლის შედეგიც დამოკიდებულია აღნიშნული სამოქალაქო დავის გადაწყვეტაზე.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძველების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ გ. შ-ოვის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად დარჩეს

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 25 დეკემბრის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად განმარტა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტი, რომლის თანახმად, სასამართლო ვალდებულია, საქმის წარმოება შეაჩეროს, თუ საქმის განხილვა შეუძლებელია სხვა საქმის გადაწყვეტამდე, რომელიც განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო, სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციული წესით. მითითებული ნორმის საფუძველზე საქმის წარმოების შეჩერებისას გადაწყვეტა, არსებობდეს საქმეთა შორის აუცილებელი კავშირი.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას ზემოაღნიშნულ ორ საქმეს შორის აუცილებელი კავშირის არსებობის თაობაზე და მიიჩნევს, რომ ამ შემთხვევაში არსებობს სააპელაციო საჩივარზე საქმის წარმოების შეჩერების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველი.

გ. შ-ოვის წარმომადგენლის მიერ სააპელაციო სასამართლოში წარდგენილი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 4.05.07წ. განჩინებითა და 17.05.07წ. სასამართლო სხდომის ოქმით ირკვევა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ წარმოებაში მიიღო და დასაშვებად ცნო გ. შ-ოვის სარჩელი იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს 2007 წლის 22 იანვრის #108 ბრძანების ბათილად ცნობის თაობაზე. აღნიშნული ბრძანებით ნაწილობრივ ბათილად იქნა ცნობილი ადმინისტრაციული აქტი გ. შ-ოვის პირადობის დადასტურებისა და რეგისტრაციის შესახებ, კერძოდ, გ. შ-ოვის ბათუმში, ... ქ. #54/62-ში მდებარე #26 ბინაზე რეგისტრაციის ნაწილში. სააპელაციო სასამართლოს წარმოებაში არსებულ საქმეზე გ. შ-ოვის მოთხოვნას წარმოადგენს ბათუმში, ... ქ. #54/62-ში მდებარე #26 ბინის ნაწილზე თანამესაკუთრედ ცნობა. შესაბამისად, ვიდრე არ გაირკვევა ბათუმში, ... ქ. #54/62-ში მდებარე სადავო ბინის პრივატიზაციის დროისათვის აღნიშნულ ბინაზე გ. შ-ოვის რეგისტრაციის კანონიერება, სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, გადაწყვიტოს ამავე ქონებაზე მისი საკუთრების უფლების საკითხი.

საკასაციო სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებაში დაშვებულია უზუსტობა, კერძოდ, შეჩერებულია წარმოება მხოლოდ ს. შ-ოვის სააპელაციო საჩივარზე, მაშინ, როდესაც სააპელაციო სასამართლოს წარმოებაში იყო როგორც ს. შ-ოვის, ისე, ჟ. და გ. შ-ოვების სააპელაციო საჩივარი. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ ს. შ-ოვის წარმომადგენელი შუამდგომლობით ითხოვდა მთელ საქმეზე წარმოების შეჩერებას და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინებით სწორედ აღნიშნული შუამდგომლობა დაკმაყოფილებული, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნული უზუსტობა ტექნიკური ხასიათისაა და ეს გარემოება არ წარმოადგენს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმეზე წარმოება შეჩერებულია კანონიერი საფუძველით, რის გამოც კერძო საჩივარი არ ექვემდებარება დაკმაყოფილებას.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლით, 419-ე-420-ე მუხლებით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა :**

1. გ. შ-ოვის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 25 დეკემბრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## 4. სასამართლო სხდომის ოქმი

### სასამართლო სხდომის ოქმის შინაარსი

#### განჩინება

#ას-278-536-08

21 მაისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავითრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
რ. ნადირიანი,  
თ. თოდრია

დავის საგანი: თანხის დაკისრება, წილის გამოყოფა

#### აღწერილობითი ნაწილი:

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 5 ივლისის გადაწყვეტილებით შ. ბ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა.

ოზურგეთის რ-ნის სოფ. . . . , აწ გარდაცვლილ ა. და მ. ს-ძის საკუთრებაში არსებულ საკარმიდამო ნაკვეთში განთავსებული შენობა-ნაგებობიდან და მრავალწლიანი ნარგავებიდან, რომელიც შეფასებული იყო 4222 ლარად, გ. ბ-შვილს მიეკუთვნა 2111 ლარის ღირებულების ქონება. კერძოდ: საცხოვრებელი სახლიდან მიეკუთვნა პირველ სართულზე 49 კვ.მ ოთახი #2, ღირებული 400 ლარად, ხოლო სახლის მეორე სართულზე 49 კვ.მ ოთახი #6, ღირებული 410 ლარად, სულ 810 ლარის ღირებულების 98 კვ.მ.

მოპასუხე - ე. ს-ძეს საცხოვრებელი სახლიდან მიეკუთვნა სახლის პირველ სართულზე 13 კვ.მ ოთახი #4, ღირებული 132 ლარად, 14.1 კვ.მ აბაზანა #3, ღირებული 150 ლარად, ხოლო მეორე სართულზე 41 კვ.მ ოთახი #5, ღირებული 460 ლარად.

საერთო სარგებლობაში დარჩა 27.3 კვ.მ აივანი #7, ღირებული 260 ლარად და 41 კვ.მ აივანი #1, ღირებული 390 ლარად, სულ - 69.1 კვ.მ, ღირებული 650 ლარად.

დამხმარე ნაგებობიდან გ. ბ-შვილს მიეკუთვნა ხის ბეღელი, შეფასებული 160 ლარად და სასიმინდო 105 ლარად, სულ - 265 ლარის ღირებულების.

დამხმარე ნაგებობიდან ე. ს-ძეს მიეკუთვნა საქონლის სადგომი, შეფასებული 280 ლარად, საქათმე - 125 ლარად და თონე - 15 ლარად, სულ - 310 ლარის ღირებულების ქონება.

დამხმარე სათავსიდან - „კუხნიდან“ გ. ბ-შვილს მიეკუთვნა, წარმოდგენილი სქემის მიხედვით, 21.1 კვ.მ აივანი #3, ღირებული 185 ლარად და 23.1 კვ.მ ოთახი #4, ღირებული 265 ლარად, სულ - ღირებული 450 ლარად.

დამხმარე სათავსიდან, „კუხნიდან“, მოპასუხეს ე. ს-ძეს მიეკუთვნა 20,8 კვ.მ აივანი #1, ღირებული 200 ლარად და 18,2 კვ.მ ოთახი #2, ღირებული 207 ლარად, სულ - 407 ლარის ღირებულების.

საკარმიდამო ნაკვეთიდან, რომელიც შეადგენს 7185 კვ.მ-ს, გ. ბ-შვილს გამოეყო 5000 კვ.მ მიწის ნაკვეთი.

ე. ს-ძეს დაეკისრა გ. ბ-შვილის სასარგებლოდ ნარგავ-ნამყენების ღირებულების ნახევრის - 223 ლარის გადახდა.

მოპასუხე ე. ს-ძეს უარი ეთქვა შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უსაფუძვლოდ გამო.

დასახელებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ე. ს-ძემ, მოითხოვა გადაწყვეტილების გაუქმება, ახალი გადაწყვეტილებით შ. ბ-შვილის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა და მისი შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 8 თებერვლის განჩინებით ე. ს-ძის სააპელაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი დარჩა განუხილველი.

პალატამ დადგინდად მიიჩნია, რომ მოპასუხე ე. ს-ძის მიმართ შ. ბ-შვილის სარჩელთან დაკავშირებულ საქმეზე ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მიერ 2007 წლის 5 ივლისის გამოტანილ ოქმა გადაწყვეტილება. სხდომაზე გამოცხადდა დასაბუთებული გადაწყვეტილება და დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრებოდნენ ე. ს-ძე და მისი წარმომადგენელი მ. ჯ-ძე.

დადგინდა, რომ ე. ს-ძემ სააპელაციო საჩივარი ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში წარადგინა 2008 წლის 21 იანვარს.

პალატამ მიიჩნია, რომ ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 5 ივლისის გადაწყვეტილების გასაჩივრების ბოლო ვადას წარმოადგენდა 2007 წლის 21 ივლისი, შესაბამისად, აპელანტმა გაუშვა სააპელაციო საჩივრის წარდგენის 14-დღიანი ვადა, რაც დაუშვებლობის გამო სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველია.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 8 თებერვლის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ეკტერინე ს-ძემ.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით 2007 წლის 5 ივლისს ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მიერ გამოცხადდა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი. მიწის ნაკვეთის გაყოფის თაობაზე, სასამართლომ გამოაცხადა, რომ სრულყოფილი გადაწყვეტილება ჩაბარდებოდა 14 დღის ვადაში. რომ ნამდვილად სარეზოლუციო ნაწილი გამოცხადდა არ უარყოფს ადვოკატი მ. ჯ-მე, რომელმაც რამოდენიმეჯერ მოითხოვა სრულყოფილი გადაწყვეტილება მოსამართლის თანაშემწესთან, სადაც პასუხობდნენ, რომ არ იყო მზად, მოსამართლისა და თანაშემწისათვის ცნობილი იყო, რომ სარეზოლუციო ნაწილით იგი უკმაყოფილო და გასაჩივრებას აპირებდა.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით 2008 წლის 15 იანვარს გადაწყვეტილების ჩაბარებისთანავე შეიტანა განცხადება გადაწყვეტილებაში უსწორობის აღმოფხვრაზე, ანუ გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადად მითითებული იქნეს დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 14 დღე, ეს განცხადება შეცვალეს გასაჩივრების ვადის აღდგენით და განმარტეს, რომ მას უნდა შეეტანა სააპელაციო საჩივარი. ასე მოატყუეს და დარჩა გაწვილებული. აღნიშნული გარემოებები არ გაითვალისწინა ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ, უყურადღებობა გამოიჩინა და არ გადაამოწმა სააპელაციო საჩივარში მითითებული ზემოაღნიშნული მოტივი, თუნდაც ზეპირი მოსმენით, მხარეთა გამოკითხვით არ მიიწვია სხდომაზე, ისე დატოვა მისი სააპელაციო საჩივარი დაუშვებლობის გამო განუხილველი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ე. ს-მემ მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შესამოწმებლად.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატა საქმის მასალების განხილვის, კერძო საჩივრის მოტივების შემოწმების შედეგად თვლის, რომ ე. ს-მის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 8 თებერვლის განჩინებით ე. ს-მის სააპელაციო საჩივარი ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 5 ივლისის გადაწყვეტილებაზე, როგორც დაუშვებელი დარჩა განუხილველი.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას ვინაიდან, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 5 ივლისის სხდომაზე გამოცხადდა დასაბუთებული გადაწყვეტილება და დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრებოდნენ ე. ს-მე და მისი წარმომადგენელი მ. ჯ-მე, შესაბამისად გასაჩივრების ბოლო ვადას წარმოადგენდა 2007 წლის 21 ივლისი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 288-ე მუხლის თანახმად, ოქმი უნდა ასახავდეს საქმის განხილვის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების ყველა არსებით მომენტს, მათ შორის, «მ» ქვეპუნქტის თანახმად, ცნობები გადაწყვეტილების შინაარსის, მისი გასაჩივრების წესისა და ვადის განმარტების შესახებ. აღნიშნული მუხლიდან გამომდინარე პალატა თვლის, რომ ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 4 ივლისის სხდომის ოქმიდან არ ირკვევა, გამოცხადდა თუ არა დასაბუთებული გადაწყვეტილება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად. ამასთან, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ზემოთ მითითებული სხდომის ოქმში არ არის დაფიქსირებული სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობდა სააპელაციო სასამართლოს მიერ მითითებული მოტივით სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველი. შესაბამისად, უნდა გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 8 თებერვლის განჩინება და სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შესამოწმებლად საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე, 284-ე მუხლებით და

### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

ე. ს-მის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

მოცემულ საქმეზე გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 8 თებერვლის განჩინება და საქმე სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შესამოწმებლად დაუბრუნდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.



## შენიშვნები სხდომის ოქმთან დაკავშირებით

### განჩინება

# ას-657-879-08

6 ოქტომბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),  
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),  
ლ. ლაზარაშვილი

**დავის საგანი:** ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, საჯარო რეესტრის ჩანაწერში ცვლილებების შეტანა

#### აღწერილობითი ნაწილი:

ლ. ი-მემ სარჩელი აღძრა სასამართლოში ლ. ს-კოსა და ლ. ჭ-იას მიმართ ა. მ-ოვასა და ლ. ს-კოს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობისა და საჯარო რეესტრის ჩანაწერში ცვლილებების შეტანის შესახებ.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 13 ივლისის განჩინებით არასათანადო მოსარჩელე ლ. ი-მე შეიცვალა სათანადო მოსარჩელით - ქ. ბათუმის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურით, ხოლო ლ. ი-მე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 89-ე მუხლის თანახმად, საქმეში ჩართულ იქნა მესამე პირად.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 3 დეკემბრის გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა ქ. ბათუმის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის სარჩელი, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა ლ. ი-მემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 23 მაისის განჩინებით ლ. ი-მის სააპელაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩა განუხილველად შემდეგი საფუძვლით: ლ. ი-მე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 84-ე მუხლის საფუძველზე ცნობილ იქნა არასათანადო მოსარჩელედ და ამავე კოდექსის 89-ე მუხლის თანახმად, ჩართულ იქნა დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირად, ლ. ი-მემ კი სათანადო მოსარჩელოებაზე თავად თქვა უარი და მისი თანხმობით საქმეში სათანადო მოსარჩელედ ჩაება ქ. ბათუმის მერიის მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო, მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენლის მიერ წარმოდგენილი იქნა მ. მ-მის მიერ გაცემული მიმართვა, რომლის თანახმადაც, ა. მ-ოვას მიერ 2003 წლის 5 ივნისს შედგენილი ანდერძი მის მიერვე იქნა გაუქმებული 2006 წლის 10 მაისს, რაც თავად ლ. ი-მის მიერ იქნა დადასტურებული. ამდენად, საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება ვერანაირ გავლენას მოახდენს ლ. ი-მის უფლებებსა და მოვალეობებზე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 364-ე მუხლის თანახმად სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში შეიძლება გაასაჩივრონ მხარეებმა და მესამე პირებმა დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ლ. ი-მემ, შემდეგი საფუძვლით: ლ. ი-მე მესამე პირად დამოუკიდებელი მოთხოვნით საქმეში ჩართული იყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 88-ე მუხლის თანახმად და არა ამავე კოდექსის 89-ე მუხლის თანახმად. ლ. ი-მემ პირველ ინსტანციის სასამართლოში მონაწილეობა მიიღო საქმის განხილვაში, დააფიქსირა თავისი მოთხოვნები და მოსაზრებები და ასევე მონაწილეობა მიიღო პაექრობაში, რის უფლებაც მას არ ექნებოდა თუ იგი საქმეში ჩაბმული იქნებოდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 89-ე მუხლით, ამდენად საქმეში არსებული განჩინება ლ. ი-მის საქმეში მესამე პირად ჩართვის შესახებ და ჩატარებული სასამართლო სხდომები ეწინააღმდეგება ერთმანეთს. სააპელაციო სასამართლოში ლ. ს-კოს წარმომადგენელ ლ. ფ-მის მიერ წარმოდგენილ იქნა შესაგებელი, დამატებითი სააპელაციო შესაგებელი და დამატებითი სააპელაციო საჩივრის დაზუსტება, რომელშიც თავად ლ. ფ-მე აღნიშნავს, რომ მათ მიერ დარღვეულია შესაგებლის წარდგენის ვადა და ითხოვს, სასამართლომ ვადის დარღვევა ჩაუთვალოს საპატიოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის პირველი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით კი შესაგებლის წარდგენის ვადის გაგრძელება დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს საპატიო მიზეზი, ლ. ფ-მის შესაგებელში კი არ არის მითითებული საპატიო მიზეზი და არ არის შესაბამისი მტკიცებულება წარმოდგენილი, სააპელაციო სასამართლომ კი გადაწყვეტილებას სწორედ შესაგებელში მითითებული გარემოებები დაუდო საფუძვლად სააპელაციო სასამართლომ განჩინებაში მიუთითა, რომ სააპელაციო საჩივარი სასამართლოს მიერ დასაშვებად იქნა მიჩნეული და მხოლოდ მის დასაშვებად მიღების შემდეგ გამოვლინდა დაუშვებლობის მიზეზი, თუმცა სასამართლომ არ მიუთითა დასაშვებობის მიზეზზე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის შესაბამისად, მოცემული განჩინება გასაუქმებელია, ასევე სასამართლო სხდომის ოქმები არ ასახავს ფაქტობრივად ჩატარებულ სხდომებს, იგი არასწორადაა შედგენილი და ეწინააღმდეგება

საპროცესო ნორმებს, რის საფუძველზეც კერძო საჩივრის ავტორმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის დაბრუნება ხელახალი განხილვისათვის.

**სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ლ. ი-მის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 84-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს, რომელიც საქმის განხილვის დროს დაადგენს, რომ სარჩელი აღძრულია არა იმ პირის მიერ, რომელსაც მოთხოვნის უფლება აქვს, შეუძლია მოსარჩელის თანხმობით საქმის შეუწყვეტლად შეცვალოს თავდაპირველი მოსარჩელე სათანადო მოსარჩელით. ლ. ი-მე ცნობილ იქნა არასათანადო მოსარჩელედ და მისივე თანხმობით ქ. ბათუმის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური ჩართულ იქნა საქმეში სათანადო მოსარჩელედ. ამავე კოდექსის 89-ე მუხლის თანახმად, ყოველ დაინტერესებულ პირს, რომელიც არ აცხადებს დამოუკიდებელ მოთხოვნას დავის საგანზე ან მის ნაწილზე, შეუძლია მიმართოს სასამართლოს განცხადებით, რათა დაუშვას იგი საქმეში მესამე პირად მოსარჩელის ან მოპასუხის მხარეზე, რადგან სასამართლოს გადაწყვეტილება ამ საქმეზე შეუძლია შემდგომი გავლენა მოახდინოს მის უფლებებსა და მოვალეობებზე ერთ-ერთი მხარის მიმართ. მესამე პირად დაშვების საკითხს მხარეთა მოსაზრებების გათვალისწინებით, წევრებს სასამართლო. კერძო საჩივრის ავტორის მითითება იმის შესახებ, რომ იგი საქმეში ჩართული იყო მესამე პირად დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით და სააპელაციო სასამართლომ არასწორად დატოვა მისი სააპელაციო საჩივარი განუხილველი, უსაფუძვლოა, ვინაიდან ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 13 ივლისის განჩინებით სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 89-ე მუხლის შესაბამისად ლ. ი-მე ჩართულ იქნა საქმეში მესამე პირად დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მისივე თანხმობით. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 364-ე მუხლით განსაზღვრავს იმ პირთა წრეს, რომლებსაც უფლებამოსილება გააჩნიათ, გასაჩივრონ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით, კერძოდ - მხარეებსა და მესამე პირებს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით. ლ. ი-მე მოცემულ საქმეში ჩაბმულია მესამე პირად დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე.

ასევე უსაფუძვლოა კერძო საჩივრის ავტორის მითითება იმის შესახებ, რომ სააპელაციო სასამართლომ ჯერ წარმოებაში მიიღო სააპელაციო საჩივარი და მერე დატოვა განუხილველად, ვინაიდან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი გამოვლინდა ამ სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ, მაშინ იმის მიხედვით, თუ როგორია ეს საფუძველი, სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას ან სარჩელს განუხილველად დატოვებს.

სასამართლო ვერ იმსჯელებს ლ. ი-მის მოთხოვნაზე იმის შესახებ, რომ სასამართლო სხდომის ოქმები არ ასახავს ფაქტობრივად ჩატარებულ სხდომებს, იგი არასწორადაა შედგენილი და ეწინააღმდეგება საპროცესო ნორმებს, ვინაიდან ამავე კოდექსის 291-ე მუხლის თანახმად სხდომის ოქმზე ხელმოწერიდან სამი დღის ვადაში მხარეებს და მათ წარმომადგენლებს შეუძლიათ წარადგინონ თავიანთი შენიშვნები ოქმთან დაკავშირებით, მიუთითონ მის უსწორობასა და უსრულობაზე, ამავე კოდექსის 289-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, ოქმი მომზადებული და ხელმოწერილი უნდა იქნეს არა უგვიანეს სამი დღისა სხდომის დამთავრების ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების შემდეგ. კერძო საჩივრის ავტორმა სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 20 და 23 მაისის სასამართლოს სხდომის ოქმებზე შენიშვნები წარადგინა 30 მაისს, ე.ი. შენიშვნების წარდგენის ვადის ამოწურვის შემდეგ, ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მართებულად დატოვა განუხილველად ლ. ი-მის წარმომადგენელ თ. ი-მის შენიშვნები ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 20 და 23 მაისის სხდომის ოქმებზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ლ. ი-მის კერძო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

**და ა ა დ გ ი ნ ა:**

ლ. ი-მის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 23 მაისის განჩინება დარჩეს უცვლელი.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## შენიშვნა სხდომის ოქმთან დაკავშირებით

### განჩინება

#ას-943-1147-08

10 ნოემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავითრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება

#### აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 6 ოქტომბრის განჩინებით ა. ლ-შვილის სარჩელი, შრომის წიგნაკის გაუცემლობის გამო, ზიანის ანაზღაურების შესახებ დარჩა განუხილველი.

ა. ლ-შვილმა განცხადებით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო ზემოხსენებული განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება, რაც საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 26 სექტემბრის განჩინებით არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს განჩინება ა. ლ-შვილმა გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 22 იანვრის განჩინებით ა. ლ-შვილის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი, რაზეც მხარემ შეიტანა კერძო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავითრების საქმეთა პალატის 2008 წლის 24 აპრილის განჩინებით კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 22 იანვრის განჩინებაზე ა. ლ-შვილმა შეიტანა განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ. ამავე სასამართლოს 2008 წლის 2 სექტემბრის განჩინებით ზემოხსენებული განცხადება მიღებულ იქნა წარმოებაში.

ა. ლ-შვილმა განცხადებით მიმართა სასამართლოს 2008 წლის 2 სექტემბრის განჩინებაში უსწორობის გასწორების შესახებ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 10 სექტემბრის განჩინებით ა. ლ-შვილის განცხადება უსწორობის გასწორების შესახებ არ დაკმაყოფილდა. ამავე სასამართლოს 2008 წლის 7 ოქტომბრის განჩინებით განცხადება, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, 2008 წლის 22 იანვრის განჩინების გაუქმების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 10 სექტემბრისა და 7 ოქტომბრის განჩინებები ა. ლ-შვილმა გაასაჩივრა კერძო საჩივრით.

სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 7 ოქტომბრის სხდომის ოქმზე ა. ლ-შვილმა შეიტანა შენიშვნები, რაც ამავე სასამართლოს 2008 წლის 20 ოქტომბრის განჩინებით არ დაკმაყოფილდა. ამასთან, განმცხადებელს განემარტა, რომ აღნიშნული განჩინება არ გასაჩივრდება.

სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 20 ოქტომბრის განჩინებაზე ა. ლ-შვილმა შეიტანა კერძო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და სხდომის ოქმში შენიშვნების შეტანის შესახებ განცხადების დაკმაყოფილება. კერძო საჩივრის ავტორმა განმარტა, რომ, მართალია, ზემოხსენებული განჩინების დამოუკიდებლად გასაჩივრება არ შეიძლება, თუმცა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლისა და 404-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, საკასაციო სასამართლომ სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 7 ოქტომბრის განჩინებაზე ა. ლ-შვილის მიერ შეტანილი კერძო საჩივრის განხილვასთან ერთად უნდა იმსჯელოს 2008 წლის 20 ოქტომბრის განჩინების კანონიერებაზეც.

#### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეამოწმა წარმოდგენილი კერძო საჩივრის დასაშვებობის საკითხი და მიაჩნია, რომ ა. ლ-შვილის კერძო საჩივარი უნდა დარჩეს განუხილველი შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 414-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კერძო საჩივრის შეტანა შეიძლება სასამართლოს მიერ გამოტანილ განჩინებებზე, მხოლოდ ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში. დასახელებული ნორმიდან გამომდინარე, კერძო საჩივრის შეტანა დასაშვებია მხოლოდ კანონით პირდაპირ დადგენილ შემთხვევაში.

მოცემულ შემთხვევაში ა. ლ-შვილმა კერძო საჩივარი შეიტანა სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე, რომლითაც მას უარი ეთქვა სასამართლო სხდომის ოქმში შენიშვნების შეტანაზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 291-ე მუხლის მიხედვით, სხდომის ოქმზე ხელმოწერიდან 3 დღის ვადაში მხარეებსა და მათ წარმომადგენლებს შეუძლიათ წარადგინონ თავიანთი შენიშვნები ოქმთან დაკავშირებით, მიუთითონ მის უსწორობასა და უსრულობაზე. შენიშვნები უნდა დაერთოს საქმეს. შენიშვნებს საქმის განხილველი მოსამართლე (სასამართლო) განიხილავს მათი შეტანიდან 5 დღის ვადაში და გამოაქვს განჩინება შენიშვნების შესახებ. მითითებული ნორმით განსაზღვრულია სასამართლო სხდომის ოქმზე შენიშვნების წარდგენის, ასევე მათი განხილვის წესი და პირობები, თუმცა სხდომის

ოქმში შენიშვნების შეტანის განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ სასამართლო განჩინების კერძო საჩივრით გასაჩივრების შესაძლებლობას დასახელებული კანონის დანაწესი არ ითვალისწინებს.

ამდენად, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის დასკვნას, რომ 2008 წლის 20 ოქტომბრის განჩინება არ საჩივრდება და ა. ლ-შვილის კერძო საჩივარი აღნიშნულ განჩინებაზე დაუშვებელია.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას, რომ გასაჩივრებულ განჩინებაზე კერძო საჩივარი სასამართლომ უნდა განიხილოს ძირითად - 2008 წლის 7 ოქტომბრის განჩინებაზე შეტანილ კერძო საჩივართან ერთად. აღნიშნულ მოთხოვნას მხარე აფუძნებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის მეორე ნაწილს, რომლის შესაბამისად საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანი შეიძლება იყოს, აგრეთვე სასამართლოს ის განჩინებები, რომლებიც წინ უსწრებს სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებას, იმისგან დამოუკიდებლად, დასაშვებია თუ არა მათ მიმართ კერძო საჩივრის შეტანა. მითითებული ნორმა განსაზღვრავს საკასაციო საჩივრის განხილვის ფარგლებს და ადგენს, რომ საკასაციო წესით გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერებასთან ერთად საკასაციო სასამართლო მხარის მოთხოვნის შემთხვევაში შეამოწმებს იმ განჩინებების დასაბუთებასაც, რომლებიც მიღებულ იქნა საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე და დამოუკიდებლად არ საჩივრდება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის მიხედვით, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს, შესაბამისად, ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლი განსაზღვრავს კერძო საჩივრის სამართალწარმოების ზოგად წესსა და პირობებს, ხოლო 404-ე მუხლი სპეციალურ ნორმას წარმოადგენს, შესაბამისად, არეგულირებს მხოლოდ საკასაციო საჩივრის განხილვის თავისებურებებს - საკასაციო საჩივრის ფარგლებს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებასთან მიმართებით. ასეთ დროს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერება მოწმდება იმ განჩინებებთან ერთად, რომელიც წინ უსწრებს ამ გადაწყვეტილებას, შესაბამისად, კასატორმა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის მეორე ნაწილის გამოყენებისას უნდა ასაბუთოს არაკანონიერი გასაჩივრებული განჩინების გავლენა საბოლოო გადაწყვეტილების კანონიერებაზე.

ამდენად, ზემოაღნიშნული ნორმის მოქმედება კერძო საჩივარზე ვერ გავრცელდება.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 414-ე მუხლით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

ა. ლ-შვილის კერძო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 20 ოქტომბრის განჩინებაზე დარჩეს განუხილველი.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **5. იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენა**

### **განჩინება**

#ას-684-1014-07

31 იანვარი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**

**ნ. კვანტალიანი,**

**მ. ცისკაძე**

**დავის საგანი: იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენა**

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2006 წლის 10 აპრილს ს. მ. კ-ზიმ განცხადებით მიმართა რუსთავის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა უდავო წარმოების წესით მშობლების: მამის - მ. მ. ო.-სა და დედის - ბ. ა. ჯ-ოვას გარკვეულ დროს გარდაცვალების ფაქტის დადგენა. განმცხადებელმა მოთხოვნის მიზნად სამკვიდროს მიღება დაასახელა.

განმცხადებლის მითითებით, მამა - მ. მ. ო.-ლი გარდაიცვალა 1996 წლის 2 მაისს, ხოლო დედა - ბ. ა. ჯ-ოვა - იმავე წლის 27 ნოემბერს. აზერბაიჯანული ადათ-წესების მიხედვით, ისინი მეორე დღესვე დაკრძალეს, რის გამოც სამედიცინო დაწესებულებებიდან გარდაცვალების შესახებ ცნობები ვერ აიღეს.

2006 წლის 31 მარტს განმცხადებელმა სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს რუსთავის სამსახურს მიმართა და გარდაცვალების მოწმობების გაცემა მოითხოვა. ხსენებულმა სამსახურმა განმცხადებელს მოწმობების გაცემაზე უარი უთხრა, ვინაიდან განმცხადებელმა მშობლების გარდაცვალების შესახებ სამედიცინო ცნობა ვერ წარადგინა.

აღნიშნულის გათვალისწინებით ს. მ. კ-ზიმ რუსთავის საქალაქო სასამართლოს მიმართა და მშობლების გარდაცვალების ფაქტის დადგენა მოითხოვა. განმცხადებელმა წარადგინა შემდეგი წერილობითი მტკიცებულებები: 1) მშობლების ქორწინების მოწმობის ასლი; 2) თავისი დაბადების მოწმობის ასლი; 3) გარდაბნის რ-ნის სოფ. ... გამგეობის მიერ გაცემული ცნობა მ. მ. ო-ლისა და მისი მეუღლის ბ. ა. სოფ. ... სასაფლაოზე დაკრძალვის შესახებ; 4) სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს რუსთავის სამსახურის ცნობა მშობლების გარდაცვალების რეგისტრაციაზე უარის შესახებ; 5) პირადობის მოწმობის ასლი; 6) სანოტარო აქტები მშობელთა ქორწინების მოწმობისა და მისი (განმცხადებლის) დაბადების მოწმობის ქართული ენის თარგმანზე თარჯიმნის ხელმოწერის ნამდვილობის შესახებ; 7) რუსთავის გორგასლის სახელობის მართვის ტერიტორიული ორგანოს მიერ გაცემული აქტი, განმცხადებლის მშობლების გარდაცვალების ფაქტის მოწმობის მიერ დადასტურების შესახებ.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილებით ს. მ. კ-ზის უარი ეთქვა იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენაზე.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილება ს. მ. კ-ზიმ სააპელაციო წესით თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში გაასაჩივრა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და მშობლების გარდაცვალების შესახებ იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენა მოითხოვა.

სააპელაციო საჩივარს აპელანტმა მშობელთა საფლავების ფოტოსურათები დაურთო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ 2007 წლის 8 მაისის განჩინებით ს. მ. კ-ზის სააპელაციო საჩივარი არ დააკმაყოფილა და რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილება უცვლელად დატოვა. სასამართლოს მითითებით, განმცხადებელ ს. მ. კ-ზის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებით უტყუარად არ დასტურდება ჯ-ოვი მ. ო-ლისა და ჯ-ოვა ბ. ა.-ის განმცხადებლის მიერ მითითებულ დროს გარდაცვალების ფაქტი, რის გამოც ს. მ. კ-ზის განცხადება არ დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 8 მაისის განჩინება ს. მ. კ-ზიმ საკასაციო წესით გაასაჩივრა და გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მშობლების გარკვეულ დროს გარდაცვალების ფაქტის დადგენა მოითხოვა. კასატორის განმარტებით, სასამართლომ არასწორად შეაფასა და მტკიცებულების ძალა არ მიანიჭა საქმეში არსებულ შემდეგ მტკიცებულებებს, კერძოდ: ა) სოფ. ... გამგეობის მიერ გაცემულ ცნობას მშობლების ამ სოფლის სასაფლაოზე დაკრძალვის შესახებ; ბ) საფლავზე არსებული მშობლების ძეგლების ფოტოსურათებს; გ) პროცესზე მოწმედ დაკითხული პირების ბ. ბ-ვისა და მ. ჯ. ო-ლი ჯ-ოვის ახსნა-განმარტებებს; დ) კასატორის ახსნა-განმარტებებს.

კასატორი არ ეთანხმება სასამართლოს განმარტებას იმის თაობაზე, რომ წარმოდგენილი მტკიცებულებები არ ადასტურებენ ამ პირთა გარკვეულ დროსა და გარკვეულ ვითარებაში გარდაცვალების ფაქტს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ს. მ. კ-ზიმ გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით მშობლების გარკვეულ დროს გარდაცვალების შესახებ იურიდიული მნიშვნელობის ფაქტის დადგენა მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 5 დეკემბრის განჩინებით, ს. მ. კ-ზის საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის შესამოწმებლად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 21 დეკემბრის განჩინებით ს. მ. კ-ზის საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა არსებითად განსახილველად.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, შემოწმა გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიაჩნია, რომ ს. მ. კ-ზის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 312-ე მუხლის თანახმად, სასამართლო ადგენს ფაქტებს, რომლებზედაც დამოკიდებულია მოქალაქეთა და ორგანიზაციათა პირადი ან ქონებრივი უფლებების წარმოშობა, შეცვლა ან მოსპობა.

დადგენილია, რომ განმცხადებელმა სასამართლოს იურიდიული ფაქტის დადგენის თაობაზე მემკვიდრეობის მიღების მიზნით მიმართა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 313-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლო იურიდიული მნიშვნელობის ფაქტებს ადგენს მხოლოდ ამ ფაქტების დამადასტურებელი საბუთების სხვა წესით მიღების ან დაკარგული საბუთების ადგენის შეუძლებლობის შემთხვევაში.

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია ის ფაქტი, რომ 2006 წლის 31 მარტს განმცხადებელმა სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს რუსთავის სამსახურს მიმართა და გარდაცვალების მოწმობების გაცემა

მოითხოვა. ხსენებულმა სამსახურმა განმცხადებელს მოწმობების გაცემაზე უარი უთხრა მშობლების გარდაცვალების შესახებ სამედიცინო ცნობის წარუდგენლობის გამო.

ამდენად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 315-ე მუხლით გათვალისწინებული დანაწესი იმასთან დაკავშირებით, რომ «განცხადებაში აღნიშნული უნდა იყოს, რა მიზნისათვის სჭირდება განმცხადებელს ამ ფაქტის დადგენა, აგრეთვე, წარმოდგენილი უნდა იყოს მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს განმცხადებლის მიერ სათანადო საბუთების მიღების ან დაკარგული საბუთების აღდგენის შეუძლებლობას», განმცხადებლის მერ შესრულებულ იქნა.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოცემული სახის საქმის განხილვისას, იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომ მხარეებს არ გააჩნიათ წერილობითი მტკიცებულებები, სასამართლო ძირითადად უნდა დაეყრდნოს განმცხადებელთა და მოწმეთა ჩვენებებს, ამასთან, მტკიცებულების სახით შეიძლება წარმოდგენილ იქნეს ფოტოსურათები და სხვა შესაბამისი ინფორმაციის შემცველი მასალები.

როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, განმცხადებელმა სააპელაციო პალატას საფლავზე არსებული მშობლების ძეგლების ფოტოსურათები წარუდგინა, თუმცა აღნიშნულ მტკიცებულებებს სააპელაციო პალატამ სამართლებრივი შეფასება არ მისცა, ასევე, სასამართლომ სათანადო მნიშვნელობა არ მიანიჭა საქმეში წარმოდგენილ დაბადებისა და ქორწინების მოწმობების ასლებს, 2006 წლის 17 მარტის აქტს, გარდაზნის რ-ნის სოფ. ... გამგეობის ცნობასა და მოწმეთა ჩვენებებს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ მუხლის პიველი ნაწილით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას საკასაციო სასამართლომ საფუძვლად უნდა დაუდოს სამართლებრივი შეფასება, რომელიც სავალდებულოა სააპელაციო სასამართლოსათვის.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატამ უნდა გამოიკვლიოს და სამართლებრივი შეფასება მისცეს განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს, მოწმეთა ჩვენებებს და ისე დააწყვიტოს იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის საკითხი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სსკ-ის 284-ე, 412-ე მუხლებით და

### **და ა ა დ გ ი ნ ა :**

ს. მ. კ-ზის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

მოცემულ საქმეზე გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 8 მაისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე პალატას; განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენა**

#### **განჩინება**

#ას-695-915-08

15 სექტემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავრცელების საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),  
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),  
ლ. ლაზარაშვილი**

**დავის საგანი: იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენა**

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

თ. ქ-მემ განცხადებით მიმართა სასამართლოს უფლებადამდგენი დოკუმენტების მისდამი კუთვნილების ფაქტის დადგენის შესახებ შემდეგი საფუძვლებით: მოსარჩელე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის მონაწილეა, რაზედაც გააჩნია წერილობითი დოკუმენტები, თუმცა მისი პირადობის დამადასტურებელ საბუთებსა და საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობის შესახებ შედგენილ საბუთებს შორის გარკვეული შეუსაბამობებია, კერძოდ: გეგეჭორის რ-ნის სამხედრო კომისარიატის ... მოწმობით მისი მონაცემებია თ. ბ-კოს ძე ქ-მე, დაბადებული 1960 წლის 16 აპრილს გეგეჭორის რ-ნის სოფ. ..., გაგრის შინაგან საქმეთა სამმართველოს მიერ 1999 წლის 13 აგვისტოს გაცემულ საქართველოს მოქალაქის მოწმობაში ... იგივე მონაცემებია აღნიშნული მამის სახელის მითითების გარეშე, საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2000 წლის 11 აპრილს #1687 ბრძანებაში განმცხადებელი ბატალიონ «გაგრის» შემდგენლობაში 1992 წლის 12 აგვისტოდან ჩარიცხული იყო მსროლელ თ. ქ-მის სახელით, ვეტერანთა დეპარტამენტის მიერ თ. ქ-მის სახელზე გაცემულია

ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანის ... მოწმობა, რომლის მიხედვითაც, თ. ქ-მე არის ომის II ჯგუფის ინვალიდი. საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ჯ-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის მიერ 2006 წელს განმცხადებლის სახელზე გაცემულია #003700 ცნობა, რომელშიც თ. ქ-მის მამის სახელად მითითებულია ბ-ნა, ხოლო გაცემის საფუძველად - თავდაცვის მინისტრის 2000 წლის 14 ნოემბრის #1687 ბრძანება, რომელშიც 190-ე რიგითი ნომრით მსროლელი თ-რ ქ-მეა აღნიშნული. სოციალური სამედიცინო ექსპერტიზის ბიუროს 2005 წლის 22 ივნისის ცნობით (სსე 1 #196418) თ. ბ-ნას ძე ქ-მე სამხედრო ტრავმისაგან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირადაა ცნობილი, გაგრის ბატალიონის მეთაურის მიერ გაცემული #17 და #261 მოწმობებში განმცხადებელი მითითებულია თ. ბ-ნას ძე ქ-მედ, სოხუმის მეომართა კავშირის ჯიხას 2007 წლის 7 აგვისტოს #66 საბრძოლო მოკვლევით თ. ბ-ნას ძე ქ-მე და თ. ქ-მე ერთი და იგივე პირია. ამდენად, ყველა ზემოაღნიშნული დოკუმენტი ეკუთვნის განმცხადებელს.

სოხუმის რაიონული და საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტილებით თ. ქ-მის განცხადება დაკმაყოფილდა - დადგინდა იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტი იმის შესახებ, რომ განმცხადებელ თ. ბ-ნას ძე ქ-მეს (საქართველოს მოქალაქის #-... მოწმობა, 3/5 ...) ეკუთვნის უფლების დამდგენი შემდეგი საბუთები: გეგეჭკორის რ-ნის სამხედრო კომისარიატის მიერ 1978 წლის 8 ნოემბერს თ. ბ-ნას ძე ქ-მის სახელზე გაცემული სამხედრო ბილეთი (ნზ #3913801), თავდაცვის მინისტრის 2000 წლის 14 ნოემბრის #1687 ბრძანებით (რიგითი ნომრით 190) 1992 წლის 18 აგვისტოდან ბატალიონ «გაგრის» შემადგენლობაში თ-რ ქ-მის ჩარიცხვა, ვეტერანთა დეპარტამენტის მიერ თ. ქ-მის სახელზე გაცემული ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანის #... მოწმობა (II ჯგუფის ინვალიდი), საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ჯ-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის მიერ 2005 წელს თ. ბ-ნას ძე ქ-მის სახელზე გაცემული #003700 ცნობა, სოციალური-სამედიცინო ექსპერტიზის ბიუროს მიერ 2005 წლის 22 ივნისს თ. ბ-ნას ძე ქ-მის სახელზე გაცემული ცნობა (სსე 1 #196418), გაგრის ბატალიონის მეთაურის მიერ ზერიგით თ. ბ-ნას ძე ქ-მის სახელზე გაცემული #17,261 მოწმობები. თავდაცვის სამინისტროს დაევალა საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის 1995 წლის 13 მარტის #134 ბრძანებით ზერიგით თ. ქ-მის ამორიცხვა.

თავდაცვის სამინისტრომ განცხადებით მიმართა სასამართლოს, მოითხოვა ზემოხსენებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება იმ მოტივით, რომ იგი, როგორც დაინტერესებული პირი, საქმეში მხარედ ჩაბმული არ ყოფილა.

სოხუმის რაიონული და საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 24 დეკემბრის განჩინებით ბათილად იქნა ცნობილი სოხუმის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტილება და მოცემულ განცხადებაზე განახლდა საქმის წარმოება. ამავე სასამართლოს 2007 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილებით თ.ქ-მის განცხადება დაკმაყოფილდა - დადგინდა იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტი იმის შესახებ, რომ განმცხადებელ თ. ბ-ნას ძე ქ-მეს (საქართველოს მოქალაქის #-... მოწმობა, 3/5 ...) ეკუთვნის უფლების დამდგენი შემდეგი საბუთები: გეგეჭკორის რ-ნის სამხედრო კომისარიატის მიერ 1978 წლის 8 ნოემბერს თ. ბ-ნას ძე ქ-მის სახელზე გაცემული სამხედრო ბილეთი (ნზ #...), თავდაცვის მინისტრის 2000 წლის 14 ნოემბრის #1687 ბრძანებით (რიგითი ნომრით 190) 1992 წლის 18 აგვისტოდან ბატალიონ «გაგრის» შემადგენლობაში თ. ქ-მის ჩარიცხვა, ვეტერანთა დეპარტამენტის მიერ თ. ქ-მის სახელზე გაცემული ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანის #... მოწმობა (II ჯგუფის ინვალიდი), საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ჯ-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის მიერ 2005 წელს თ. ბ-ნას ძე ქ-მის სახელზე გაცემული #003700 ცნობა, სოციალური-სამედიცინო ექსპერტიზის ბიუროს მიერ 2005 წლის 22 ივნისს თ. ბ-ნას ძე ქ-მის სახელზე გაცემული ცნობა (სსე 1 #196418), გაგრის ბატალიონის მეთაურის მიერ ზერიგით თ. ბ-ნას ძე ქ-მის სახელზე გაცემული #17,261 მოწმობები.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ გაასაჩივრა სააპელაციო წესით შემდეგი საფუძველებით: სასამართლომ დაარღვია სსკ-ის 105-ე მუხლი, ვინაიდან საფუძველიანად არ გამოკვლეულა წარმოდგენილი დოკუმენტაცია, არ გამოუთხოვია დამატებითი მტკიცებულებები და სწორად არ გამოუკვლეოდა საქმის მასალები. სასამართლო არ იყო უფლებამოსილი განცხადება წარმოებაში მიეღო სსკ 313-ე მუხლის მეორე ნაწილიდან გამომდინარე და 311-ე მუხლით იგი განუხილველად უნდა დაეტოვებინა, ვინაიდან განმცხადებელს ჯერ მისთვის უნდა მიემართა, რომელიც ჩაატარებდა ადმინისტრაციულ წარმოებას. მხოლოდ ადმინისტრაციული ორგანოს უარის შემთხვევაში განმცხადებელს ჰქონდა უფლება, გაესაჩივრებინა ადმინისტრაციული აქტი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 30 ივნისის განჩინებით თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და თ. ქ-მის განცხადება იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ დარჩა განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ იურიდიული მნიშვნელობის ფაქტის დადგენის მიმართ თ. ქ-მეს გააჩნია იურიდიული ინტერესი, რაც იმაში მდგომარეობს, რომ განმცხადებელი, როგორც ზერიგითი, ამორიცხა სამხედრო შენაერთიდან. აღნიშნულს უკავშირდება ომის ინვალიდობის პენსიის მიღებისა და სხვა შეღავათებით სარგებლობის უფლების წარმოშობა. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, თ. ქ-მის მოთხოვნა განხილულ უნდა იქნეს არა უდავო, არამედ - სასარჩელო წარმოების გზით ადმინისტრაციული სასამართლოს მიერ, ვინაიდან

მისი მოთხოვნა ეხება სახელმწიფოსაგან გარკვეული შეღავათების მიღებას. პალატამ მიუთითა, რომ უდავო წარმოებით საქმეებს სასამართლო განიხილავს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მხარეები არ დაობენ უფლებების შესახებ. მოცემულ შემთხვევაში კი თავდაცვის სამინისტრომ გაასაჩივრა რა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, აღნიშნულით სადავო გახადა თ. ქ-ძის უფლებები. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 311-ე მუხლის შესაბამისად სასამართლომ მიიჩნია, რომ წარმოდგენილი განცხადება უნდა დარჩეს განუხილველი და თ. ქ-ძეს განუმარტა, რომ მას აქვს უფლება, სასამართლოში წარადგინოს სარჩელი სასარჩელო წესით.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე თ. ქ-ძემ შეიტანა კერძო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და განცხადების დაკმაყოფილება შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ თ. ქ-ძემ პირველი ინსტანციით საქმის განხილვისას უარი განაცხადა თავის მოთხოვნაზე, ამორიცხულიყო საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებიდან და არასწორად დაადგინა, რომ იურიდიული ფაქტის დადგენის მიმართ თ.ქ-ძის ინტერესი მდგომარეობდა სწორედ მისი, როგორც ზერიგითის, შეიარაღებული ძალების რიგებიდან ამორიცხვაში. სასამართლომ არ შეაფასა ის გარემოება, რომ ომისა და სამხედრო ვეტერანებისათვის განკუთვნილ შეღავათებს თ. ქ-ძე უკვე იღებს და ამის გამო სასამართლოსათვის ხელახლა მიმართვის საფუძველი არ არსებობს. შესაბამისად, მას ამ კუთხით თავდაცვის სამინისტროს მიმართ სარჩელის აღძვრის წინაპირობა არ გააჩნია, არამედ თ.ქ-ძის მოთხოვნა იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენა, რადგან თავდაცვის სამინისტრომ ვერ გაარკვია, რომ მის ხელთ არსებული წერილობითი დოკუმენტები (სადაც ხან თთ-რ და ხანაც თ. ქ-ძეა მოხსენებული) სწორედ კერძო საჩივრის ავტორს ეკუთვნის. სააპელაციო სასამართლომ სხდომაზე გამოკითხა ბატალიონ «გაგრის» მეთაური ქ-ძე, რომელმაც დაუდასტურა სადავო დოკუმენტებში თ. ქ-ძის მოხსენიების ფაქტი, თუმცა აღნიშნულს მოწმის სახით დაკითხვის ფორმა არ მიეცა. სააპელაციო სასამართლომ არასწორად ჩათვალა, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ იურიდიული მნიშვნელობის ფაქტის დადგენის თაობაზე გადაწყვეტილების გასაჩივრება ავტომატურად იწვევს მოცემული დავის სასარჩელო წესით განხილვის აუცილებლობას და არ გაითვალისწინა, რომ შესაძლოა თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნა დაუსაბუთებელი და უსაფუძვლო ყოფილიყო. აღსანიშნავია, რომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 311-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, საქმის საერთო სასარჩელო წესით განხილვა თავდაცვის სამინისტროს პირველ ინსტანციის სასამართლოში არ მოუთხოვია და ეს ფაქტობრივი გარემოება დასტურდება საქმის მასალებით. ამდენად, ამავე კოდექსის 281-ე მუხლის მიხედვით, მოწინააღმდეგე მხარეს არ ჰქონდა უფლება, ზემოხსენებული მოთხოვნა წარედგინა სააპელაციო სასამართლოში. ამასთან, თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელს უფლებადამდგენი საბუთების მისდამი კუთვნილების ფაქტის დადგენისას საწინააღმდეგო მოსაზრება არ გამოუთქვამს. სააპელაციო პალატამ უგულებელყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2002 წლის 4 ნოემბრის განჩინების დასაბუთება, როდესაც ჩათვალა, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ სააპელაციო საჩივრით პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინებისა და გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნა თავისთავად ნიშნავდა ამა თუ იმ სახის დავის არსებობას უფლების შესახებ, ვინაიდან დავის არსებობისას უნდა ჩამოყალიბდეს მისი არსი, არგუმენტები და შესაძლო სამართლებრივი შედეგები, რაც მოცემულ შემთხვევაში არ მომხდარა.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლებისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ თ. ქ-ძის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გასაჩივრებული განჩინება გაუქმდეს და საქმე ხელახლა განსახილველად გადაეგზავნოს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა» ქვეპუნქტის თანახმად, უდავო წარმოების წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს იურიდიული მნიშვნელობის ფაქტის დადგენის შესახებ. ამავე კოდექსის 312-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლო ადგენს ფაქტებს, რომლებზედაც დამოკიდებულია მოქალაქეთა და ორგანიზაციათა პირადი და არა ქონებრივი უფლების წარმოშობა, შეცვლა ან მოსპობა, ხოლო მეორე ნაწილის «დ» ქვეპუნქტის შესაბამისად, სასამართლო განიხილავს საქმეებს უფლების დამდგენი საბუთების იმ პირისადმი კუთვნილების ფაქტის დადგენის შესახებ, რომლის სახელი, მამის სახელი ან გვარი, რაც საბუთებშია აღნიშნული არ ემთხვევა მის პასპორტში ან დაბადების მოწმობაში აღნიშნულ სახელს, მამის სახელს ან გვარს.

მითითებული ნორმებიდან გამომდინარეობს, რომ უდავო წარმოების წესით განიხილება მხარის მოთხოვნა ისეთი იურიდიული მნიშვნელობის ფაქტის დადგენის თაობაზე, რა დროსაც შესაძლებელია მოხდეს პირის იდენტიფიცირება იმ დოკუმენტების მიმართ, რომელშიც მისი პირადი მონაცემები არასწორადაა დაფიქსირებული.

უდავო წარმოების საქმე განიხილება სამოქალაქო სამართალწარმოების ზოგადი წესებით იმ ცვლილებებისა და დამატებების გათვალისწინებით, რომლებიც დადგენილია კანონით და წარმოადგენს მოცემულ საქმეზე სამართალწარმოების სპეციფიკას. უდავო წარმოების წესით განსახილველი საქმის აღძვრა ხდება არა კონკრეტული მოპასუხისადმი სარჩელით მიმართვით, არამედ, განცხადების შეტანის გზით, რომელიც შეიცავს სასამართლოსადმი მიმართულ თხოვნას იურიდიული მნიშვნელობის მქონე ამა თუ იმ გარემოების დადგენის ანდა უდავო უფლების დადასტურების შესახებ.



ამასთან, უდავო წარმოების წესით საქმის განხილვისას სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს, რათა მან განხილოს საქმე საერთო სასარჩელო წესით. აღნიშნული დადგენილია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 311-ე მუხლის მეორე ნაწილით, რომლის თანახმად, თუ უდავო წარმოების წესით საქმის განხილვისას აღიძვრის დავა ისეთი უფლებების შესახებ, რომლებიც სასამართლოს უწყებრივად ექვემდებარება, სასამართლო განცხადებას განუხილველად დატოვებს და დაინტერესებულ პირებს განუმარტავს, რომ მათ უფლება აქვთ, წარმოადგინონ სარჩელი საერთო საფუძველზე. მითითებული ნორმით, უდავო წარმოებით საქმის განხილვამდე და გადაწყვეტილების გამოტანამდე სასამართლომ უნდა გამოიკვილოს, შესაძლებელია თუ არა აღიძვრას დავა უფლების შესახებ და მიიღოს ზომები, რომ განსახილველი ფაქტის შესახებ შეატყობინოს სავარაუდოდ დაინტერესებულ პირებს. უდავო წარმოების საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილების გასაჩივრება შეუძლია ყველა დაინტერესებულ პირს, რომელთა უფლებებიც ამ ფაქტის დადგენით შეილახა. ამდენად, უნდა დავასკვნათ, რომ უდავო წარმოებით განსახილველი საქმე სასარჩელო წარმოებით განსახილველი შეიძლება გახდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც უდავო წარმოების წესით განსახილველ საქმეზე აღიძვრის დავა უფლების შესახებ.

ამასთან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 315-ე მუხლი იმპერატიულად მოითხოვს, რომ იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენის შესახებ განცხადებაში უნდა აღინიშნოს, რა მიზნისათვის სჭირდება განმცხადებელს ამ ფაქტის დადგენა. ამ მიზნის მითითება აუცილებელია იმისათვის, რომ სასამართლო გაერკვეს, წარმოადგენს თუ არა იურიდიული მნიშვნელობის ფაქტს ის ფაქტი, რომლის დადგენისაც განმცხადებელი ითხოვს.

მოცემულ შემთხვევაში თ. ქ-მის მიერ მოთხოვნილი ფაქტის დადგენა იურიდიული მნიშვნელობისა, ვინაიდან კანონი ამ ფაქტს უკავშირებს იურიდიული ურთიერთობის წარმოშობას კერძოდ, თ. ქ-მე ითხოვს საბუთებში არსებული ხარვეზის გამო ექვსი უფლებადამდგენი საბუთის მისადმი კუთვნილების ფაქტის დადგენას, რის საფუძველზეც სამომავლოდ მას შეეძლება მოითხოვოს სახელმწიფოსაგან კანონით დადგენილი შეღავათების მასზე გავრცელება, ანუ, განსახილველ შემთხვევაში იურიდიული ფაქტის დადგენას შეიძლება მოჰყვეს (თუ ქ-მე ამ უფლებას გამოიყენებს და თუ კანონით გათვალისწინებული რაიმე სხვა დამაბრკოლებელი გარემოება არ არის) ის სამართლებრივი შედეგი, რომლის დადგომაც განმცხადებელს სურს.

უდავო წარმოების წესით განსახილველი საქმეების იურიდიული ბუნებიდან გამომდინარე, ყველა იურიდიული ფაქტის დადგენის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს განმცხადებლის მიზნისა და ფაქტის იურიდიული მნიშვნელობის დადგენა. ამასთან, განმცხადებლის იურიდიული ფაქტის დადგენის მიზანს უმეტესწილად უკავშირდება დაინტერესებული პირის არსებობა, რომელიც არ არის იდენტური მოდავე პირისა. მიუხედავად იმისა, რომ უდავო წარმოებაში არ გვყავს ურთიერთდაპირისპირებული მხარეები და არ არსებობს დავა უფლებაზე, უდავო წარმოება შეიძლება ჩავთვალოთ უდავოდ მხოლოდ იმ მხრივ, რომ მასში არა გვაქვს უფლების შესახებ დავა, რომელიც დამახასიათებელია სასარჩელო წარმოებისათვის.

უდავო წარმოების წესით განსახილველ საქმეში დადგენილია ფაქტები და არა ამ ფაქტების სამართლებრივი შედეგები, ე.ი. თუ რა შედეგს უკავშირებს კანონი უდავო წარმოების წესით დადგენილ ფაქტს.

საკასაციო სასამართლო ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ასკვნის, რომ უდავო წარმოებაში დაინტერესებული პირის არსებობა და ამ პირის მიერ გამოთქმული უარყოფითი მოსაზრება დასადგენ იურიდიულ ფაქტთან მიმართებით, ცალსახად არ ნიშნავს ამ პირის უფლების დარღვევას. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 311-ე მუხლით გათვალისწინებულ დავას უფლების შესახებ მაშინ აქვს ადგილი, როდესაც კონკრეტული განმცხადებლისათვის დადგენილი იურიდიული მნიშვნელობის ფაქტი იჭრება დაინტერესებული პირის უფლებაში და ართმევს მას შესაძლებლობას, სრულად და თავისუფლად გამოიყენოს ეს უფლება. იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენის შესახებ საქმეების განხილვისას დაინტერესებულ პირებს წარმოადგენენ პროცესის ის მონაწილენი, რომელთა უფლებებზეც შეიძლება გავლენა მოახდინოს ამ კონკრეტულ საქმეზე გამოტანილმა სასამართლო გადაწყვეტილებამ. პროცესის ეს მონაწილეები ამიტომაც დაინტერესებულნი არიან საქმის სწორად გადაწყვეტით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეუწონელია სააპელაციო პალატის მოსაზრების გაზიარება, რომ თ.ქ-მის მოთხოვნა განხილულ უნდა იქნეს სასარჩელო წარმოების გზით, ვინაიდან მისი მოთხოვნა ეხება სახელმწიფოსაგან გარკვეული შეღავათების მიღებას. როგორც ზემოთ აღინიშნა, თ. ქ-მის მოთხოვნას წარმოადგენს არა სახელმწიფოსაგან გარკვეული შეღავათების მიღება, არამედ, უფლებადამდგენი საბუთების მისადმი კუთვნილების ფაქტის დადგენა.

ასევე დაუსაბუთებელია სააპელაციო პალატის დასკვნა, რომ თავდაცვის სამინისტრომ გაასაჩივრა რა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, აღნიშნული თავისთავად გულისხმობს დავის არსებობას. ამგვარი დასკვნისათვის აუცილებელია არა მხოლოდ ზოგადად სააპელაციო საჩივრის არსებობა, არამედ იმის დადასტურება, რომ დადგენილი იურიდიული მნიშვნელობის ფაქტი ლახავს დაინტერესებული პირის უფლებებს და ინტერესებს. თავდაცვის სამინისტრო სააპელაციო საჩივარში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 313-ე მუხლზე დაყრდნობით მიიჩნევდა, რომ საქმე სასარჩელო წესით უნდა განხილულიყო. აღნიშნული ნორმით, სასამართლო იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტებს ადგენს მხოლოდ ამ ფაქტების დამადასტურებელი საბუთების სხვა წესით მიღების ან დაკარგული

საბუთების აღდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში. განმარტებას არ საჭიროებს ის საკითხი, რომ მოცემულ შემთხვევაში აღნიშნული ნორმის გამოყენებისათვის გათვალისწინებული წინაპირობები არ გვაქვს (დაკარგული საბუთების აღდგენა ან საბუთის მიღება).

ამასთან, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საქმის სასამართლო განხილვის არც ერთ სტადიაზე, არც პირველ ინსტანციაში და არც სააპელაციო საჩივარში არ მიუთითებია განსახილველი იურიდიული ფაქტის დადგენით თავისი მატერიალური უფლების დარღვევაზე, რაც სასარჩელო წარმოებაში მოდავე მხარის სტატუსისათვის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს. უფრო მეტიც, რაიონულ სასამართლოში საქმის განხილვისას საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა განმარტა, რომ უფლების დამდგენი საბუთების თ. ქ-ძისათვის კუთვნილების ფაქტის დადგენის საწინააღმდეგოდ არაფერი არ გააჩნია, სააპელაციო საჩივარში კი ამავე სამინისტრომ გააკრიტიკა რა გასაჩივრებული გადაწყვეტილება, დარღვევად მიიჩნია ზემოთ ხსენებული და განმარტებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 313-ე მუხლის გამოყენებლობა. რაც შეეხება დავას უფლების დარღვევის შესახებ, სამინისტრო ვერ უთითებს, დადგენილი იურიდიული ფაქტით მისი რა უფლება იქნა დარღვეული.

საქმის ხელახლა განხილველმა სასამართლომ ზემოთ აღნიშნულის საფუძველზე უნდა გამოარკვიოს, ერღვევა თუ არა სამინისტროს რაიმე უფლება მოცემული იურიდიული ფაქტის დადგენით და დადებით შემთხვევაში, კონკრეტულად რა უფლება ირღვევა. დაინტერესებული პირის უფლების დარღვევის არსებობასთან დაკავშირებით სასამართლომ უნდა იმსჯელოს არა მხოლოდ განცხადების მოთხოვნასთან, არამედ, განმცხადებლის მიზანთან მიმართებით. მხოლოდ აღნიშნულის შემდეგ უნდა დადგინდეს, დასაშვებია თუ არა დავა მოცემულ იურიდიულ ფაქტთან დაკავშირებით და განისაზღვროს მისი განხილვის წესი.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

**და ა ა დ გ ი ნ ა:**

თ. ქ-ძის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 30 ივნისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად გადაეგზავნოს იმავე სასამართლოს.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**6. კასაციის დასაშვებობა**

**განჩინება**

#ას-137-412-08

30 მაისი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),  
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),  
რ. ნადირიანი**

**დავის საგანი:** ანდერძისმიერ მემკვიდრეობის მოწმობისა და საჯარო რეესტრის ჩანაწერის გაუქმება, ზიანის ანაზღაურება

**აღწერილობითი ნაწილი:**

2005 წლის 7 თებერვალს ნ., ს. და ლ. ფ-შვილებმა სასარჩელო განცხადებით მიმართეს კრწანისი-მთაწმინდის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე ე. ზ-ძის მიმართ. მოსარჩელებმა მოითხოვეს თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 14 აგვისტოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტის გაუქმება, ე. ზ-ძისა და ი. მ-ძისათვის ანდერძისმიერი მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევა, ა. ფ-შვილისათვის მისი დაბრუნება, ანდერძისმიერი მემკვიდრეობის უფლების მოწმობის გაუქმება, საჯარო რეესტრში ე. ზ-ძის საკუთრების შესახებ არსებული ჩანაწერის გაუქმება, 12000 ლარის ოდენობით მიუღებელი სამკვიდროს ღირებულებისა და 1300 ლარის ოდენობით სასამართლოს ხარჯების, სულ - 13300 ლარის მატერიალური ზიანის ანაზღაურება.

სასარჩელო განცხადების საფუძველები მდგომარეობდა შემდეგში:

ქ. თბილისში, ... ქ. #28-ში მდებარე ბინა საკუთრების უფლებით ირიცხებოდა მეუღლეების - პ. და ფ. ფ-შვილების სახელზე. პ. ფ-შვილი გარდაიცვალა 1984 წელს, ხოლო ფ. ფ-შვილი - 1994 წელს. ბინას ფლობდა და მასში ცხოვრებას განაგრძობდა მათი შვილი ა. ფ-შვილი, რომელიც 2000 წლის 5 დეკემბერს გარდაიცვალა, რის შემდეგაც თანაბარი წილის მემკვიდრეები - ნ., ს. და ლ. ფ-

შვილები და ე. ზ-მე შეთანხმდნენ, რომ საცხოვრებელ სახლსა და საოჯახო ნივთებს გაყიდდნენ და ოთხ თანაბარ ნაწილად გაყოფდნენ. შეთანხმების მიუხედავად 2001 წლის 15 ოქტომბერს მოპასუხემ გატეხა სადავო ბინის კარები და გამოაცხადა, რომ ის და მისი მეუღლე იყვნენ ანდერძისმიერი მემკვიდრეები 2000 წლის 26 ნოემბერს შედეგენილი შინაურული ანდერძისა და კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 14 აგვისტოს გადაწყვეტილების საფუძველზე, რომლითაც დადგინდა იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტი იმის შესახებ, რომ ა. ფ-შვილი კანონისმიერი მემკვიდრეობის საფუძველზე საკუთრების უფლებით ფლობდა მისი მშობლების ბინას ქ. თბილისში, ... ქ. #28-ში. ამავე გადაწყვეტილებით დადგინდა ასევე იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტი, რომ მოქალაქე ე. ზ-მეს მიღებული ჰქონდა სამკვიდრო ქონება ანდერძისმიერი მემკვიდრეობის საფუძველზე სამკვიდროს გახსნის დღიდან - 2000 წლის 5 დეკემბრიდან. აღნიშნულის შემდეგ მოსარჩელებმა მიმართეს სასამართლოს ანდერძის ბათილად ცნობისა და სადავო ბინის მემკვიდრედ და მესაკუთრედ ცნობის მოთხოვნით. კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 4 ნოემბრის გადაწყვეტილებით ნ., ს. და ლ. ფ-შვილების სარჩელი არ დაკმაყოფილდა, მაგრამ თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2003 წლის 5 მაისის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა: ა. ფ-შვილის სახელით შესრულებული 2000 წლის 26 ნოემბრის ანდერძი ბათილად იქნა ცნობილი და თითოეული მოსარჩელე ცნობილ იქნა სადავო ბინის 1/4-ის მემკვიდრედ და მესაკუთრედ. აღნიშნული გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2003 წლის 13 ნოემბრის განჩინებით ანდერძის ბათილად ცნობის ნაწილში უცვლელად იქნა დატოვებული, ხოლო საცხოვრებელი სახლის 1/4-ის მემკვიდრედ და მესაკუთრედ ცნობის ნაწილში ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს. თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2004 წლის 5 თებერვლის გადაწყვეტილებით სადავო სახლის ნაწილის მემკვიდრედ და მესაკუთრედ ცნობაზე მოსარჩელებს ეთქვათ უარი. გადაწყვეტილება უცვლელად იქნა დატოვებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2004 წლის 16 ივლისის განჩინებით.

კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 14 აგვისტოს გადაწყვეტილების საფუძველზე ე. ზ-მემ მიიღო მემკვიდრეობის უფლების მოწმობა, რაც რეგისტრირებულ იქნა საჯარო რეესტრში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილებით ლ., ნ. და ს. ფ-შვილების სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მოდავე მხარეები იყვნენ 2000 წლის 5 დეკემბერს გარდაცვლილი ა. ფ-შვილის ქონებაზე თანაბარი წილის უფლების მქონე მე-5 რიგის მემკვიდრეები: მოსარჩელები - ბიძაშვილები, ხოლო მოპასუხე - მამიდაშვილი. თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 14 აგვისტოს გადაწყვეტილებით დადგენილი იყო, რომ ე. ზ-მე, როგორც ა. ფ-შვილის ანდერძისმიერი მემკვიდრე, მემკვიდრეობის გარდაცვალებიდან, 2000 წლის 5 დეკემბრიდან, შეუდგა სამკვიდროს ფლობას და მართვას. თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2003 წლის 5 მაისის გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი ა. ფ-შვილის მიერ ე. ზ-მის და ი. მ-მის სახელზე შედგენილი ანდერძი, რადგან დარღვეული იყო სამოქალაქო კოდექსის 1364-ე მუხლით გათვალისწინებული წესი, ხოლო ამავე სასამართლოს 2004 წლის 5 თებერვლის გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ მოსარჩელებს, როგორც გარდაცვლილის კანონით მე-5 რიგის მემკვიდრეებს, არ მიუღიათ სამკვიდრო კანონით დადგენილ ვადაში. სადავო ქონებაზე საკუთრების უფლება რეგისტრირებული იყო ე. ზ-მის სახელზე.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელეთა მითითება კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 14 აგვისტოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტის იმ მოტივით გაუქმებაზე, რომ მითითებულ გადაწყვეტილებას საფუძველად ედო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ბათილად ცნობილი ანდერძი და განმარტა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის შესაბამისად კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია იყო მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობდა გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების წანამდგრები. ასეთი განცხადება კი შეტანილი უნდა ყოფილიყო ერთი თვის განმავლობაში იმ დღიდან, როდესაც მხარისათვის ცნობილი გახდა გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძველების არსებობა. კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 14 აგვისტოს გადაწყვეტილების შესახებ მოსარჩელებმა ჯერ კიდევ 2002 წელს შეიტყვეს, როდესაც მათ სარჩელი აღმრეს ე. ზ-მისა და ი. მ-მის წინააღმდეგ ანდერძის ბათილად ცნობის მოთხოვნით, ხოლო ანდერძი ბათილად იქნა ცნობილი თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2003 წლის 5 მაისის გადაწყვეტილებით, რომელიც კანონიერ ძალაში შევიდა 2003 წლის 13 ნოემბერს. ამდენად, მოსარჩელებს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით სასამართლოსათვის არ მიუმართავთ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით და დადგენილ ვადაში, ხოლო კანონიერ ძალაში შესული

გადაწყვეტილების ან მისი ნაწილის გაუქმების სხვა შესაძლებლობას საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა.

ე. ზ-ძისა და ი. მ-ძისათვის ანდერძისმიერი მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევის, ე. ზ-ძის ანდერძისმიერი უფლების მოწმობისა და მისი საკუთრების უფლების შესახებ საჯარო რეესტრის ჩანაწერის გაუქმების შესახებ მოთხოვნა საქალაქო სასამართლომ ასევე უსაფუძვლოდ მიიჩნია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლზე მითითებით, რომლის თანახმად, სარჩელი შეიძლება აღიძრას უფლების ან სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის მოთხოვნით, თუ მოსარჩელეს აქვს იმის იურიდიული ინტერესი, რომ ასეთი აღიარება მოხდეს სასამართლოს გადაწყვეტილებით. სასამართლოს განმარტებით, წარმოდგენილი სარჩელი აღიარებითი ხასიათის იყო, რადგან მიზნად ისახავდა ე. ზ-ძის უფლების არარსებობის აღიარებას, რის გამოც მოსარჩელებს უნდა დაესაბუთებინათ ასეთი აღიარების იურიდიული ინტერესის არსებობა, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში სასამართლოს გადაწყვეტილებას მოსარჩელეთათვის უნდა წარმოეშვა სრულიად გარკვეული უფლებები და ყოფილიყო მოსარჩელეთა მიზნის მიღწევის საშუალება. ასეთი ინტერესად კი მოსარჩელები მიუთითებდნენ სადავო ქონების მამკვიდრებლის საკუთრებაში დაბრუნების შემთხვევაში, მართალია, არა მათ მიერ, მაგრამ მათი შვილების მიერ სამკვიდრო ქონების მიღების უფლების წარმოშობას, რაც, საქალაქო სასამართლოს აზრით, დაუშვებელი იყო, ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 2.1 მუხლის შესაბამისად სარჩელი წარმოადგენდა მოსარჩელის კანონიერი ინტერესების და დარღვეული უფლების დაცვისა და აღდგენის საშუალებას და იგი ვერ იქნებოდა მიმართული მესამე პირების, თუნდაც მოსარჩელეთა შვილების, ინტერესების დასაცავად, ამასთან, სამოქალაქო კოდექსის 1336.5 მუხლის თანახმად, კანონით მემკვიდრეობის დროს თანაბარი წილის უფლებით მემკვიდრეებად ითვლებოდნენ მე-5 რიგში გარდაცვლილის ბიძაშვილები, დეიდაშვილები და მამიდაშვილები, ხოლო მათი შვილები მემკვიდრეებად ითვლებოდნენ, თუ მამკვიდრებლის გარდაცვალების მომენტისათვის არ იყვნენ მათი მშობლები. შესაბამისად, ვინაიდან მოსარჩელები, როგორც გარდაცვლილის მე-5 რიგის მემკვიდრეები, სამკვიდროს გახსნის დროისათვის ცოცხლები იყვნენ, მათი შვილები ა. ფ-შვილის მემკვიდრეებად ვერ იქნებოდნენ მიწვეულნი.

ანდერძისმიერი უფლების ი. მ-ძისათვის ჩამორთმევის მოთხოვნა საქალაქო სასამართლომ არასათანადო მოპასუხის წინააღმდეგ მიმართულად მიიჩნია და აღნიშნა, რომ, მართალია, ე. ზ-ძის მეუღლე მემკვიდრედ იყო დასახელებული ა. ფ-შვილის ანდერძში, მაგრამ განსახილველ საქმეზე მოპასუხეს წარმოადგენდა ე. ზ-ძე, რომელმაც სამკვიდრო მიიღო და სადავო ქონება საკუთრების უფლებით მის სახელზე იყო რეგისტრირებული. ი. მ-ძის სახელზე შედგენილი ანდერძი უკვე ბათილად იყო ცნობილი და მას, როგორც ანდერძით მემკვიდრეს, სამკვიდრო არ მიუღია.

მოსარჩელეთა მოთხოვნა ე. ზ-ძის მიერ ა. ფ-შვილის სამკვიდროს გაყიდვა-განაწილების თაობაზე არსებული შეთანხმების დარღვევისა და მოსარჩელეთაგან მალულად სამკვიდროს მიღების გამო მისთვის მატერიალური ზიანის დაკისრების თაობაზე საქალაქო სასამართლოს მიერ ასევე არ იქნა გაზიარებული, ვინაიდან სამოქალაქო კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად, ანაზღაურებას ექვემდებარებოდა მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენდა ზიანის გამოწვევი მოქმედების უშუალო შედეგს ანუ დამდგარ ზიანსა და ვალდებული პირის ქმედებას შორის უნდა ყოფილიყო მიზეზობრივი კავშირი, ხოლო ასეთის არსებობას მოსარჩელები ვერ ასაბუთებდნენ. ისინი მიუთითებდნენ, რომ მოპასუხემ მათთვის შეუტყობინებლად მიიღო სამკვიდრო, მაგრამ სასამართლოს შეფასებით, ასეთ შემთხვევაშიც კი სამკვიდროს მიუღებლობა არ წარმოადგენდა მოპასუხის მოქმედების შედეგს, რადგან მოსარჩელებს მოპასუხის მოქმედებით არ დაუკარგავთ შესაძლებლობა, მიემართათ ნოტარიუსისათვის სამკვიდროს მისაღებად ან ფაქტობრივად მიეღოთ სამკვიდრო საამისოდ კანონით დადგენილ ვადაში, მით უმეტეს, რომ მათივე განმარტებით, მოპასუხე სამკვიდრო ქონებას დაეუფლა მხოლოდ 2001 წლის 15 ოქტომბერს, მანამდე კი სადავო ბინის გასაღები ერთ-ერთ მოსარჩელესთან - ს. ფ-შვილთან ინახებოდა. ამდენად, ასეთ შემთხვევაში, მოსარჩელებს სრული შესაძლებლობა ჰქონდათ, დაუფლებოდნენ სამკვიდრო ქონებას სამკვიდროს გახსნიდან 6 თვის განმავლობაში, რასაც ადგილი არ ჰქონია. თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტების საქმეთა პალატის 2004 წლის 5 თებერვლის გადაწყვეტილებით დადგენილი იყო, რომ მოსარჩელებმა ვერ დაადასტურეს მათ მიერ სამკვიდროს ფაქტობრივად მიღების ფაქტი, ამდენად, მოსარჩელეთა მიერ სამკვიდროს მიუღებლობა არ იყო გამოწვეული ე. ზ-ძის მოქმედებით და შესაბამისად, არც ზიანის ანაზღაურების საფუძველს წარმოადგენდა.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელეთა მოთხოვნა სასამართლო ხარჯების ანაზღაურების ნაწილიც და განმარტა, რომ სამოქალაქო კოდექსის 317.1 მუხლის თანახმად, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელი იყო მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ვალდებულება წარმოიშობოდა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების, ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან. მოსარჩელები ვალდებულების წარმოშობის საფუძვლად მიუთითებდნენ იმ გარემოებაზე, რომ მოპასუხის ქმედებით მათ განიცადეს მატერიალური ზიანი, რაც გამოიხატებოდა მათ მიერ სასამართლოში საქმის წარმოებაზე გაღებული ხარჯებით. სასამართლო ხარჯების განაწილების წესი განსაზღვრული იყო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53.1 მუხლით, რომლის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული სასამართლო ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრებოდა მეორე მხარეს. ამდენად, იმ ზიანის

ანაზღაურების წესი, რომელიც დაკავშირებული იყო სასამართლოში საქმის წარმოებასთან და მხარემ გაიღო იმის გამო, რომ ვერ მიაღწია მისი ინტერესების თუ უფლებების არასასამართლო წესით დაცვის, ან იმის გამო, რომ იგი იძულებული გახდა, თავი დაეცვა უსაფუძვლო სარჩელისაგან, განსაზღვრული იყო კანონით. თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავტრების საქმეთა პალატის 2003 წლის 5 მაისის გადაწყვეტილებით ე. ზ-მეს და ი. მ-მეს დაეკისრათ მოსარჩელეთა მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის - 62 ლარის გადახდა, გადაწყვეტილება ამ ნაწილში არ გაუქმებულა და კანონიერ ძალაში იყო შესული. ამდენად, საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილებით განისაზღვრა მოსარჩელეთა მიერ გადაღებული სასამართლო ხარჯების - სახელმწიფო ბაჟის განაწილების საკითხი, ხოლო ზემდგომ ინსტანციაში მოსარჩელებმა წააგეს დავა და ამ ხარჯების გადახდა მოჰსაუხეებს ვერ დაეკისრებოდათ. ამასთან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის თანახმად, იმ შემთხვევისათვის, თუ საქმის განმხილველი სასამართლო გადაწყვეტილებაში არ განსაზღვრავდა ხარჯების განაწილების საკითხს, მოსარჩელებს შეეძლოთ, გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 7 დღის განმავლობაში მოეთხოვათ დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანა, რაც არ გაუკეთებიათ. ამდენად, სასამართლო უკვე დამთავრებული საქმის წარმოების დროს გაღებული ხარჯების მოწინააღმდეგე მხარისათვის დაკისრების საკითხს ვერ განიხილავდა, ამასთან, მოსარჩელებს არ წარუდგენიათ მტკიცებულება, რომელიც მათ მიერ გაღებული სასამართლო ხარჯების ოდენობას დაადასტურებდა.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანეს ნ. ს. და ლ. ფ-შვილებმა, რომელთაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვეს.

აპელანტთა მითითებით, სასამართლომ მოსარჩელეთა მოთხოვნა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმების თაობაზე არასწორად ჩათვალა უსაფუძვლოდ და ასევე არასწორად მიიჩნია, რომ აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ მათ ჯერ კიდევ 2002 წელს შეიტყვეს, როდესაც ანდერძის ბათილად ცნობის შესახებ სარჩელი აღმრეს ე. ზ-მის და ი. მ-მის წინააღმდეგ. სინამდვილეში, ანდერძი 2003 წლის 13 ნოემბერს იქნა ბათილად ცნობილი, მაგრამ სასამართლო პროცესები გაგრძელდა, ხოლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422.2 მუხლის თანახმად, განცხადება აღნიშნული საფუძვლებით გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ დაუშვებელია, თუ მხარეს შეეძლო ამ საფუძვლების წამოყენება საქმის განხილვისას პირველი ინსტანციის, სააპელაციო თუ საკასაციო ინსტანციის სასამართლოში.

აპელანტთა მითითებით, თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება არაკანონიერი იყო, ვინაიდან წარდგენილი მტკიცებულებები არ იძლეოდა იურიდიული მნიშვნელობის ფაქტის დადგენის შესაძლებლობას. ე. ზ-მის მოთხოვნა მთლიანად ემყარებოდა ანდერძს, ამასთან, თავად ე. ზ-მე აღნიშნავდა, რომ მას ანდერძი არ წარუდგენია ნოტარიუსთან კანონით გათვალისწინებულ 6-თვიან ვადაში, მაგრამ სამკვიდროს გახსნის დღიდან ფაქტობრივად ფლობდა და მართავდა სამკვიდრო ქონებას, ხოლო, როგორც მის განცხადებაზე დართული დოკუმენტებიდან ჩანდა, არანაირი მტკიცებულება ფლობის ფაქტის დასადგენად, რაიმე დოკუმენტი, რომ ნოტარიუსმა უარი უთხრა სამკვიდრო მოწმობის გაცემაზე ან ის, რომ 6 თვის განმავლობაში არავის მიუკითხავს და განცხადებით არ მიუმართავს სამკვიდრო მოწმობის ასაღებად, არ ჩანდა, მაშინ, როდესაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 312.2-ე მუხლის თანახმად, სასამართლო განიხილავს საქმეებს მემკვიდრეობის მიღების ფაქტისა და სამკვიდროს გახსნის ადგილის დადგენის შესახებ, ასეთ ფაქტებს კი ამავე კოდექსის 313-ე მუხლის თანახმად, ადგენს მხოლოდ ამ ფაქტების დამადასტურებელი საბუთების სხვა წესით მიღების შემთხვევაში. იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დამადასტურებელი საბუთების მიღების შეუძლებლობა უნდა დასტურდებოდეს შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული ადმინისტრაციული წარმოების შედეგად მიღებული ადმინისტრაციული აქტით.

აპელანტთა მითითებით, თბილისის საოლქო სასამართლოს 2004 წლის 5 თებერვლის გადაწყვეტილებით უარი ეთქვათ სადავო სახლის ნაწილის მემკვიდრედ და მესაკუთრედ ცნობაზე, ანუ არა მარტო საკუთრების უფლებაზე, არამედ მემკვიდრეობაზეც, რითაც შეილახა მათი კონსტიტუციური უფლება, მემკვიდრეობით მიეღოთ ქონება, რომელიც სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლის შესაბამისად ეკუთვნოდათ. ამავე კოდექსის 1427-ე მუხლში მითითებულია, რომ მემკვიდრეს, რომელიც სხვა მემკვიდრეების გამოცხადებას არ დაელოდება და სამკვიდროს ფლობას ან მართვას შეუდგება, უფლება არ აქვს, განკარგოს სამკვიდრო, სამკვიდროს გახსნის დღიდან ექვსი თვის გასვლაამდე ან სამკვიდრო მოწმობის მიღებამდე. აქედან გამომდინარე, ე. ზ-მემ დაარღვია კანონი, რადგან კარგად იცოდა, რომ მის გარდა არსებობდა სხვა მე-5 რიგის მემკვიდრეები, ყალბი ანდერძის შედგენის შემდეგ შეიჭრა სახლში, შეცვალა შესასვლელი კარი და დაკეტა სახლი მას შემდეგ, რაც თბილისის კრწანისი-მთაწმინდის სასამართლოს 2004 წლის 14 აგვისტოს გადაწყვეტილება მოიპოვა. გარდა ამისა, 1421-ე მუხლის თანახმად, სამკვიდროს იღებს კანონით და ანდერძით მემკვიდრე. ქონების ფაქტობრივად ფლობა კი ასევე ნიშნავს მემკვიდრის მიერ მამკვიდრებლის ნივთების თავისთან გადატანას, რასაც დაადასტურებდნენ მოწმეები, რომლებიც სასამართლომ არ გამოიძახა. ვინაიდან არიან ოთხნი, შეთანხმდნენ, რომ გაეყიდათ მთელი სამკვიდრო და გაენაწილებინათ თანაბრად, რისი განხორციელებაც დაიწყეს გარდაცვლილის პირადი ნივთებით: მიცვალებული დაასაფლავეს ერთობლივად, გასაღები ჰქონდა ნ. ფ-შვილს, რომელსაც მიცვალებულის ნივთები საცხოვრებელი სახლიდან გამოჰქონდა, ყიდდა და თანაბრად ანაწილებდა ოთხივე მემკვიდრეზე. ოთხივე ცდილობდა,

რომ ყველა რიტუალი დასაფლავებისა და მიცვალებულის გაპატიონებისა წესისამებრ მომხდარიყო, სურდათ, ქართული ტრადიციისამებრ გასულიყო წელიწადი და წლისთავის შემდეგ გაეყიდათ ბინა. სინამდვილეში სამკვიდრო გაიხსნა და ისინი ყველანი ერთად ახორციელებდნენ ფაქტობრივ ფლობას, რაც დადასტურდებოდა თვით მხარეთა ახსნა-განმრტებებით, მოწმეთა ჩვენებებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით. ამასთან, უძრავი ქონების გასახვისებლად თავდაპირველად უნდა განხორციელებულიყო მემკვიდრეობის იურიდიულად გადაფორმება გარდაცვლილ ა. ფ-შვილზე, შემდეგ კი მათზე, როგორც კანონით მემკვიდრეებზე. ე. ზ-მემ განცხადება შეიტანა იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ და დანართში მიუთითა ტექნივენტარიზაციის ბიუროს ცნობა, ანუ ქონება, რომლის საკუთრებაში გადასვლასაც ის ითხოვდა, არ იყო რეგისტრირებული საჯარო რეესტრში ა. ფ-შვილის სახელზე და მხოლოდ სასამართლომ დაადგინა მის მიერ ქონების ფლობის ფაქტი, ანუ მოსარჩელებს ნოტარიუსისათვის მიმართვის უფლება გაუჩნდე-ბოდათ მაშინ, როდესაც ა. ფ-შვილის სახელზე აღირიცხებოდა ქონება, მანამდე კი ვერ მიმართავდნენ ნოტარიუსს და ვერც სამკვიდრო მოწმობას აიღებდნენ.

აპელანტთა მითითებით, სამოქალაქო კოდექსის 1407-ე მუხლის თანახმად, ანდერძის ბათილად ცნობის შემთხვევაში მემკვიდრეს, რომელსაც ამ ანდერძით მემკვიდრეობის უფლება ჩამოერთვა, უფლება აქვს მიიღოს სამკვიდრო საერთო საფუძვლებით, ანუ ვინაიდან ანდერძი ბათილად იქნა ცნობილი, ე. ზ-მე აღარ იყო ანდერძისმიერი მემკვიდრე და, შესაბამისად, ის მიიღებდა მემკვიდრეობას მხოლოდ საერთო საფუძვლებით მოსარჩელებთან ერთად, სწორედ აღნიშნული წარმოდგენდა იურიდიულ ინტერესს, ანუ სასამართლოს მიერ ოთხივე კანონით მემკვიდრის აღიარების შედეგად ერთნაირი პირობების გამო მათ თანაბრად უნდა მიეღოთ სამკვიდრო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 18 დეკემბრის განჩინებით ნ., ს. და ლ. ფ-შვილების სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლზე მითითებით.

აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ნ., ს. და ლ. ფ-შვილებმა, რომელთაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვეს.

კასატორთა მითითებით, სააპელაციო სასამართლო განჩინებაში განმარტავს, რომ 2000 წლის 26 ნოემბრის შედგენილი შინაურული ანდერძით ბინა, მდებარე ქ. თბილისში, ... ქ. #28-ში, ა. ფ-შვილმა დაუტოვა ი. მ-ძესა და ე. ზ-ძეს, მაგრამ სინამდვილეში ა. ფ-შვილს ანდერძი არ დაუტოვებია და იგი ყალბია. 2003 წლის 5 მაისის სასამართლომ ბათილად ცნო ანდერძი და ყველა მემკვიდრეს თანაბრად გაუნაწილა სამკვიდრო, ვინაიდან ანდერძი შედგენილი და ხელმოწერილი იყო სხვის მიერ. მართალია, სააპელაციო სასამართლომ ანდერძი ყალბად არ ჩათვალა და მხოლოდ ბათილად ცნო, მაგრამ ყველა მემკვიდრეს მემკვიდრეობა მიანიჭა თანაბრად, თუმცა წოდება «ანდერძისმიერი მემკვიდრეობა» არ შეცვალა «კანონისმიერი მემკვიდრეობით», რითაც სამოქალაქო კოდექსის 1306.2 მუხლი დაარღვია. იგივე გააკეთა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2003 წლის 11 ნოემბერს, როდესაც საოლქო სასამართლოს დაეთანხმა ანდერძის ბათილობაში, მაგრამ წოდება «ანდერძისმიერი მემკვიდრეობა» არც მან გააუქმა და არ შეცვალა «კანონისმიერი მემკვიდრეობით». სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 18 დეკემბრის განჩინებაში მითითებულია, რომ მოსარჩელებს უარი ეთქვათ წილზე, რადგან არ მიუღიათ სამკვიდრო კანონით დადგენილ ვადაში. სინამდვილეში მათ სამკვიდრო მიიღეს და ფლობდნენ კიდევ, მაგრამ სასამართლომ არ მისცა მოწმეთა მოწვევის საშუალება.

კასატორთა მოსაზრებით, სადავო ქონება ა. ფ-შვილს გარდაცვალების დროისათვის არ ეკუთვნოდა და სამკვიდრო გაიხსნა მხოლოდ 2001 წლის 14 აგვისტოს, როდესაც ა. ფ-შვილი სამკვიდროს მფლობელი გახდა სასამართლოს მეშვეობით. მოსარჩელებმა 2001 წლის 25 ოქტომბერს, ანუ 6 თვის ვადაში მიმართეს სასამართლოს სარჩელით, მაგრამ სასამართლომ არ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 1320-ე მუხლი და მიიჩნია, რომ 2001 წლის 14 აგვისტოს გადაწყვეტილებით დადგენილი იყო ე. ზ-ძის, როგორც ანდერძით მემკვიდრის მიერ სამკვიდროს ფლობისა და მართვის ფაქტი, მაშინ როდესაც, ა. ფ-შვილის სამკვიდროს ფლობას იგი ვერ შეუდგებოდა, რადგან თვითონ მამკვიდრებელს ქონება არ ეკუთვნოდა და თანაც ბინა იყო დაკეტილი, ხოლო გასაღები ნ. ფ-შვილთან ინახებოდა. სწორედ ამ უკანასკნელთან იქნა გადატანილი მოძრავი ნივთების ნაწილი ა. ფ-შვილის დაკრძალვის შემდეგ. ნ. ფ-შვილმა აღნიშნული ნივთები გაყიდა, რითაც ამოღებულ იქნა დასაფლავებაზე დახარჯული ფული, ხოლო ზედმეტი თანხა ოთხად გაიყო და გადანაწილდა. რაც შეეხება უძრავ ქონებას, ვინაიდან ა. ფ-შვილს სადავო ბინა 2001 წლის 14 აგვისტომდე არ ეკუთვნოდა, ანუ გარდაცვალების დღეს მამკვიდრებელს არ ეკუთვნოდა ქონება, ანდერძი ძალას კარგავდა სამოქალაქო კოდექსის 1326-ე მუხლის შესაბამისად, რაც იმას ნიშნავს, რომ 1329-ე მუხლის თანახმად, 1306.1 მუხლი არასწორად იქნა გამოყენებული და სასამართლომ არ გამოიყენა 1430-ე მუხლი. სასამართლოს არ ჰქონდა უფლება, ანდერძი მიეღო როგორც საბუთი. მას უნდა ემსჯელა კანონიერი მემკვიდრეობის საფუძვლებზე, რისთვისაც ე. ზ-ძეს უნდა წარედგინა საბუთი მემკვიდრეობის შესახებ, რაც სიმართლეს დააადგენდა 2001 წლის 14 აგვისტოს სასამართლოზე და ამდენი პროცესის ჩატარება საჭირო აღარ გახდებოდა. ე. ზ-ძის მიერ სამკვიდროს ფლობას ადგილი არ ჰქონია, რადგან გასაღები ნ. ფ-შვილთან ინახებოდა. ამასთან, ე. ზ-ძეს არ ჰქონდა უფლება, სხვა მემკვიდრეების თანხმობის გარეშე შესდგომოდა ფლობას, თანახმად

სამოქალაქო კოდექსის 1427-ე მუხლისა. რადგან ანდერძი ყალბი იყო, ხოლო ე. ზ-მემ და ი. მ-მემ იცოდნენ, რომ ბინა ა. ფ-შვილს არ ეკუთვნოდა. ამდენად, სამოქალაქო კოდექსის 187.1 და 166.1 მუხლების შესაბამისად, ისინი უნდა მიჩნეულიყვნენ არაკეთილსინდისიერ მფლობელებად, ვინაიდან ე. ზ-მემ მფლობელი გახდა ძალადობითა და მოტყუებით, რადგანაც მას ფლობის უფლება არ ჰქონდა და სამოქალაქო კოდექსის 163.1 მუხლის შესაბამისად ვალდებული იყო უკან დაებრუნებინა იგი. მოსარჩელები არიან ისეთივე მემკვიდრეები და მესაკუთრეები, როგორც ე. ზ-მემ და სამოქალაქო კოდექსის 168-ე მუხლის შესაბამისად უნდა შეწყდეს მის მიერ ქონების მფლობელობა.

კასატორთა მითითებით, კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 14 აგვისტოს გადაწყვეტილება მათთვის ცნობილი გახდა, როცა სადამოს სადავო ბინაში დასაძინებლად მივიდა ს. ფ-შვილის მეუღლე, რომელიც იმ დროისთვის ღამეს იქ ათევდა და ბინის კარები გამოცვლილი დახვდა. ეს მოხდა 2001 წლის 15 ოქტომბერს, ხოლო მათ 2001 წლის 25 ოქტომბერს შეიტანეს სასარჩელო განცხადება, რადგან იცოდნენ, რომ ანდერძი ყალბი იყო. რაც შეეხება რეესტრში რეგისტრაციას, რადგანაც იგი დარღვევებით და მაქინაციებით იქნა მიღწეული, სამოქალაქო კოდექსის 1306.2 მუხლის თანახმად, უნდა გაუქმებულიყო და დაბრუნებოდა პირვანდელ მდგომარეობას, ან ამავე კოდექსის 1407-ე მუხლის საფუძველზე ანდერძის ბათილობის გამო მოპასუხე მემკვიდრედ უნდა მიჩნეულიყო მხოლოდ საერთო საფუძველებით.

კასატორთა მითითებით, 2001 წლის 14 აგვისტოს სასამართლო დაეყრდნო ანდერძს მაშინ, როდესაც ქონება ა. ფ-შვილს სიკვდილის წინ არ ეკუთვნოდა, რითაც დარღვეულ იქნა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423.1»გ» მუხლი. ამასთან, ისინი სადავოს ხდიდნენ მხოლოდ ე. ზ-მის სახელზე გაკეთებულ ჩანაწერს და არ მოითხოვდნენ ი. მ-მისათვის მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევას, ვინაიდან ამ უკანასკნელმა 2001 წლის 14 აგვისტოს სასამართლო სხდომაზე თავად განაცხადა წილსა და მემკვიდრეობაზე უარი ე. ზ-მის სასარგებლოდ, რითაც საკუთარ თავს ჩამოართვა ანდერძისმიერი მემკვიდრეობა.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ნ., ს. და ლ. ფ-შვილების საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის მოთხოვნებს, რის გამოც მიჩნეულ უნდა იქნეს დაუშვებლად, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილი განსაზღვრავს საკასაციო საჩივრის განსახილველად დაშვების ამომწურავ პირობებს, როგორცაა: ა. საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; გ. სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; დ. გასაჩივრებელია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული არც ერთი ზემომითითებული საფუძველით.

კასატორი ვერ ასაბუთებს სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვას მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რამაც არსებითად იმოქმედა საქმის შედეგზე და განაპირობა არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა.

საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები არც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საკასაციო სასამართლოს პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძველით.

ამასთან, საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს მიერ საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე, ნ., ს. და ლ. ფ-შვილების საკასაციო საჩივარი არ ექვემდებარება დასაშვებად ცნობას და განსახილველად მიღებას.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 401-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა :**

1. ნ., ს. და ლ. ფ-შვილების საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 18 დეკემბრის განჩინებაზე მიჩნეულ იქნეს დაუშვებლად;

2. ნ., ს. და ლ. ფ-შვილებს დაუბრუნდეთ თეიმურაზ თანდაშვილის მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70% - 210 ლარი ანგარიშიდან: ხაზინის ერთიანი ანგარიშის ნომერი -

200122900, მიმღები ბანკი - სახელმწიფო ხაზინა 220101222, საბიუჯეტო შემოსულობების სახაზინო კოდი - #300773150, დანიშნულება - სახელმწიფო ბაჟი საქართველოს უზენაეს სასამართლოში განსახილველ საქმეებზე.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## კასაციის დასაშვებობა

### განჩინება

#ას-177-444-08

30 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),  
თ. თოდრია (მომხსენებელი),  
რ. ნადირიანი

დავის საგანი: უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა

#### აღწერილობითი ნაწილი:

ვ. ბ-ულმა სარჩელი აღძრა სასამართლოში მ. კ-იას მიმართ და აღნიშნა, რომ თბილისში, ... კორპუსის მე-4 სადარბაზოს მე-2 სართულზე მდებარე ხუთოთახიანი ბინა, გლდანის რ-ნის აღმასკომის 1989 წლის 8 დეკემბრის #1084 გადაწყვეტილებით გამოეყო მისი მამის - ა. ბ-ულის შვიდსულიან ოჯახს. მოსარჩელის განმარტებით საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა არ დასრულებულა და ნაცვლად ცხრა სართულისა აშენდა მხოლოდ ხუთი სართული. მისი ოჯახისათვის გამოყოფილ ბინაში შეიჭრა მოპასუხე - მ. კ-ია და ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე დაიკავა იგი. მიუხედავად არაერთგზის მოთხოვნისა, მოპასუხე არ ათავისუფლებს მის მიერ უკანონოდ დაკავებულ საცხოვრებელ ფართობს. მოსარჩელემ აღნიშნა, ასევე, რომ მოპასუხის ამ ქმედებით ირღვევა მისი უფლებები და იგი ვერ ფლობს მის ოჯახზე გადაცემულ ბინას, რის გამოც იძულებულია, იცხოვროს შვიდ სულთან ერთად ერთოთახიან ბინაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვ. ბ-ულმა მოითხოვა მის მიერ მითითებული ბინიდან მოპასუხის გამოსახლება.

სასამართლოს სარჩელით მიმართა მიმართა ასევე ბ. ც-შვილმა და აღნიშნა, რომ მის ოჯახს პირველი მამის რ-ნის აღმასკომის 1990 წლის 21 თებერვლის #5\57-587 გადაწყვეტილებით გამოეყო სამოთახიანი ბინა, მდებარე თბილისში, ... კორპუსის მე-5 სადარბაზოს მე-2 სართული. აღნიშნული ბინა ესაზღვრება ვ. ბ-ულის ბინას. მოსარჩელის განმარტებით, მ. კ-იამ დაანგრია მისი და ვ. ბ-ულის ბინების გამყოფი კედელი და თვითნებურად დაიკავა მისი კუთვნილი ფართობი. მოთხოვნის მიუხედავად, იგი არ ათავისუფლებს მასზე გამოყოფილ საცხოვრებელ ბინას, რის გამოც ბონდო ცხვარაშვილმა მოითხოვა მისი კუთვნილი ბინიდან მოპასუხის გამოსახლება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ აღნიშნული სარჩელები მიღებული იქნა წარმოებაში და იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელების მოთხოვნა არის ერთგვაროვანი, მიმართულია ერთი მოპასუხის მიმართ და გამომდინარეობს ერთი და იგივე საფუძვლებიდან მიზანშეწონილად მიიჩნია მათი ერთად განხილვა.

სასამართლომ 2007 წლის 14 მარტს დანიშნულ მთავარ სხდომაზე მოპასუხის - მ. კ-იას გამოუცხადებლობის გამო, მოსარჩელების შუამდგომლობის საფუძველზე, გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ. კერძოდ, სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილებით მ. კ-ია გამოსახლებული იქნა თბილისში, ... კორპუსის მე-4 სადარბაზოში მე-2 სართულზე მდებარე მოსარჩელების - ვ. ბ-ულის და ბ. ც-შვილის კუთვნილი ბინებიდან. სასამართლომ აღნიშნა, რომ მ. კ-იას სასამართლო სხდომის დღის შესახებ ეცნობა 2007 წლის 23 თებერვალს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესის დაცვით; მასვე დროულად ეცნობა საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესახებ. სასამართლომ მიუთითა ასევე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლზე და აღნიშნა, რომ სარჩელში მითითებული დამტკიცებული ჩათვლილი ფაქტობრივი გარემოებები, სამოქალაქო კოდექსის 160-ე, 161-ე, 164-ე მუხლების თანახმად, იურიდიულად ამართლებდა მოსარჩელეთა მოთხოვნას.

მ. კ-იამ საჩივრით მიმართა სასამართლოს აღნიშნული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების და საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით.

საჩივარში მითითებული მოთხოვნის საფუძველად მხარე მიუთითებდა იმ გარემოებაზე, რომ მან ვერ შეძლო სასამართლო სხდომაზე გამოცხადება შვილის ავადმყოფობის გამო. საჩივრის ავტორმა სასამართლოს საჩივართან ერთად წარუდგინა 2007 წლის 14 მარტს შპს „სამედიცინო რეაბილიტაციის ამბულატორიული ცენტრის“ მიერ გაცემული ცნობა, რომლის თანახმად ქ. ქ-ავა 2007 წლის 14 მარტს იმყოფებოდა ამბულატორიულ მიღებაზე და დაესვა დიაგნოზი მწვავე რესპირატორული დაავადება.



თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 25 აპრილის განჩინებით მ. კ-იას საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვის მიზნით დაინიშნა სასამართლო სხდომა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 14 მაისის განჩინებით მ. კ-იას საჩივარი არ დაკმაყოფილდა და ამ საქმეზე ამავე სასამართლოს 2007 წლის 14 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილება დარჩა ძალაში.

აღნიშნულ განჩინებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა მ. კ-იამ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 13 ნოემბრის განჩინებით მ. კ-იას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნულ განჩინებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა მ. კ-იამ. მან მიუთითა, რომ როგორც საქალაქო ისე სააპელაციო სასამართლომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის მხოლოდ პროცესუალურ მხარეს მიაქცია ყურადღება და არ შეუმოწმებია არსებობდა თუ არა დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი, კერძოდ, სასამართლომ არ მიაქცია ყურადღება ამართლებდა თუ არა იურიდიულად სარჩელში მითითებული გარემოებები სასარჩელო მოთხოვნას. სსკ-ის 230-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, მოსარჩელებს ევალუბრებად წარმოედგინათ სასამართლოში მათ სახელზე საჯარო რეესტრიდან ამონაწერი, რომელიც დაადასტურებდა, რომ ისინი არიან სადავო ბინის მესაკუთრეები. სასამართლოს არ გაურკვევია მოსარჩელები, რომლებიც მოითხოვენ უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვას, აღნიშნულ დავაში არიან თუ არა სათანადო მოსარჩელები, აქვთ თუ არა სახელმწიფო ქონების მოთხოვნის უფლება ნივთზე, რომელსაც ისინი 15 წელია არ დაუფლებიან. კასატორის აზრით, სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა კანონი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორმა მოითხოვა სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 13 ნოემბრის განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 19 მაისის განჩინებით მ. კ-იას საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული დასაშვებობის შესამოწმებლად; მოწინააღმდეგე მხარეს განესაზღვრა 5 დღის ვადა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის დასაშვებობის წინაპირობებთან დაკავშირებით მოსაზრებების წარმოსადგენად.

კასატორის მოწინააღმდეგე მხარეებმა - ვ. ბ-ულმა და ბ. ც-შვილმა საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხზე საკასაციო სასამართლოში წარმოადგინეს მოსაზრება და განმარტეს, რომ მ. კ-იას საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მოთხოვნებს, რის გამოც საკასაციო საჩივარი დაუშვებელია.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მ. კ-იას საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მოთხოვნებს, რის გამოც მიჩნეულ უნდა იქნეს დაუშვებლად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მეოთხე ნაწილის მიხედვით, არაქონებრივ-სამართლებრივ დავებში საკასაციო საჩივარი დასაშვებია სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებულ დავებზე. ამავე მუხლის მეხუთე ნაწილის მიხედვით, საკასაციო საჩივარი სხვა ქონებრივ და არაქონებრივ დავებში დასაშვებია, თუ: ა) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; დ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე. ზემოაღნიშნული ნორმები განსაზღვრავს იმ მოთხოვნებს, რომელთაც საკასაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს და ეფუძნებოდეს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული არც ერთი ზემოთ მითითებული საფუძველით.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რადგან კასატორი ვერ ასაბუთებს სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვას მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით, რამაც არსებითად იმოქმედა საქმის შედეგზე, რის გამოც საკასაციო საჩივარი ამ საფუძველით დასაშვები არ არის.

საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები არც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საკასაციო სასამართლოს სტაბილური პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძველით. საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი, დაუშვას მ. კ-ის საკასაციო საჩივარი, რის გამოც საკასაციო საჩივარს უარი უნდა ეთქვას განხილვაზე.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 401-ე მუხლებით და

**და ა დ გ ი ნ ა :**

მ. კ-ის საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩეს განუხილველად;  
კასატორს დაუბრუნდეს მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის - 300 ლარის 70%.  
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**კასაციის დასაშვებობა**

**განჩინება**

#ას-356-608-08

30 ივლისი, 2008 წ., ქ.თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),  
თ. თოდრია (მომხსენებელი),  
რ. ნადირიანი**

**დავის საგანი:** სამკვიდრო მოწმობისა და ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა

**აღწერილობითი ნაწილი:**

ი. ტ-შვილმა სარჩელით მიმართა სასამართლოს მოპასუხეების: ბ. გ-შვილისა და დუშეთის ნოტარიუს ლ. დ-შვილის მიმართ და მოითხოვა სამკვიდროს მოწმობისა და ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა. მოსარჩელე აღნიშნავს, რომ მისი ძმა ი. ტ-შვილი გარდაიცვალა 2003 წელს თბილისის #1 საავადმყოფოში, სადაც მას ოპერაცია ჩაუტარდა მისი მოთხოვნისა და ძალისხმევით. მასთან ერთად იგი საზიარო უფლებით ფლობდა მათი მშობლების დანატოვარ საცხოვრებელ სახლსა და მიწის ნაკვეთს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ობიექტებთან ერთად, რომელიც მემკვიდრეობით მიიღო ი. ტ-შვილის მეუღლე ს. გ-შვილმა, რომელმაც დაუმალა ნოტარიუსს, რომ სამკვიდრო ქონება სხვა მესაკუთრესაც ეკუთვნოდა მოსარჩელის სახით. აღნიშნული ქონება ს. გ-შვილმა მიჰყიდა 4000 ლარად თავის ძმის შვილისშვილს - ბ. გ-შვილს, ს. გ-შვილი ამ გარიგების დადების შემდეგ გარდაიცვალა. ი. ტ-შვილის განმარტებით მშობლებისგან მათ დარჩათ 6 სული მეწველი ძროხა, 5 სული მოზარდი მოზვერ-დეკუული, 2 სული ხარი, 2 ცხენი, 36 სული ღორი, რომელიც მას მემკვიდრეობით არ მიუღია, თუმცა საქონლის გამოკვებაში ღებულობდა მონაწილეობას. მან გააშენა 150 - ძირიანი ხეხილიანი ბაღი, რომლის ნახევარზე დაუთმო ძმას. ამასთან, მიწისძვრის მიერ დანგრეული მამა-პაპისეული სახლის აღდგენისათვის მან საშენი მასალა ჩაუტანა ძმას, რომელიც მოიხმარეს გ-შვილებმა. ძმის სიკვდილის შემდეგ ს. გ-შვილმა საქონლის ჯოგი და მოსარჩელის ძმის მიერ სალაროში დაგროვილი დანაზოგიც გაატანა თავის ძმისშვილსა და შვილიშვილებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა, ბათილად იქნეს ცნობილი ნოტარიუს ლ. დ-შვილის მიერ გაცემული სამკვიდრო მოწმობა და ნასყიდობის ხელშეკრულება.

მოპასუხე ბ. გ-შვილმა სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ ი. ტ-შვილის სამკურნალოდ აუცილებელი თანხა 8000 ლარი, ოპერაციის ჩასატარებლად საჭირო 1000 დოლარი და დაკრძალვის ხარჯი 2005 ლარი მან გაიღო. მისივე განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ ი. ტ-შვილი დაავადებული იყო სიმსივნით და მისთვის ოპერაციის ჩატარება სიკვდილის ტოლფასი იყო, მოსარჩელის დაჟინებული მოთხოვნით მას ოპერაცია მაინც ჩაუტარდა, რომლის შემდეგაც იგი გარდაიცვალა. ამასთან მოსარჩელის განცხადება იმის თაობაზე, რომ მას პაპა-პაპისეული ქონებიდან არაფერი დარჩენია, სინამდვილეს არ შეესაბამება, ვინაიდან მოსარჩელეს ბ. გ-შვილის სახლის ახლოს აქვს მამა-პაპისეული სახლი მიწის ნაკვეთით, ასევე, მიწის ნაკვეთი მდებარე ნაფეტვარში, რომელიც მას ი. გ-შვილმა დაუთმო. მოსარჩელეს არანაირი წვლილი მიუძღვის ს. გ-შვილის სახლის მშენებლობაში, არც ავადმყოფ ძმას დახმარება არასოდეს და არ მოუწახულებია 8 თვის განმავლობაში. საშენი მასალა, რომელიც ვითომდა ბ. გ-შვილმა გაზიდა, თვითონ მოსარჩელემ მიითვისა, რაც მანვე აღიარა პოლიციის ჩარევის შემდეგ. ამასთან, მოსარჩელე ი. გ-შვილი მრავალჯერაა ნასამართლევი ქურდობისა და თაღლითობისთვის, რამდენიმე წელია, დაბრუნდა სოფელში, ეწევა საეჭვო ცხოვრებას, აწუხებდა და

მარცვავდა ძმის ოჯახს, რის გამოც მათთან უთანხმოება მოუვიდა. რაც შეეხება ნასყიდობის ხელშეკრულებას, რომელიც გაფორმდა მას და ს. გ-შვილს შორის, კანონის სრული დაცვით შედგა.

მცხეთის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 16 აპრილის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ვ. ტ-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

რაიონული სასამართლოს დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივარი შეიტანა ი. ტ-შვილმა.

მცხეთის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 11 ივლისის განჩინებით არ დაკმაყოფილდა ი. ტ-შვილის საჩივარი.

რაიონული სასამართლოს ზემოაღნიშნულ განჩინებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა ვ. ტ-შვილმა და მისმა წარმომადგენელმა უ. დ-შვილმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 14 თებერვლის განჩინებით ი. ტ-შვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა მცხეთის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 16 აპრილის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და 2007 წლის 11 ივლისის განჩინება.

სააპელაციო პალატამ დადგინდა ცნო, რომ ი. ტ-შვილსა და მის წარმომადგენელს ეცნობათ 2007 წლის 16 აპრილის სხდომისა და გამოუცხადებლობის შედეგებთან დაკავშირებით სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ 2007 წლის 16 აპრილის პროცესზე მისი წარმომადგენლის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო საპატიო მიზეზით, ვინაიდან ჩათვალა, რომ მოსარჩელემ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, სათანადოდ ვერ დაადასტურა აღნიშნული, კერძოდ, კი ის გარემოება, რომ მისი წარმომადგენელი მართლაც იყო ავად, რის გამოც ვერ აცნობა მცხეთის რაიონულ სასამართლოს თავისი გამოუცხადებლობის მიზეზის თაობაზე.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა ი. ტ-შვილმა და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 13 მაისის განჩინებით ი. ტ-შვილის საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული დასაშვებობის შესამოწმებლად. მოწინააღმდეგე მხარეს განესაზღვრა 7-დღიანი ვადა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის დასაშვებობის წინაპირობებთან დაკავშირებით მოსაზრებების წარმოსადგენად.

კასატორის მოწინააღმდეგე მხარე ბ. გ-შვილმა საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხზე საკასაციო სასამართლოში წარმოადგინა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ საკასაციო საჩივარი დაუშვებელია, რადგან იგი არ აკმაყოფილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მოთხოვნებს.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ი. ტ-შვილის საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მოთხოვნებს, რის გამოც მიჩნეულ უნდა იქნეს დაუშვებლად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის მიხედვით, საკასაციო საჩივარი ქონებრივ და სხვა არაქონებრივ დავებში დასაშვებია, თუ: ა) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; დ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე. ზემოაღნიშნული ნორმები განსაზღვრავს იმ მოთხოვნებს, რომელთაც საკასაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს და ეფუძნებოდეს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული არც ერთი ზემომითითებული საფუძვლით.

კასატორი ვერ ასაბუთებს სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვას მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რამაც არსებითად იმოქმედა საქმის შედეგზე, რის გამოც საკასაციო საჩივარს არა აქვს წარმატების პერსპექტივა.

საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები არც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საკასაციო სასამართლოს სტაბილური პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძვლით.

ამასთან, საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისით არსებობს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი, რომ დაუშვას ი. ტ-შვილის საკასაციო საჩივარი, რის გამოც საკასაციო საჩივარს უარი უნდა ეთქვას განხილვაზე.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 401-ე მუხლებით და

**და ა დ გ ი ნ ა :**

1. ი. ტ-შვილის საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩეს განუხილველად;
2. ი. ტ-შვილს დაუბრუნდეს გადახდილი სახელმწიფო ზაჟის (300 ლარის) - 70% - 210 ლარი; საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**კასაციის დასაშვებობა**

**განჩინება**

#ას-514-750-08

17 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),  
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),  
ნ. კვანტალიანი**

**დავის საგანი:** სარჩოს დანიშვნის შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა და ზედმეტად გაცემული თანხის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ანაზღაურება

**აღწერილობითი ნაწილი:**

2007 წლის 9 მარტს ტყიბულის რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანმა სახელმწიფო ფონდმა მოპასუხეების - ც. ბ-ძისა და სს «ტყიბულნახშირის» გაკოტრების მმართველის, მესამე პირების - ფინანსთა სამინისტროსა და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა ც. ბ-ძისათვის მარჩენალის გარდაცვალების გამო ზიანის ანაზღაურების მიზნით სარჩოს დანიშვნის შესახებ სს «ტყიბულნახშირის» 2005 წლის 17 აგვისტოს #159 ბრძანების ბათილად ცნობა და ბრძანების საფუძველზე გაცემული სარჩოს თანხის უკან დაბრუნება.

მოსარჩელის მოთხოვნის საფუძველები მდგომარეობდა შემდეგში:

«საქნახშირის» დეპარტამენტის შახტებსა და სხვა საწარმოებში შექმნილი მდგომარეობისა და მათი მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ» საქართველოს სახელმწიფო მეთაურის 1995 წლის 15 ოქტომბრის #429-ა ბრძანებულების მე-6 პუნქტის თანახმად, საქნახშირის დეპარტამენტის შახტებში 1992 წლამდე დასაქმებული მუშახელისათვის ტრავმით გამოწვეული ზარალის ანაზღაურებას ახორციელებდა რესპუბლიკის შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი. 1997 წლის «სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ» კანონის მე-15 მუხლის თანახმად, დეპარტამენტ «საქნახშირის» სისტემის შახტებში 1992 წლამდე მომხდარი ავარიების შედეგად დასახიჩრებულ და დაავადებულ მუშაკებზე დანიშნულ რეგრესულ პენსიებს 1997 წლის განმავლობაში სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი გასცემდა დეპარტამენტ «საქნახშირის» გაანგარიშების საფუძველზე. ბიუჯეტის ყოველწლიური კანონების, ფონდსა და «ტყიბულნახშირის» შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, საზოგადოებიდან მოწოდებული სახელობითი სიების საფუძველზე, სადაც გაანგარიშებული იყო თითოეული მიმღების სარჩოს ოდენობა, ფონდი ახდენდა შესაბამისი თანხების დაფინანსებას. 2006 წლიდან «შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის #48 და «საჯარო სამართლის იურიდიული პირი საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ჩამოყალიბების შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 31 დეკემბრის #558 ბრძანებულებებში ცვლილებებისა და დამატებების თანახმად, საწარმოებში დაზარალებულთა აღრიცხვის, სარჩოს გაანგარიშებისა და ზიანის ანაზღაურების ფუნქცია დაეკისრა ფონდს. შესაბამისად, ფონდმა განახორციელა «ტყიბულნახშირის» ხაზით სარჩოს მიმღებთა პირადი საქმეების მონიტორინგი, მათ შორის შესწავლილ იქნა ც. ბ-ძისათვის სარჩოს დანიშვნის შესახებ საზოგადოების მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერება. შესწავლით დადგინდა, რომ ც. ბ-ძეს დაენიშნა სარჩო მარჩენალი მეუღლის გარდაცვალების გამო. მისმა მეუღლემ ჯ. ფ-ძემ შახტაში მუშაობისას მიიღო ტრავმა და გარდაიცვალა 2003 წლის 1 დეკემბერს.

«შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის #48 ბრძა-

ნებულების მეოთხე თავის შესაბამისად, გარდაცვლილი მარჩენალის ოჯახის შრომისუნარო წევრებს ზიანი უნაზღაურდებოდათ, თუ მარჩენალის გარდაცვალება გამოწვეული იყო შრომითი მოვალეობის შესრულებისას ჯანმრთელობის დაზიანებით. პირის გარდაცვალების მიზეზობრივ კავშირს ადგენდა სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის ბიურო, დაინტერესებული პირის მიმართვის შემთხვევაში. ამასთან, ზიანის ანაზღაურების დაკისრება ითვალისწინებდა განსაზღვრული პირობების არსებობას, კერძოდ, უნდა არსებულიყო ზიანი, უნდა მომხდარიყო ზიანის მიყენება მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით, არსებულიყო მართლსაწინააღმდეგო მოქმედება და ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირი და - ზიანის მიმყენებლის ბრალი.

რამდენადაც ც. ბ-მის პირადი საქმით არ დგინდებოდა მისი მეუღლის გარდაცვალების მიზეზობრივი კავშირი წარმოებაში მომხდარ ტრავმასთან, აღნიშნული თვალსაზრისით არსებობდა ც. ბ-მისათვის სარჩოს დანიშვნის შესახებ ბრძანების ბათილად ცნობის საფუძველი.

ტყიბულის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილებით საქართველოს სოციალური სუბსიდიების სააგენტოს სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, უკანონოდ იქნა აღიარებული სს «ტყიბულნახშირის» 2005 წლის 17 აგვისტოს #159 ბრძანება ც. ბ-მის მიმართ მარჩენალის გარდაცვალების გამო ზიანის ანაზღაურების სარჩოს დანიშვნის შესახებ, სს «ტყიბულნახშირის» მიმართ საქმის წარმოება შეწყდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «ზ» ქვეპუნქტისა და სამოქალაქო კოდექსის 25-ე მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, სამეწარმეო რეესტრიდან ამოშლის გამო; ც. ბ-მის დაეკისრა ამ ბრძანებით უსაფუძვლოდ დარიცხული და მიღებული თანხის სოციალური სუბსიდიების სააგენტოს სახაზინო ანგარიშის სასარგებლოდ ანაზღაურება.

რაიონულმა სასამართლომ საქმეზე დადგინებულად მიიჩნია, რომ ც. ბ-მის მეუღლე ჯ. ფ-მემ 1987 წლის 31 დეკემბერს მიიღო საწარმოო ტრავმა, თავის დაჟეჟილობა, ხოლო 2003 წლის 1 დეკემბერს გარდაიცვალა გულსისხლძარღვთა უკმარისობით. ც. ბ-მეს მარჩენალის გარდაცვალების გამო სარჩო დაენიშნა სს «ტყიბულნახშირის» 2005 წლის 17 აგვისტოს #159 ბრძანებით, ისე, რომ დადგენილი არ ყოფილა, არსებობდა თუ არა მიზეზობრივი კავშირი საწარმოო ტრავმასა და ჯ. ფ-მის გარდაცვალებას შორის.

რაიონულმა სასამართლომ არ გაიზიარა სს «ტყიბულნახშირის» წარმომადგენლის მოსაზრება იმის შესახებ, რომ სამოქალაქო კოდექსი და «შრომითი მოვალეობის შესრულებისას ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის #48 ბრძანებულება ზიანის ანაზღაურებისათვის მიზეზობრივი კავშირის დადგენას არ მოითხოვდა და განმარტა, რომ სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. ამავე კოდექსის 412-ე მუხლის მიხედვით, ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს. სასამართლოს მითითებით, მიზეზობრივი კავშირის არსებობა დადგენილი უნდა ყოფილიყო სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის დასკვნით, რადგან მითითებული საკითხის განმარტება საჭიროებდა სპეციალურ ცოდნას. «სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შესახებ» საქართველოს კანონის 46-ე მუხლის «ე» ქვეპუნქტის შესაბამისად, აღნიშნულ ექსპერტიზას ევალება, განსაზღვროს შრომით დასახიჩრებასთან მარჩენალის გარდაცვალების მიზეზობრივი კავშირის არსებობა.

ზემოაღნიშნულ საკითხზე მსჯელობისას რაიონულმა სასამართლომ მიუთითა ზიანის მიმყენებლის მიმართ პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის სამოქალაქო კანონმდებლობით გათვალისწინებული რიგი პირობების არსებობის აუცილებლობაზე, კერძოდ: სახეზე უნდა არსებულიყო ზიანი; იგი გამოწვეული უნდა ყოფილიყო მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით; მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და ზიანს შორის უნდა ყოფილიყო მიზეზობრივი კავშირი და უნდა არსებულიყო ზიანის მიმყენებლის ბრალი. რამდენადაც სადავო შემთხვევაში არ დგინდებოდა მიზეზობრივი კავშირი საწარმოო ტრავმასა და ჯ. ფ-მის გარდაცვალებას შორის, რაიონულმა სასამართლომ მარჩენალის გარდაცვალების გამო ზიანის ანაზღაურების მიზნით სარჩოს დანიშვნის შესახებ სს «ტყიბულნახშირის» 2005 წლის 17 აგვისტოს #159 ბრძანება კანონშესაბამოდ მიიჩნია. იმავდროულად სასამართლომ ჩათვალა, რომ გაკოტრების საქმის წარმოების დამთავრებისა და სამეწარმეო რეესტრიდან ამოშლის გამო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «ზ» პუნქტისა და სამოქალაქო კოდექსის 25-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სს «ტყიბულნახშირის» მიმართ საქმე წარმოებით უნდა შეწყვეტილიყო, ხოლო ც. ბ-მეს ამ ბრძანებით უსაფუძვლოდ დარიცხული და მიღებული თანხა ანაზღაურებისათვის სოციალური სუბსიდიების სააგენტოს სახაზინო ანგარიშის სასარგებლოდ.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ც. ბ-მემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 14 თებერვლის განჩინებით მოცემულ დავაზე დაინიშნა ექსპერტიზა, რომლის 2008 წლის 27 მარტის პასუხის შესაბამისად, 1987 წელს მიღებულ საწარმოო ტრავმასა და გარდაცვალების უშუალო მიზეზს შორის კავშირი არ დგინდებოდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილებით ც. ბ-მის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა - გაუქმდა ტყიბულის

რაიონული სასამართლოს 2007 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილება ც. ბ-ძისათვის უსაფუძვლოდ დარიცხული და მიღებული თანხების სოციალური სუბსიდიების სააგენტოს სახაზინო ანგარიშის სასარგებლოდ ანაზღაურების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, სარჩელი ც. ბ-ძისათვის უსაფუძვლოდ დარიცხული და მიღებული თანხების სოციალური სუბსიდიების სააგენტოს სახაზინო ანგარიშის სასარგებლოდ ანაზღაურების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია, რომ ც. ბ-ძის მეუღლე ჯ. ფ-ძემ 1987 წლის 31 დეკემბერს მიიღო საწარმოო ტრავმა თავის დაუქვილობა, ხოლო 2003 წლის 1 დეკემბერს გარდაიცვალა გულსისხლძარღვთა უკმარისობით. «შრომითი მოვალეობის შესრულებისას ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის #48 ბრძანებულების, ჯ. ფ-ძის გარდაცვალების დროისათვის მოქმედი რედაქციის თანახმად, მარჩენალის გარდაცვალების გამო ზიანის ანაზღაურება მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდებოდა, თუ მარჩენალის გარდაცვალების მიზეზი გახდებოდა საწარმოში მიღებული ტრავმა. აპელანტის შუამდგომლობის საფუძველზე დანიშნული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ჯ. ფ-ძის გარდაცვალებასა და საწარმოო ტრავმას შორის მიზეზობრივი კავშირი არ არსებობდა, რის გამოც სააპელაციო სასამართლომ ც. ბ-ძისათვის მარჩენალის გარდაცვალების გამო სარჩოს დანიშვნა კანონმუ-საბამოდ მიიჩნია. აღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ არსებობდა სს «ტყიბულნახშირის» 2005 წლის 17 აგვისტოს #159 ბრძანების უკანონოდ აღიარების საფუძველი.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, რაიონულ სასამართლოს თანხის დაბრუნების შესახებ საკითხის გადაწყვეტისას უნდა ეხელმძღვანელა «შრომითი მოვალეობის შესრულებისას ჯანმრთელო-ბისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის #48 ბრძანებულების 61-ე მუხლით, რომლის თანახმად, ზიანის ანაზღაუ-რებისათვის გაცემული თანხები შეიძლება ამოღებულ იქნეს უკან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თანხების გაანგარიშება მოხდა წინასწარ გამიზნული ყალბი საბუთების საფუძველზე, ანგარიშში შეცდო-მის გაპარვის ან მონაცემთა დამალვის შემთხვევაში, რამაც გავლენა იქონია ზიანის თანხის ოდენობაზე. რამდენადაც მოსარჩელეს არ მიუთითებია იმ გარემოებებზე, რაც გაცემული თანხის უკან დაბრუნების კანონით გათვალისწინებული საფუძველი შეიძლება გამხდარიყო, სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ ც. ბ-ძისათვის თანხის დაბრუნების დავალდებულების საფუძველი არ არსებობდა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ც. ბ-ძემ სარჩელის დაკმაყოფილებული მოთხოვნის უცვლელად დატოვების ნაწილში და მოითხოვა აღნიშნულ ნაწილში ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სს «ტყიბულნახშირის» 2005 წლის 17 აგვისტოს #159 ბრძანების უკანონოდ აღიარების მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასატორი არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას სარჩოს მიღების უფლების მოსაპოვებლად საწარმოო ტრავმასა და პირის გარდაცვალებას შორის მიზეზობრივი კავშირის აუცილებ-ლობის თაობაზე, რამდენადაც მარჩენალის გარდაცვალების გამო სარჩოს დანიშვნის საკითხი უწინარეს ყოვლისა უნდა გადაწყვეტილიყო სამოქალაქო კოდექსის 1006-ე მუხლით, რომლის თანახმად, დაზარა-ლებულის გარდაცვალების შემთხვევაში ზიანის მიმყენებელმა სარჩოს დაწესებით უნდა აუნაზღაუროს ზიანი იმ პირებს, რომელთა რჩენაც დაზარალებულს ევალებოდა. კანონის აღნიშნულ ნორმაში არაფერია ნათქვამი მიზეზობრივ კავშირზე. მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 6 თებერვლის #93 ბრძანებულებით «შრომითი მოვალეობის შესრულებისას ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის #48 ბრძანებულება ძალადაკარგულად იქნა გამოცხადებული, რის გამოც ამ დროიდან მარჩენალის დაკარგვის გამო სარჩოს დანიშვნის პირობები მნიშვნელოვნად იყო გაუმჯობესებული.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ც. ბ-ძის საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის მოთხოვნებს, რის გამოც მიჩნეულ უნდა იქნეს დაუშვებლად, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილი განსაზღვრავს საკასაციო საჩივრის განსახილველად დაშვების ამომწურავ პირობებს, როგორცაა: ა. საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; გ. სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; დ. გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული არც ერთი ზემომითითებული საფუძველით.

კასატორი ვერ ასაბუთებს სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვას მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რამაც არსებითად იმოქმედა საქმის შედეგზე და განაპირობა არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა.

საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები არც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საკასაციო სასამართლოს პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძველით.

ამასთან, საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს მიერ საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე, ც. ბ-ძის საკასაციო საჩივარი არ ექვემდებარება განსახილველად დაშვებას.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 401-ე მუხლებით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა :**

1. ც. ბ-ძის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილებაზე მიჩნეულ იქნეს დაუშვებლად;
2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **კასაციის დასაშვებობა**

#### **განჩინება**

#ას-529-762-08 12 სექტემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავტრების საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),  
რ. ნადირიანი (მომხსენებელი),  
თ. თოდრია**

**დავის საგანი:** სამუშაოზე აღდგენა, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2005 წლის 9 აგვისტოს ი. შ-ინმა სასარჩელო განცხადებით მიმართა გორის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის გორის ფილიალის მიმართ და მოითხოვა მისი გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და იძულებით გაცდენილი დროის ხელფასის ანაზღაურება.

მოსარჩელის განმარტებით, იგი სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის გორის ფილიალში, უვადო შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, წამყვანი სპეციალისტის თანამდებობაზე მუშაობდა. სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის გორის ფილიალის უფროსის 2005 წლის 4 აგვისტოს #38 ბრძანებით, შრომის კანონთა კოდექსის 34-ე მუხლის პირველი ნაწილის «თ» ქვეპუნქტის შესაბამისად, იგი გათავისუფლებულ იქნა დაკავებული თანამდებობიდან. აღნიშნულ ბრძანებას საფუძველად დაედო კონტროლის პალატის მიერ სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის გორის ფილიალში 2000 წლის 1 იანვრიდან 2004 წლის 1 ნოემბრამდე პერიოდის კომპლექსური რევიზიის შედეგად გამოვლენილი დარღვევები, რომლებზე პასუხისმგებელ პირად ი. შ-ინი იქნა მიჩნეული. 2005 წლის 1 ივლისს მოპასუხის მიერ გამოცემულ იქნა #22 ბრძანება, რომლის მიხედვითაც, მისი სამუშაოდან გათავისუფლების საკითხი განიხილებოდა მისი დროებითი შრომისუნარობის ფურცელზე ყოფნის პერიოდის გასვლის შემდეგ.

ი. შ-ინის მითითებით, მოპასუხის ბრძანება სამუშაოდან მისი გათავისუფლების შესახებ იყო უკანონო და იგი ბათილად უნდა ყოფილიყო ცნობილი, ვინაიდან კონტროლის პალატის აქტში მითითებული დარღვევები მისი ბრალით არ იყო გამოწვეული და მისი მხრიდან გადაცდომა არ მომხდარა.

გორის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 13 სექტემბრის გადაწყვეტილებით ი. შ-ინის სარჩელი სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის გორის ფილიალის მიმართ ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის, სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურების თაობაზე არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლოდის გამო.

სასამართლომ დადაგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის გორის ფილიალი შექმნილია «საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ» კანონისა და «საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ» კანონისა და «საჯარო სამართლის იურიდიული პირის» სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ჩამოყალიბების შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 31 დეკემბრის #558 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის «ე» ქვეპუნქტის საფუძველზე;

ფილიალი თავის საქმიანობას წარმართავს მოქმედი კანონმდებლობით და ფონდის გენერალური დირექტორის ბრძანებების საფუძველზე;

გორის ფილიალი არ წარმოადგენს იურიდიულ პირს, იგი თავის საქმიანობას ახორციელებს 2004 წლის 3 დეკემბრის #01/163 ბრძანებით დამტკიცებული დებულების შესაბამისად;

აღნიშნული დებულებით, ფილიალის უფროსს ფონდის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, შეეძლო გამოეცა ბრძანება ფონდის მუშაკის, განსახილველ შემთხვევაში, ი. შ-ინის თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე;

მოსარჩელის თანამდებობიდან გათავისუფლებას საფუძველად დაედო კონტროლის პალატის მიერ გამოვლენილი ცალკეული დარღვევები, რომლებზეც პასუხისმგებელ პირად მითითებული იქნა ი. შ-ინი.

სასამართლომ მიუთითა, რომ მოპასუხემ შრომის კანონთა კოდექსის 34-ე მუხლის პირველი ნაწილის «თ» პუნქტი მოცემულ შემთხვევაში გამოიყენა თავისი კომპეტენციისა და უფლებამოსილებების ფარგლებში, რითაც განახორციელა მასზე მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილება.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ი. შ-ინმა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

აღნიშნული საქმე არაერთხელ იქნა განხილული ზემდგომი ინსტანციების სასამართლოების მიერ და, ბოლოს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 26 მარტის გადაწყვეტილებით შეიცვალა გორის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 13 სექტემბრის გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით ი. შ-ინის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადაგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ი. შ-ინი მუშაობდა სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის გორის ფილიალში უფროს ინსპექტორად, ხოლო შემდეგ «საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის სტრუქტურული ერთეულების რეორგანიზაციის შესახებ» საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის გენერალური დირექტორის 2004 წლის 3 დეკემბრის #01/163-0 ბრძანების საფუძველზე, გორის ფილიალში 2005 წლის პირველი თებერვლიდან განხორციელებული რეორგანიზაციისა და შტატების შემცირების გამო, დაინიშნა ფილიალის წამყვან სპეციალისტად;

კონტროლის პალატის მიერ სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი გორის ფილიალში ჩატარებული კომპლექსური რევიზიის შედეგად, გამოვლენილ იქნა სერიოზული დარღვევები საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის, პენსიების დანიშვნა-გადაანგარიშებისა და გაცემასთან დაკავშირებით;

აღნიშნულთან დაკავშირებით გორის ფილიალის უფროსის 2005 წლის 4 აგვისტოს #38 ბრძანების საფუძველზე, ი. შ-ინი გათავისუფლდა წამყვანი სპეციალისტის თანამდებობიდან. ბრძანების საფუძველად მიეთითა კონტროლის პალატის მიერ გორის ფილიალში ჩატარებული კომპლექსური რევიზიის შედეგად გამოვლენილი დარღვევები, რომლებზეც პასუხისმგებელ პირად მითითებული იქნა ი. შ-ინი.

ი. შ-ინის განმარტება იმასთან დაკავშირებით, რომ გამოვლენილი დარღვევები მისი ბრალით არ იყო გამოწვეული და მისი მხრიდან გადადგომა არ მოხდარა, სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა, ვინაიდან საქართველოს სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის რაიონული განყოფილების დებულების შესაბამისად, ი. შ-ინი ხელს აწერდა და პასუხისმგებელი იყო სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანხების გაცემის კანონიერებაზე, შესაბამისად, თანამდებობრივი უფლება-მოვალეობებიდან გამომდინარე, აღნიშნულ დარღვევებზე პასუხისმგებელ პირად სწორედ იქნა მიჩნეული ი. შ-ინი. ამასთან, სასამართლომ მიუთითა, რომ მოსარჩელის წამყვან სპეციალისტად მუშაობისას გამოვლენილი დარღვევები ადმინისტრაციის მხრიდან ი. შ-ინის მიმართ ნდობის დაკარგვის საფუძველად შეიძლება შეფასებულიყო.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ი. შ-ინმა, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის განსახილველად იმავე სასამართლოში დაბრუნება.

კასატორის განმარტებით, სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა იგი, კერძოდ, სასამართლომ არასწორად გამოიყენა შრომის კანონთა კოდექსის 34-ე მუხლის «თ» ქვეპუნქტი, რომლის არასწორი განმარტებით მიიღო უკანონო გადაწყვეტილება;

კასატორის აზრით, სააპელაციო სასამართლომ საქმის განხილვისას ფაქტობრივად არ იმსჯელა მის მიერ მოთხოვნის დასასაბუთებლად და დასამტკიცებლად წარდგენილ არც ერთ დოკუმენტზე და განიხილა მხოლოდ კონტროლის პალატის აქტი და მოპასუხე მხარის მიერ საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტები. სასამართლომ არასრულად და სუბიექტურად განიხილა საქმეზე ფაქტობრივი გარემოებები და, შესაბამისად, არასწორი დასკვნა გააკეთა მის მატერიალურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით.

ამასთან, კასატორმა აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო პალატამ არ განიხილა და არ იმსჯელა დავის იმ ნაწილზე, რომელზეც იმსჯელა სააპელაციო ადმინისტრაციულმა პალატამ.



ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ი. შ-ინი მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია, რაც წარმოადგენს მნიშვნელოვან საპროცესო დარღვევას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავორების საქმეთა პალატის 2008 წლის 30 ივნისის განჩინებით ი. შ-ინის საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული დასაშვებობის შესამოწმებლად. მოწინააღმდეგე მხარეს განესაზღვრა 5 დღის ვადა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის დასაშვებობის წინაპირობებთან დაკავშირებით მოსაზრებების წარმოსადგენად.

ი. შ-ინის საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხზე, საკასაციო სასამართლოში სოციალური სუბსიდიების წარმომადგენელმა ე. საბიაშვილმა წარმოადგინა მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ საკასაციო საჩივარი დაუშვებელია, რადგან იგი არ აკმაყოფილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მოთხოვნებს.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ი. შ-ინის საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მოთხოვნებს, რის გამოც მიჩნეულ უნდა იქნეს დაუშვებლად, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის შესაბამისად, საკასაციო საჩივარი ქონებრივ და სხვა არაქონებრივ დავებში დასაშვებია, თუ: ა) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; დ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე. ზემოაღნიშნული ნორმები განსაზღვრავს იმ მოთხოვნებს, რომელთაც საკასაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს და ეფუძნებოდეს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული არცერთი ზემომითითებული საფუძვლით.

სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე არ არის განხილული მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით, ვერც კასატორი მიუთითებს რაიმე ისეთ საპროცესო დარღვევაზე, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე, რის გამოც საკასაციო საჩივარს არა აქვს წარმატების პერსპექტივა.

საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები არც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საკასაციო სასამართლოს სტაბილური პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძვლით. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება არ განსხვავდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან.

ამასთან, საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი დაუშვას ი. შ-ინის საკასაციო საჩივარი, რის გამოც საკასაციო საჩივარს უარი უნდა ეთქვას განხილვაზე.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 401-ე მუხლებით და

### **და ა ა დ გ ი ნ ა :**

1. ი. შ-ინის საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი დარჩეს განუხილველად.
2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## კასაციის დასაშვებობა

### განჩინება

#ას-473-714-08

19 სექტემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),  
რ. ნადირიანი (მომხსენებელი),  
თ. თოდრია**

**დავის საგანი:** შრომითი მოვალეობის შესრულებისას ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ასანაზღაურებლად სარჩოდ დაკისრება.

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

გ. კ-მემ სარჩელით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოპასუხე შპს «მშენებელი 2000-ის» მიმართ და მოითხოვა მოპასუხისათვის მის სასარგებლოდ შრომითი მოვალეობის შესრულებისას ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად 1990 წლიდან გადაწყვეტილების გამოტანამდე და მას შემდეგ ყოველთვიური სარჩოს გადახდის დაკისრება.

მოსარჩელის განმარტებით, მუშაობდა ქ. ბათუმის #5 სამშენებლო ტრესტში. 1967 წლის 14 აგვისტოს სპორტული დარბაზის თავზე ფილებით სახურავის მონტაჟის დროს ჩამოინგრა მონოლითური რკინა-ბეტონის კოჭი, რის შედეგადაც ჩამოვარდა და მიიღო საწარმოო ტრამვა. აღნიშნულის გამო, დაინვალიდა და დაკარგა შრომის უნარი. საწარმოო ტრამვის შედეგად მიღებული შრომის უნარის დაკარგვის გამო, 1967 წლიდან 1990 წლამდე ღებულობდა პენსიას, მაგრამ შემდგომ შეუწყდა თანხას არც #5 ტრესტი და არც რომელიმე სხვა სახელმწიფო ორგანო უხდიდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გ. კ-მემ მოითხოვა 1990 წლიდან მთლიანი დავალიანების ანაზღაურება და ყოველთვიური სარჩოს დანიშვნა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილებით გ. კ-მის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, შპს «მშენებელი 2000-ს» გ. კ-მის სასარგებლოდ დაეკისრა შრომითი მოვალეობის შესრულებისას ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად გამოწვეული ზიანისათვის ყოველთვიური სარჩოს ანაზღაურება 2001 წლის 20 დეკემბრიდან და ყოველთვიური სარჩოს ოდენობად 2003 წლის 11 სექტემბრამდე განესაზღვრა თვეში 140 ლარი, სულ - 2940 ლარი, ხოლო 2003 წლის 11 სექტემბრიდან გადაწყვეტილების მიღებამდე დაეკისრა სარჩოს სახით თვეში 42 ლარის გადახდა, რამაც 40 თვის განმავლობაში შეადგინა - 1680 ლარი. სულ შპს «მშენებელი 2000»-ს გ. კ-მის სასარგებლოდ დაეკისრა ფულადი თანხის გადახდა 4620 ლარის ოდენობით, მასვე დაეკისრა მინიმალური ხელფასის ოდენობაში ცვლილებების შეტანამდე გ. კ-მის სასარგებლოდ ყოველთვიურად 42 ლარის გადახდა სარჩოს სახით, დანარჩენ ნაწილში გ. კ-მეს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა გ. კ-მემ, მოითხოვა მისი გაუქმება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 10 მარტის განჩინებით გ. კ-მის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

საქმის მასალებში არსებული უბედური შემთხვევის აქტით სააპელაციო სასამართლომ დადგინდა, რომ საწარმოო ტრამვა გამოწვეული იყო #5 ტრესტის ბრალით, რის გამოც გ. კ-მეს შრომის უნარი დაეკარგა 70%-ით. მოცემული ურთიერთობა პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას მიეკუთვნება.

აღნიშნულის გამო, საქმეში არსებული #5 ტრესტის ცნობით სასამართლომ დადგინდა, რომ მოსარჩელე პენსიას იღებდა 1998 წლამდე.

შპს «მშენებელი 2000» არის #5 ტრესტის უფლებამონაცვლე და იგი არც გაკოტრებულა და არც ლიკვიდირებულია.

სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ, ვინაიდან მოცემული ურთიერთობა პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას მიეკუთვნება და მასზე ვრცელდება ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა, ბათუმის საქალაქო სასამართლომ სწორად დააკისრა მოპასუხეს 4620 ლარი სამი წლის ანგარიშით და არა მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი 14 წლის პერიოდით - 11760 ლარი. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ ასევე სწორად მიიჩნია, ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ მოპასუხეზე მოსარჩელის სასარგებლოდ ყოველთვიურად 42 ლარის დაკისრება.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა გ. კ-მემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

კასატორის აზრით, სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რაც მოცემულ შემთხვევაში არასწორია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 21 ივლისის განჩინებით გ. კ-ძის საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული დასაშვებობის შესამოწმებლად. მოწინააღმდეგე მხარეს განესაზღვრა 5 დღის ვადა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის დასაშვებობის წინაპირობებთან დაკავშირებით მოსაზრებების წარმოსადგენად.

გ. კ-ძის საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხზე, საკასაციო სასამართლოში მოწინააღმდეგე მხარეს მოსაზრება არ წარმოუდგენია.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ გ. კ-ძის საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მოთხოვნებს, რის გამოც მიჩნეულ უნდა იქნეს დაუშვებლად, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის შესაბამისად, საკასაციო საჩივარი ქონებრივ და სხვა არაქონებრივ დავებში დასაშვებია, თუ ა) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; დ) გასაჩივრებულმა სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე. ზემოაღნიშნული ნორმები განსაზღვრავს იმ მოთხოვნებს, რომელთაც საკასაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს და ეფუძნებოდეს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული არც ერთი ზემომითითებული საფუძველით.

სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე არ არის განხილული მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით, ვერც კასატორი მიუთითებს რაიმე ისეთ საპროცესო დარღვევაზე, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე, რის გამოც საკასაციო საჩივარს არა აქვს წარმატების პერსპექტივა.

საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები არც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საკასაციო სასამართლოს სტაბილური პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძველით. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება არ განსხვავდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან.

ამასთან, საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი დაუშვას გ. კ-ძის საკასაციო საჩივარი, რის გამოც საკასაციო საჩივარს უარი უნდა ეთქვას განხილვაზე.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 401-ე მუხლებით და

### **და ა ა დ გ ი ნ ა :**

1. გ. კ-ძის საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი დარჩეს განუხილველად.
2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## კასაციის დასაშვებობა

### განჩინება

#ას-572-801-08

19 სექტემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),  
რ. ნადირიანი (მომხსენებელი),  
თ. თოდრია**

**დავის საგანი:** უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2003 წლის 5 ივნისს რ. ბ-მემ სარჩელით მიმართა თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს მოპასუხე შპს «ორბის» მიმართ და მოითხოვა მოპასუხისათვის ქ. თბილისში, ... ქუჩის ბოლოში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთის ნახაზში საზღვრების შეცვლის შესახებ ცვლილებების შეტანის დავალდებულება და შპს «ორბის» უკანონო მფლობელობიდან 250 კვ.მ თავისუფალი მიწის ნაკვეთის დაბრუნება მწვანე ნარგავებით.

თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2004 წლის 13 თებერვლის გადაწყვეტილებით რ. ბ-მის სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლოდ გამო.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა რ. ბ-მ.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2004 წლის 20 ოქტომბრის განჩინებით რ. ბ-მის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, რომელზეც საკასაციო საჩივარი შეიტანა რ. ბ-მემ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 5 მაისის განჩინებით რ. ბ-მის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

2006 წლის 30 აგვისტოს რ. ბ-მემ განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას და მოითხოვა, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2004 წლის 13 თებერვლის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება.

რ. ბ-მის განმარტებით, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდგომ, მიმართა ენერალურ პროკურატურას მოპასუხე მხარის მიერ სასამართლოსათვის ყალბი დოკუმენტის წარდგენის თაობაზე. გამოძიებისას მისთვის ცნობილი გახდა, რომ შპს «ორბმა» დაარღვია თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის 1987 წლის 28 მაისის გადაწყვეტილება, საბურთალოს რისაბჭოს აღმასკომის 1989 წლის 5 მაისის გადაწყვეტილება და შპს «ორბის» ხელმძღვანელობის საცხოვრებელი კორპუსი ააშენა იქ, სადაც არ უნდა აეშენებინა, შესაბამისად, აღნიშნული გარემოება მისთვის ცნობილი რომ ყოფილიყო საქმის განხილვისას, სხვაგვარი გადაწყვეტილება იქნებოდა გამოტანილი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 5 აპრილის განჩინებით რ. ბ-მის განცხადება თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2004 წლის 13 თებერვლის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული განჩინება სააპელაციო წესით გაასაჩივრა რ. ბ-მემ, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება იმავე სასამართლოსათვის.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 18 მარტის განჩინებით რ. ბ-მის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის 1987 წლის 28 მაისის გადაწყვეტილების შესახებ შპს «ორბისათვის» საცხოვრებელი სახლებების მშენებლობისათვის ტერიტორიის გამოყოფის თაობაზე, რ. ბ-მის მიერ მითითებულია 2003 წლის 5 ივნისს სასამართლოში წარდგენილ სარჩელში. გადაწყვეტილებაზე იმსჯელა ყველა ინსტანციის სასამართლომ, რაც აისახა მათ მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებასა და განჩინებებში. აღნიშნულის გამო, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ რ. ბ-მისთვის მითითებული გარემოება ცნობილი იყო საქმის სასამართლოში განხილვის პერიოდშიც და, შესაბამისად, იგი ახლად აღმოჩენილ გარემოებად ვერ ჩაითვლებოდა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა რ. ბ-მემ, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება იმავე სასამართლოსათვის.

კასატორის აზრით, სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება უსაფუძვლოა, ვინაიდან იგი არ გამომდინარეობს საქმის ფაქტობრივი ვითარებიდან, რის გამოც უნდა გაუქმდეს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 18 ივლისის განჩინებით რ. ბ-მის საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული დასაშვებობის შესამოწმებლად. მოწინააღმდეგე მხარეს განესაზღვრა 5 დღის ვადა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის დასაშვებობის წინაპირობებთან დაკავშირებით მოსაზრებების წარმოსადგენად.

რ. ბ-ძის საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხზე, საკასაციო სასამართლოში მოწინააღმდეგე მხარეს მოსაზრება არ წარმოუდგენია.

**სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ რ. ბ-ძის საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მოთხოვნებს, რის გამოც მიჩნეულ უნდა იქნეს დაუშვებლად, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის შესაბამისად, საკასაციო საჩივარი ქონებრივ და სხვა არაქონებრივ დავებში დასაშვებია, თუ: ა) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; დ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე. ზემოაღნიშნული ნორმები განსაზღვრავს იმ მოთხოვნებს, რომელთაც საკასაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს და ეფუძნებოდეს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული არცერთი ზემომითითებული საფუძვლით.

სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე არ არის განხილული მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით, ვერც კასატორი მიუთითებს რაიმე ისეთ საპროცესო დარღვევაზე, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე, რის გამოც საკასაციო საჩივარს არა აქვს წარმატების პერსპექტივა.

საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები არც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საკასაციო სასამართლოს სტაბილური პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძვლით. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება არ განსხვავდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან.

ამასთან, საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი დაუშვას რ. ბ-ძის საკასაციო საჩივარი, რის გამოც საკასაციო საჩივარს უარი უნდა ეთქვას განხილვაზე.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 401-ე მუხლებით და

**და ა ა დ გ ი ნ ა :**

1. რ. ბ-ძის საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი დარჩეს განუხილველად.
2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## კასაციის დასაშვებობა

### განჩინება

#ას-581-808-08

6 ოქტომბერი 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),  
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),  
ნ. კვანტალიანი**

**დავის საგანი:** ჩუქების ხელშეკრულების გაუქმება

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 26 ივნისს სამტრედიის რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა რ. ხ-უამ მოპასუხეების - კ. ლ-შვილისა და გ. რ-ვას მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა ჩუქების ხელშეკრულების გაუქმება. მოსარჩელის მითითებით, 2002 წლის 21 ივნისის ჩუქების ხელშეკრულებით შპს «დიაოხმა» შპს «ვირაჟზე» გააჩუქა შპს-ს კუთვნილი 46210 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, მდებარე სამტრედიის რ-ნის სოფ. ... მხარეთა შორის არსებობდა სიტყვიერი შეთანხმება, რომ ამ ნაკვეთზე აშენდებოდა საგზაო სამსახურის ბაზა, ასფალტ-ბეტონის ქარხანა, ბეტონის ქარხანა, ქვის სამტრედიე ქარხანა. ამასთან, დასაჩუქრებულს უნდა გაერემონტებინა მჩუქებლის საკუთრებასა და გაჩუქებულ მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა-ნაგებობანი და გადაეხადა ქირა. ქონების გაჩუქების მიზანს შპს «დიაოხის» გაძლიერება წარმოადგენდა. შპს «ვირაჟს» უნდა მოეზიდა ინვესტორები. იმის გამო, რომ შპს «ვირაჟმა» დაარღვია ეს პირობები, მოსარჩელე ჩავარდა მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში, რაც სამოქალაქო კოდექსის 529-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების საფუძველს წარმოადგენს.

2007 წლის 6 სექტემბრისა და 13 სექტემბრის საოქმო განჩინებებით პირველი ინსტანციის სასამართლოში სათანადო მოსარჩელედ ჩაბმულ იქნა შპს «დიაოხი», ხოლო სათანადო მოპასუხედ - შპს «ვირაჟისა» და შპს «საქართველოს გზების სამშენებლო კომპანიის» შერწყმის შედეგად არსებული შპს «საქართველოს გზების სამშენებლო კომპანია».

სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილებით შპს «დიაოხის» სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა: 2002 წლის 21 ივნისს შპს «დიაოხსა» და შპს «ვირაჟს» შორის დადებული ჩუქების ხელშეკრულება გაუქმდა და გაჩუქებული 46210 კვ.მ მიწის ნაკვეთი დაუბრუნდა შპს «დიაოხს».

პირველი ინსტანციის სასამართლომ მიუთითა, რომ მოსარჩელე შპს «დიაოხი» ჩუქების ხელშეკრულების გაუქმებას მოითხოვს ორი მოტივით: ერთი - შპს «საქართველოს გზების სამშენებლო კომპანია» მძიმე შეურაცხყოფა მიაყენა და დიდი უმადურობა გამოიჩინა მჩუქებლის მიმართ და მეორე - ჩუქების შემდეგ მჩუქებელი მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში აღმოჩნდა და არ შეუძლია საკუთარი თავის ან მის კმაყოფაზე მყოფი პირების რჩენა. საქმეში არ მოიპოვება იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, თუ რა სახის მძიმე შეურაცხყოფა მიაყენა შპს «საქართველოს გზების სამშენებლო კომპანია» შპს «დიაოხს». რაც შეეხება უმადურობას, ამ ნაწილში მხარე თავის მოთხოვნას მხოლოდ საკუთარ ახსნა-განმარტებაზე აფუძნებს და საუბრობს ჩუქების ხელშეკრულების დადებისას ზეპირად პირობის დათქმაზე, რომლის თანახმად, შპს «საქართველოს გზების სამშენებლო კომპანიის» უნდა გაერემონტებინა გადაცემული შენობა-ნაგებობანი. გარემონტების ნაცვლად კი დღეს შპს «საქართველოს გზების სამშენებლო კომპანია» შპს «დიაოხის» დირექტორსა და დამფუძნებლებს არ უშვებს აღნიშნულ შენობებში. ამასთან, სხვა მტკიცებულება, გარდა რ. ხ-უას ახსნა-განმარტებისა, საქმეში არ მოიპოვება და ვინაიდან მეორე მხარე საწინააღმდეგოს აცხადებს, იგი არ შეიძლება მტკიცებულებად იქნეს მიჩნეული და საფუძველად დაედოს სასამართლოს გადაწყვეტილებას.

გარდა ამისა, სამტრედიის რაიონულმა სასამართლომ დადგინდად მიიჩნია, რომ შპს «დიაოხის» მიერ გაჩუქების შემდეგ განსაზღვრული დროის განმავლობაში იგი აღმოჩნდა უმძიმეს მდგომარეობაში. გაჩუქებული ნივთი კი რეალურად დასაჩუქრებულის მფლობელობაშია. სასამართლომ განმარტა, რომ შპს «დიაოხს» გაჩუქებული ნივთის მოთხოვნის საფუძველი ხელოვნურად არ შეუქმნია და მძიმე მდგომარეობაში იგი არ აღმოჩენილა მისი განზრახი მოქმედებით ან უხეში გაუფრთხილებლობით. ამასთან, სასამართლომ მიიჩნია, რომ ვინაიდან სამოქალაქო კოდექსით გაჩუქებული ნივთის გამოთხოვასთან დაკავშირებით ხანდაზმულობის რაიმე სპეციალური ვადა არაა დაწესებული, ამ შემთხვევაში ამავე კოდექსის 129-ე მუხლით დადგენილი ხანდაზმულობის საერთო ვადები მოქმედებს. ამდენად, შპს «დიაოხს» სრული უფლება აქვს, ჩუქების ხელშეკრულების ბათილობა და გაჩუქებული ნივთის დაბრუნება მოითხოვოს, რაც, პირველი ინსტანციის სასამართლოს აზრით, საფუძველიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს «საქართველოს გზების სამშენებლო კომპანია», რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

აპელანტი აქცენტს აკეთებს იმ გარემოებაზე, რომ საქმის მასალებიდან არანაირად არ დასტურდება რაიმე პირობის არსებობა ჩუქების ხელშეკრულებასთან დაკავშირებით. მისი აზრით, არასწორია გადაწყვეტილების მსჯელობა, რომ შპს «საქართველოს გზების სამშენებლო კომპანია» დაეუფლა მისთვის ნაჩუქარ ნივთს და ამით გამოიჩინა უმადურობა. აპელანტის განმარტებით, სასამართლომ არ გაამახვილა ყურადღება იმაზე, რომ თვით მოსარჩელის განცხადებით ჩუქების ხელშეკრულების გაფორმებისას შპს «დიაოხი» ფაქტობრივად არ მუშაობდა და შემოსავალი არ ჰქონდა. ამასთან, რაიონულმა სასამართლომ არ მიაქცია ყურადღება იმას, რომ სადავო მიწის ნაკვეთი არის იპოთეკით დატვირთული სესხის ხელშეკრულებების უზრუნველსაყოფად, რაც, ალბათ, სრულად გამორიცხავს მისი უკან დაბრუნების შესაძლებლობას. აპელანტი მიიჩნევს, რომ მოსარჩელემ პირველ ინსტანციაში ვერ შეძლო მისი მოთხოვნის დამადასტურებელი ვერც ერთი გარემოების დადასტურება. აპელანტი მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის 530-ე მუხლის პირველი ნაწილის დისპოზიციაზე, რომლის თანახმად, მჩუქებელს გაჩუქებული ნივთის უკან დაბრუნების უფლება წარმოიშობა მხოლოდ მაშინ, თუ საჩუქრის დაბრუნება დასაჩუქრებულს მიმემ მდგომარეობაში არ ჩააყენებს. ამით ხდება დასაჩუქრებულის ინტერესების დაცვა. აპელანტის განმარტებით, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ შპს «საქართველოს გზების სამშენებლო კომპანია» იმყოფება მიმემ მდგომარეობაში, კერძოდ, არის სახელმწიფო რესტრუქტურის რეჟიმში და აქვს კერძო პირების დავალიანება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 11 აპრილის საოქმო განჩინებით მესამე პირად საქმეში ჩაება შპს «მენეჯმენტკონსალტინგი».

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 8 მაისის გადაწყვეტილებით შპს «საქართველოს გზების სამშენებლო კომპანიის» სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა: გაუქმდა სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება; შპს «დიაოხის» სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქმის მასალებიდან არ დასტურდება დასაჩუქრებულის მხრიდან მიმემ შეურაცხყოფა ან დიდი უმადურობა, არ იყო დადასტურებული, იყვნენ თუ არა მხარეები რაიმე პირობაზე შეთანხმებული. სასამართლოს მითითებით, სამოქალაქო კოდექსის 530-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ ჩუქების შემდეგ მჩუქებელი მიმემ მდგომარეობაში აღმოჩნდა და არ შეუძლია საკუთარი თავის, ან მის კმაყოფაზე მყოფი პირების რჩენა, მას უფლება აქვს დასაჩუქრებულს გაჩუქებული ნივთი მოსთხოვოს, თუ ეს უკანასკნელი რეალურად არსებობს და ნივთის დაბრუნება დასაჩუქრებულს არ ჩაადგებს მიმემ მდგომარეობაში. მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ დაადგინა, რომ ნივთი არ არსებობს დასაჩუქრებულის საკუთრებაში. სადავო მიწის ნაკვეთი განსხვავებულია შპს «მენეჯმენტკონსალტინგზე», რომლის სახელზეც სადავო მიწის ნაკვეთი 2008 წლის 3 აპრილს დარეგისტრირდა.

ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს «დიაოხმა», რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხელახალი განხილვის მიზნით სააპელაციო სასამართლოსთვის დაბრუნება მოითხოვა.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა» და «გ» ქვეპუნქტებისა და 394-ე მუხლის «ე» ქვეპუნქტის მოთხოვნა, რაც გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია. ჩუქების ხელშეკრულება მხარეებს შორის განსაზღვრული პირობებით დაიდო (შენობა-ნაგებობათა გარემონტება, ასევე, ინვესტიციების მოზიდვა და სხვა). სააპელაციო სასამართლოს ამ მიმართებით არანაირი გამოკვლევა არ ჩატარებია. კასატორის თქმით, ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების ერთ-ერთი საფუძველი შეიძლება იყოს უმადურობა, რომელიც შესაძლოა დასაჩუქრებულის მიერ დაპირებული ღონისძიებების შეუსრულებლობაში გამოიხატოს. უმადურობა, მისი აზრით, არამართლზომიერი მოქმედებაც შეიძლება იყოს, კერძოდ, ხელფასის გაუცემლობა, რასაც მოცემულ შემთხვევაში ჰქონდა ადგილი.

კასატორი ასევე მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გამოიკვლია, ნამდვილად ჰქონდა თუ არა ადგილი მოსარჩელის მიერ მითითებულ გარემოებებს და არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 528-ე, 529-ე და 530-ე მუხლები. მისი თქმით, სასამართლომ არასწორად მიიჩნია, რომ სადავო მიწის ნაკვეთის მოპასუხის მიერ გასხვისებით არ არსებობდა სადავო ნაკვეთი. მოპასუხის მიერ მიწის გასვისების დროს არსებობდა საჩივარი ჩანაწერის საწინააღმდეგოდ (საჩივარი ჩუქების გაუქმების შესახებ შეტანილ იქნა 2007 წელს, მიწის ნაკვეთი კი გასხვისდა 2008 წელს), რითაც რეესტრის ჩანაწერთა სისწორე ამ ფართობის გასვისების დროს ეჭვის ქვეშ იდგა. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ საპროცესო ნორმების დარღვევით დაადგინა ფაქტობრივი გარემოებები და არ გამოიკვლია მტკიცებულებები, რომლებიც ჩუქების ხელშეკრულების გაუქმებას შეიძლება საფუძველად დაედგინა.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს «დიაოხის» საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის მოთხოვნებს, რის გამოც მიჩნეულ უნდა იქნეს დაუშვებლად, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილი განსაზღვრავს საკასაციო საჩივრის განსახილველად დაშვების ამომწურავ პირობებს, როგორცაა: ა. საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; გ. სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; დ. გასაჩივრებელი სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული არც ერთი ზემომითითებული საფუძველით.

კასატორი ვერ ასაბუთებს სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვას მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რამაც არსებითად იმოქმედა საქმის შედეგზე და განაპირობა არასწორი განჩინების გამოტანა.

საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები არც სააპელაციო სასამართლოს განჩინების საკასაციო სასამართლოს პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძველით.

ამასთან, საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს მიერ საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე, შპს «დიაოხის» საკასაციო საჩივარი არ ექვემდებარება განსახილველად დაშვებას.

იმის გათვალისწინებით, რომ შპს «დიაოხს» საკასაციო საჩივარზე გადახდილი აქვს სახელმწიფო ბაჟი 4625 ლარის ოდენობით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე კასატორს უნდა დაუბრუნდეს გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70% - 3237 (სამი ათას ორას ოცდაჩვიდმეტი) ლარი და 5 თეთრი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 401-ე და 412-ე მუხლებით

### **დ ა ა დ გ ი ნ ა :**

1. შპს «დიაოხის» საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 8 მაისის გადაწყვეტილებაზე მიჩნეულ იქნეს დაუშვებლად;
2. შპს «დიაოხს» დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70 % - 3237,5 ლარი;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **კასაციის დასაშვებობა**

#### **განჩინება**

#ას-638-862-08                      17 ოქტომბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),  
რ. ნადირიანი (მომხსენებელი),  
თ. თოდრია**

**დავის საგანი :** უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2004 წლის 3 აგვისტოს ლაგოდეხის რაიონულ სასამართლოში სარჩელი აღძრა ვ. გ-მემ მოპასუხე სს „ბაისუბნის“ მიმართ უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის შესახებ.

სარჩელში აღნიშნულია, რომ 2004 წლის ივნისში მოსარჩელე ვ. გ-მესა და ზ. გ-მეს შორის დაიდო ხელშეკრულება სს „ბაისუბნის“ მიმართ მოთხოვნის დათმობის თაობაზე. მოთხოვნის უფლება მოიცავდა 1997 წლის 25 თებერვალს სს „ბაისუბანსა“ და ინდსაწარმო „ზოგს“ შორის დადებული ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო ამავე ხელშეკრულების დანართში მითითებული ქონების მოთხოვნის უფლებას. კერძოდ, მოსარჩელემ განმარტა, რომ 1997 წლის 25 თებერვალს სს



„ბაისუბანსა“ და ი\ს „ზოგი“, წარმოდგენილი ზ. გ-მის სახით, გახდა ხელშეკრულების დანართში მითითებული ქონების მესაკუთრე. სადავო ქონება სს „ბაისუბანს“ გადაეცა იჯარით, ამასთან, მიეცა გამოსყიდვის უფლება ამ ხელშეკრულების ხელმოწერიდან 54 თვის განმავლობაში. მოსარჩელემ მიუთითა აღნიშნული ხელშეკრულების 3.1 მუხლზე და განმარტა, რომ სს „ბაისუბანს“ 2001 წლის 25 აგვისტოს ამოწურა ქონების გამოსყიდვის ვადა. მიუხედავად იმისა, რომ სს „ბაისუბანმა“ ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში არ გამოსყიდა სადავო ქონება, იგი უარს აცხადებს ამ ქონების მესაკუთრისათვის - ზ. გ-მისათვის დაბრუნებაზე.

სარჩელის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძვლად მოსარჩელემ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, ამავე კოდექსის 164-ე და 172-ე მუხლებზე და მოითხოვა ხელშეკრულების დანართში დასახელებული ქონების მოპასუხის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვა და მისთვის გადაცემა.

მოპასუხე სს „ბაისუბანმა“ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ სს „ბაისუბანს“ ინდსაწარმო „ზოგის“ მიმართ ვალი არ ჰქონია და 1997 წლის 25 თებერვალს მასთან არანაირი ხელშეკრულება დაუდია. გარდა ამისა, მოპასუხის განმარტებით, სს „ბაისუბანის“ ყოფილ დირექტორს და ინდმეწარმე „ზოგის“ დამფუძნებელს ზ. გ-მეს 1997 წლიდან გატაცებული აქვს საზოგადოების ბეჭედი და სხვადასხვა დოკუმენტები, რომელთა მემწეობითაც ამ უკანასკნელმა თავად შეადგინა ისეთი ხელშეკრულებები, რომლებიც სინამდვილეში არ დადებულია და შესაბამისად ეს ხელშეკრულებები ყალბია.

2006 წლის თებერვალში სს ღვინის ქარხანა „ბაისუბანმა“ შეგებებული სარჩელი აღძრა ლაგოდეხის რაიონულ სასამართლოში მოპასუხეების ვ. გ-მის (მოსარჩელე), ზ. გ-მის და გ. ბ-მის მიმართ სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმისა და ხელშეკრულებების ბათილად ცნობის თაობაზე.

ლაგოდეხის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 20 თებერვლის განჩინებით სს „ბაისუბანს“ უარი ეთქვა შეგებებული სარჩელის მიღებაზე.

ლაგოდეხის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილებით ვ. გ-მის სარჩელი დაკმაყოფილდა - სს ღვინის ქარხანა „ბაისუბნიდან“ გამოთხოვილ იქნა და ვ. გ-მეს დაუბრუნდა 1997 წლის 25 თებერვლის ხელშეკრულების დანართში მითითებული შემდეგი ქონება: 1 ც ყურძნის მიმღები სასწორი 30-ტონიანი; 20 ც ემალის ცისტერნა 8-ტონიანი; 28 ც რკინის ცისტერნა 50-ტონიანი; 40 ც - პომპა ვენი; 1 ც ტელფერი; 1 ც - პაგრუზჩიკი; 2 ც საყოფაცხოვრებო მაცივარი; 3ც საკომპრესორო დანადგარი - მოწყობილობა აუ 110 და ლუ 220; 18 ც ემალის ცისტერნა 50 ტონიანი; ყურძნის მისაღები და გადამამუშავებელი მთლიანი კომპლექტი - 4 ხაზი; 30 ც ემალის ჩეხური ცისტერნა 23-ტონიანი; 12 ც ვერტიკალური შიმეტალის ცისტერნა; 5 ც თერმომადულარი (რეაქტორი) 15-ტონიანი; სულ, 158,740 ლარის ღირებულების ქონება.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 1997 წელს ზ. გ-მე წარმოადგენდა სს „ბაისუბანის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს, ხოლო 2001 წლის 10 მაისიდან ამავე საზოგადოების დირექტორს - ზ. გ-მეს, როგორც ინდსაწარმო „ზოგის“ დამფუძნებელსა და სს „ბაისუბანს“ შორის 1997 წლის 25 თებერვალს დაიდო ხელშეკრულება ვალის არსებობის აღიარების თაობაზე. ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლება ზ. გ-მემ დაუთმო ვ. გ-მეს.

სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის მოსაზრება 1997 წლის 25 თებერვლის ხელშეკრულების სიყალბის თაობაზე.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 137-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, მხარე, რომლის მიერაც იყო წარდგენილი საბუთი ან რომლის შუამდგომლობითაც სასამართლომ იგი გამოითხოვა, ვალდებულია, დაამტკიცოს ამ საბუთის ნამდვილობა.

აქედან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ხელშეკრულების ნამდვილობის მტკიცების ტვირთი ეკისრებოდა მოსარჩელეს, რომლის შუამდგომლობითაც დაინიშნა ხელწერის კრიმინალისტიკური და საბუთების ტექნიკური ექსპერტიზა.

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2005 წლის 13 მაისის #2287-ე დასკვნის საფუძველზე სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სადავო ხელშეკრულების ყველა გვერდზე ხელმოწერა ეკუთვნოდა სს „ბაისუბანის“ იმდროინდელ დირექტორ ზ. ნ-მეს. შესაბამისად, სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ხელშეკრულებაზე ხელმოწერა ზ. ნ-მეს არ ეკუთვნოდა.

სასამართლომ ასევე არ გაიზიარა მოპასუხის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ხელშეკრულების გაყალბება მოხდა სს „ბაისუბანის“ დირექტორის ზ. ნ-მის ხელმოწერილი ცარიელი ფურცლების ზ. გ-მის მიერ მოპარვის გზით. ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ხელშეკრულება შედგენილი იყო არა ზ. გ-მის ქარხნიდან წასვლის შემდეგ, ზ. ნ-მის მიერ ხელმოწერილი ცარიელი ფურცლების გამოყენებით, არამედ ხელშეკრულებაში მითითებულ დროს - 1997 წელს. აღნიშნული დადასტურებულად მიიჩნია სასამართლომ თავად მოპასუხის შუამდგომლობის საფუძველზე მოწმედ დაკითხული დ. ბერეკაშვილის ჩვენებითაც, რომელმაც განმარტა, რომ ზ. ნ-მე არასდროს უტოვებდა მას ხელმოწერილ ცარიელ ფურცლებს. სასამართლომ საბუთის ნამდვილობის შეფასებისას ყურადღება მიაქცია ასევე იმ გარემოებასაც, რომ სადავო ხელშეკრულება შედგებოდა ექვსი ფურცლისაგან, საიდანაც პირველ, მე-2, მე-3 და მე-5 ფურცლებზე ტექსტი ბოლომდე იყო

დაბეჭდილი, ხოლო მე-4 და მე-6 ფურცლებზე კი არასრულად, ამასთან, სს „ბაისუბნის“ დირექტორის ზ. ნ-ის ხელმოწერა ყველა გვერდზე ემთხვევა ტექსტის დასასრულს.

სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ვინაიდან «მეწარმეთა შესახებ» კანონის 55.9 მუხლის თანახმად, დირექტორს სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობის გარეშე არ ჰქონდა საზოგადოების საწესდებო კაპიტალში შემავალი ქონების განკარგვის უფლება, ხოლო სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმი კი გაყალბებულია, ამიტომ 1997 წლის 25 თებერვლის ხელშეკრულება ბათილია სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის შესაბამისად.

სასამართლომ გაიზიარა მოპასუხის განმარტება, რომ სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმში გ. გ-შვილის სახელით შესრულებული ხელმოწერა არ ემთხვეოდა უკანასკნელის ხელმოწერას, მაგრამ სასამართლოს მოსაზრებით, აღნიშნული ექვქვემ ვერ დააყენებდა სადავო გარიგების ნამდვილობას, რადგან, ხელშეკრულების დადების დროს მოქმედი „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 55.9 მუხლის შესაბამისად, დირექტორი სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობას საჭიროებდა მხოლოდ კაპიტალდაბანდებათა შეძენა-გასხვისებისას, ასევე, უძრავი ქონების და მასთან გათანაბრებული უფლებების შეძენა-გასხვისებისას, მოცემულ შემთხვევაში კი მოხდა საზოგადოების მოძრავი ქონების გასხვისება. აქედან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 9.1 მუხლის თანახმად, სს „ბაისუბნის“ დირექტორი უფლებამოსილი იყო, განეკარგა ხელშეკრულების დანართში მითითებული ქონება სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობის გარეშე. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ხელშეკრულება ნამდვილია და მისი ბათილობის საფუძველი არ არსებობს.

სასამართლომ მიიჩნია, რომ 1997 წლის 25 თებერვლის ხელშეკრულებით სს „ბაისუბანმა“ ინდსაწარმო „ზოგის“ მიმართ აღიარა ვალის - 1.780 დკლ დაძველებული საკონიაკე სპირტის და ზედმეტად გადახდილი სპირტის შენახვის ხარჯების - 12.000 აშშ დოლარის არსებობა.

სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, იმ ხელშეკრულების ნამდვილობისათვის, რომლითაც აღიარებულ იქნა ვალდებულებითი ურთიერთობის არსებობა (ვალის არსებობის აღიარება), აუცილებელია წერილობითი აღიარება.

ზემოაღნიშნული ხელშეკრულების პირველი მუხლის შესაბამისად, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ვალის დაფარვის მიზნით სს „ბაისუბანმა“ ზ. გ-მეს, როგორც ინდსაწარმო „ზოგის“ დამფუძნებელს, საკუთრების უფლება გადასცა ხელშეკრულებაში მითითებულ 13 დასახელების ნივთზე. ამავე ხელშეკრულების 3.1 მუხლის მიხედვით, ქონება 54 თვის ვადით გამოსყიდვის უფლებით დარჩა სს „ბაისუბნის“ მფლობელობაში.

სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 186-ე მუხლზე და მიიჩნია, რომ აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე ზ. გ-მეს წარმოეშვა საკუთრების უფლება ხელშეკრულების დანართში მითითებულ ქონებაზე, რომელიც დროებით, გამოსყიდვის უფლებით დარჩა ყოფილი მესაკუთრის - სს „ბაისუბნის“ პირდაპირ მფლობელობაში.

სასამართლომ დაადგინა, რომ ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში სს „ბაისუბანმა“ ქონება არ გამოისყიდა, შესაბამისად, ზ. გ-მეს წარმოეშვა ქონების მოთხოვნის უფლება.

სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ვ. გ-მისათვის მოთხოვნის უფლების დათმობა ეწინააღმდეგება კანონს, რადგან იგი პირველი ჯგუფის ინვალიდია და გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, შესაბამისად, დათმობის ხელშეკრულება დადებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან თავის არიდების მიზნით და წარმოადგენს მოჩვენებით გარიგებას.

სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 198-ე და 199-ე მუხლებზე, რომლის თანახმად, მოთხოვნის მფლობელს შეუძლია მოვალის თანხმობის გარეშე მოთხოვნა მესამე პირს დაუთმოს, თუკი ეს არ ეწინააღმდეგება ვალდებულების არსს, მოვალესთან მის შეთანხმებას ან კანონს.

სასამართლომ მიიჩნია, რომ მოთხოვნის დათმობა კანონით გათვალისწინებული მოქმედებაა, რომელიც შეიძლება განხორციელდეს ნებისმიერი პირის, მათ შორის, ინვალიდის მიმართაც, ამიტომ იგი არ შეიძლება კანონსაწინააღმდეგო გარიგებად ჩაითვალოს.

სასამართლომ ასევე არ გაიზიარა მოპასუხის მოსაზრება, რომ ვ. გ-მე წარმოადგენდა არასათანადო მოსარჩელეს. მოპასუხეს მიაჩნია, რომ მის მიმართ მოთხოვნის უფლების მქონე პირია გ. ბ-მე, რადგან მოთხოვნის მფლობელმა ზ. გ-მემ პირველად მას დაუთმო მოთხოვნის უფლება, ხოლო შემდეგ იგივე უფლება დაუთმო ვ. გ-მეს, ამიტომ ეს უკანასკნელი ვერ იქნება მოთხოვნის მფლობელი და, შესაბამისად, იგი არასათანადო მოსარჩელეა.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2001 წლის სექტემბერში ინდსაწარმო „ზოგმა“, რომლის დამფუძნებელი ზ. გ-მეა, სადავო ქონებაზე მოთხოვნის უფლება დაუთმო გ. ბ-მეს, ხოლო 2004 წლის 25 ივნისს იგივე უფლება დაუთმო ვ. გ-მეს.

სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის ზემოაღნიშნული მოსაზრება და განმარტა, რომ მოთხოვნის რამდენიმე პირისათვის დათმობის შემთხვევაში ხდება რიგითობის დაწესება და არა მოთხოვნის უფლების გაუქმება. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ ვ. გ-მე ისეთივე მოთხოვნის უფლების მქონე პირია, როგორც გ. ბ-მე, ხოლო ის გარემოება, რომ გ. ბ-მემ არ ისურვა მოთხოვნის უფლების რეალიზაცია, აღნიშნული ვ. გ-მეს არ ართმევდა უფლებას სასამართლო წესით მოეხდინა მისთვის მინიჭებული მოთხოვნის უფლების რეალიზაცია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ ვ. გ-მე წარმოადგენდა სათანადო მოსარჩელეს და სადავო ქონების მესაკუთრეს, რომელიც სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად უფლებამოსილია, თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ამ ქონებით. ამავე კოდექსის 172-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კი მესაკუთრეს შეუძლია მფლობელს მოსთხოვოს ნივთის უკან დაბრუნება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მფლობელს ჰქონდა ამ ნივთის ფლობის უფლება. სასამართლომ მიიჩნია, რომ სს „ბაისუბანს“ არ ჰქონდა ნივთის ფლობის უფლება, ამიტომ ვალდებულია, მესაკუთრეს დაუბრუნოს სადავო ქონება.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სს „ბაისუბანმა“, მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით ზ. გ-მის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 23 ივლისის საოქმო განჩინებით ქ. რ-შვილი ჩაბმულ იქნა საქმეში მესამე პირად დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 23 აპრილის განჩინებით სს ღვინის ქარხანა «ბაისუბნის» სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ დადგინდად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ზ. გ-მე, ინდივიდუალური საწარმო „ზოგის“ დამფუძნებელი, 1997 წლიდან 2001 წლის 10 მაისამდე იყო სს ღვინის ქარხანა „ბაისუბნის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო 2001 წლის 10 მაისიდან 2003 წლის 26 დეკემბრამდე – ამავე საზოგადოების დირექტორი.

1997 წლის 25 თებერვალს, ერთი მხრივ, სს ღვინის ქარხანა „ბაისუბანს“ (წარმოდგენილი საზოგადოების დირექტორის ზ. ნ-მის სახით) და, მეორეს მხრივ, ინდივიდუალურ საწარმო „ზოგს“ (წარმოდგენილი ინდივიდუალური მეწარმის ზ. გ-მის სახით) შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის მიხედვით, მხარეები აღიარებენ, რომ ინდივიდუალური საწარმო „ზოგი“ არის ერთი პირის საწარმო „ზოგის“ სამართალმემკვიდრე (უფლებამონაცვლენი), რომლის მიმართ სს ღვინის ქარხანა „ბაისუბნის“ დავალიანება შეადგენს 1780 დეკალიტრ დაძველებულ უწყლო საკონიაკე სპირტს და 12.000 აშშ დოლარის ეკვივალენტს ლარებში. ამავე ხელშეკრულებით მხარეები შეთანხმდნენ, რომ მითითებული დავალიანების დაფარვის მიზნით სს ღვინის ქარხანა „ბაისუბანი“ გადასცემდა, ხოლო ინდივიდუალური საწარმო „ზოგი“ ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტიდან იძენდა საკუთრების უფლებას ქონებაზე, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების დანართში. ხსენებული ხელშეკრულების მეორე მუხლის თანახმად, დანართში მითითებული ქონება იჯარის უფლებით რჩებოდა სს ღვინის ქარხანა „ბაისუბანს“, რომელიც ამავე ხელშეკრულების მესამე მუხლის თანახმად, უფლებამოსილია, გამოისყიდოს ქონება ხელშეკრულების ხელმოწერიდან 54 თვის განმავლობაში. აღნიშნული დროის განმავლობაში ინდივიდუალური საწარმო „ზოგი“ არ არის უფლებამოსილი, გასხვისოს ქონება მესამე პირებზე და მოვალეა, დაელოდოს გამოსყიდვის უფლების ვადის გასვლას. გამოსყიდვა ხორციელდება მთლიან ქონებაზე აღიარებული დავალიანების სრული გადახდის გზით. გამოსყიდვის უფლების განხორციელების შემთხვევაში იჯარის უფლება წყდება და გამოსყიდვის მომენტიდან ქონება კვლავ გადადის სს „ღვინის ქარხანა „ბაისუბნის“ საკუთრებაში. იჯარის უფლება შეწყდება, აგრეთვე, თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული გამოსყიდვის ვადის გასვლის მიუხედავად, «ბაისუბანი» არ გამოისყიდის ქონებას. ასეთ შემთხვევაში საიჯარო ურთიერთობა შეიძლება გაგრძელდეს მხოლოდ ცალკე ხელშეკრულებით.

ხელშეკრულების დანართით განისაზღვრა იმ ქონების ჩამონათვალი, რომელზედაც არსებული დავალიანების სანაცვლოდ და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად საკუთრების უფლება შეიძინა ინდივიდუალურმა საწარმო „ზოგმა“.

2001 წლის 5 სექტემბერს ინდივიდუალურმა საწარმო „ზოგმა“ 1997 წლის 25 თებერვლის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლება დაუთმო გ. ბ-მეს, ხოლო 2004 წლის 25 ივნისის იგივე მოთხოვნის უფლება დაუთმო ვ. გ-მეს.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული გამოსყიდვის ვადის (54 თვის) განმავლობაში სს ღვინის ქარხანა „ბაისუბანს“ ხელშეკრულების დანართში მითითებული ქონება არ გამოუსყიდია და ეს ქონება დღემდე იმყოფება მის მფლობელობაში.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ვ. გ-მის სარჩელი ხანდაზმულია.

სასამართლომ დადგინდად მიიჩნია, რომ 1997 წლის 25 თებერვლის ხელშეკრულების საფუძველზე, ინდივიდუალურმა საწარმო „ზოგმა“ საკუთრების უფლება შეიძინა სს ღვინის ქარხანა „ბაისუბნის“ ქონებაზე, რომელიც დარჩა ამ უკანასკნელის მფლობელობაში. აღნიშნული ხელშეკრულების თანახმად, სს ღვინის ქარხანა „ბაისუბანი“ უფლებამოსილი იყო, ხელშეკრულების ხელმოწერიდან 54 თვის განმავლობაში გამოესყიდა ხელშეკრულების დანართში მითითებული ქონება. ამასთან, ამ დროის მანძილზე ინდივიდუალური საწარმო „ზოგი“ არ იყო უფლებამოსილი, გაესხვისებინა ქონება მესამე პირებზე და ვალდებული იყო, დაელოდებოდა გამოსყიდვის ვადის გასვლას.

ინდივიდუალურ საწარმო „ზოგს“ სს ღვინის ქარხანა „ბაისუბნის“ მფლობელობაში არსებული სადავო ქონების გამოთხოვის უფლება წარმოეშვა გამოსყიდვის ვადის უშედეგოდ გასვლის მომენტიდან, ანუ 2001 წლის 25 აგვისტოდან. შესაბამისად, მოთხოვნის ხანდაზმულობის სამწლიანი ვადის დენა დაიწყო 2001 წლის 25 აგვისტოს და ამოიწურა 2004 წლის 25 აგვისტოს. საქმის მასალებით დადგინდა,

რომ ვ. გ-ემ, რომელსაც 2004 წლის 25 ივნისს მოთხოვნის უფლება დაუთმო ინდივიდუალურმა საწარმო „ზოგმა“, სასამართლოში სარჩელი აღძრა 2004 წლის 3 აგვისტოს, ანუ კანონით დადგენილი ხანდაზმულობის სამწლიანი ვადის გასვლამდე. შესაბამისად, ვ. გ-ის მოთხოვნა ხანდაზმული არაა.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება ვ. გ-ის არასათანადო მოსარჩელედ მიჩნევის თაობაზე და ჩათვალა, რომ სასამართლომ სწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 202-ე მუხლი და სწორად მიიჩნია ვ. გ-ე სათანადო მოსარჩელედ. ამავე მოსაზრებით არ გაიზიარა ასევე აპელანტის მსჯელობა იმის შესახებ, რომ 2001 წლის 20 სექტემბრის ხელშეკრულებით გაუქმდა 1997 წლის 25 თებერვლის ხელშეკრულება და აქედან გამომდინარე, სათანადო მოსარჩელეს წარმოადგენდა გ. ბ-მე და არა ვ. გ-მე.

სააპელაციო სასამართლო არ დაეთანხმა აპელანტის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ რაიონულმა სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმები, ვინაიდან არ იმსჯელა სს ღვინის ქარხანა „ბაისუბნის“ უფლებამონაცვლეობის თაობაზე ლაგოდეხის რაიონის ბაისუბნის ღვინის ქარხნის მიმართ, რომელსაც საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის აპარატის 1994 წლის #211/50 წერილით ეთხოვა უწყლო საკონიაკე სპირტის გამოყოფა ასოციაცია „ზოგისათვის“ ამ უკანასკნელის მიერ გადახდილი თანხის სანაცვლოდ. აპელანტის მოსაზრებით, საქმის მასალებით არ დასტურდებოდა ასევე ასოციაცია „ზოგის“ მიმართ ინდივიდუალურ საწარმო „ზოგის“ უფლებამონაცვლეობა.

სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ ვინაიდან 1997 წლის 25 თებერვლის ხელშეკრულებით სს ღვინის ქარხანა „ბაისუბნის“ აღიარა ვალდებულების არსებობა (სკ-ის 341-ე მუხლი) ინდივიდუალური საწარმო „ზოგის“ მიმართ და ამ ვალდებულების შესრულების მიზნით სამოქალაქო კოდექსის 477-ე და 509-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით მასთან დადო ნასყიდობის ხელშეკრულება გამოსყიდვის უფლებით, სადავო ურთიერთობის გადასაწყვეტად უფლებამონაცვლეობის საკითხი სამართლებრივად მნიშვნელოვანი აღარაა, ვინაიდან ხსენებული ხელშეკრულება წარმოადგენდა დამოუკიდებელ ხელშეკრულებას, რომელიც ამ ხელშეკრულების მხარეებისათვის წარმოშობს გარკვეულ უფლება-მოვალეობებს და მათი შესრულება არაა დამოკიდებული ლაგოდეხის რ-ნის ბაისუბნის ღვინის ქარხანასა და „ზოგს“ შორის საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის აპარატის 1994 წლის #211/50 წერილიდან გამომდინარე ურთიერთვალდებულებებზე.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ დაუსაბუთებელია აპელანტის მოსაზრება 1997 წლის 25 თებერვლის ხელშეკრულებაზე სს ღვინის ქარხანა „ბაისუბნის“ დირექტორის ზ. ნ-დის ხელმოწერების გაყალბების შესახებ, ვინაიდან იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2005 წლის 21 მარტის დასკვნის თანახმად დადგენილია, რომ 1997 წლის 25 თებერვლის ხელშეკრულების ყველა გვერდზე ხელმოწერები ზ. ნ-დის სახელით შესრულებულია ზ. ნ-დის მიერ. სააპელაციო სასამართლომ ასევე არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება ზ. გ-დის მიერ ზ. ნ-დის ხელმოწერილი ცარიელი ფურცლების გამოყენებით ხელშეკრულების გაყალბების თაობაზე, ვინაიდან აღნიშნული გარემოება საქმის მასალებით არ დასტურდება.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ზ. გ-დის მიერ სს ღვინის ქარხანა „ბაისუბნის“ დირექტორის ზ. ნ-დის სახელზე 1998 წლის 3 დეკემბერს შედგენილი წერილი ადასტურებს იმ გარემოებას, რომ 1997 წლის 25 თებერვლის ხელშეკრულება სინამდვილეში არ დადებულა, ვინაიდან ამ წერილით მისი ავტორი მოითხოვდა ვალდებულების შესრულებას, მაგრამ არ ახსენებდა სადავო ხელშეკრულებას.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ზემოაღნიშნული წერილით არ დასტურდებოდა აპელანტის მიერ მითითებული გარემოება, ვინაიდან ხსენებული წერილის შინაარსით ირკვევა, რომ ზ. გ-მე სს ღვინის ქარხანა „ბაისუბნისაგან“ მოითხოვს სწორედ იმ ვალდებულების შესრულებას, რაც 1997 წლის 25 თებერვლის ხელშეკრულებით აღიარებულ იქნა მოპასუხის მიერ.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება იმის შესახებ, რომ სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის თანახმად, ბათილია 1997 წლის 25 თებერვლის ხელშეკრულება, ვინაიდან „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 55.9 მუხლის შესაბამისად, სს ღვინის ქარხანა „ბაისუბნის“ დირექტორი არ იყო უფლებამოსილი, სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობის გარეშე დაედო სადავო ხელშეკრულება, რომლითაც მოხდა საზოგადოების საწესდებო კაპიტალში შეტანილი ქონების გასხვიება.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სადავო ხელშეკრულების საფუძველზე სააქციო საზოგადოება ღვინის ქარხანა „ბაისუბნის“ დირექტორმა გაასხვისა საზოგადოების მოძრავი ნივთები, რისთვისაც „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 55.9 მუხლი საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობას არ მოითხოვდა.

ამასთან, მართალია, „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 54.6 მუხლის თანახმად, სააქციო საზოგადოების საწესდებო კაპიტალის შეცვლა წარმოადგენდა საზოგადოების საერთო კრების კომპეტენციას, რომლის გადაწყვეტილებაც საწესდებო კაპიტალის შეცვლის თაობაზე მოცემულ შემთხვევაში არ არსებობდა, მაგრამ სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული გარემოება ასევე ვერ გახდებოდა სადავო ხელშეკრულების ბათილობის საფუძველი, ვინაიდან საქმის მასალებით არ დადასტურდა, რომ სადავო ქონება (ხელშეკრულების დანართში მითითებული მოძრავი ნივთები) შეტანილი იყო სააქციო საზოგადოება ღვინის ქარხანა „ბაისუბნის“ საწესდებო კაპიტალში.

აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9.1 მუხლის თანახმად, სს „ბაისუბნის“ დირექტორი უფლებამოსილი იყო განეკარგა ხელ-

შეკრულების დანართში მითითებული ქონება საზოგადოების საერთო კრებისა და სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობის გარეშე. ამდენად, სადავო ხელშეკრულების დადებისას აპელანტის მიერ მითითებული კანონის დარღვევას ადგილი არ ჰქონია და, შესაბამისად, არ არსებობდა ამ ხელშეკრულების ბათილობის საფუძველი სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის მიხედვით.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება იმის შესახებ, რომ სასამართლომ არასწორად განსაზღვრა დავის საგნის ღირებულება და შესაბამისად, სახელმწიფო ბაჟის ოდენობა.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა ასევე აპელანტის მოსაზრება იმის შესახებ, რომ საქმის განხილვისას სასამართლომ დაარღვია შეჯიბრებითობის პრინციპი, ვინაიდან აპელანტმა ვერ მიუთითა, თუ კონკრეტულად რაში გამოიხატა სასამართლოს მიერ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის დარღვევა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და სამოქალაქო კოდექსის 170-ე და 172-ე მუხლების შესაბამისად სწორად მიიჩნია ვ. გ-მის ვინდიკაციური სარჩელი დასაბუთებულად.

აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრა სს ღვინის ქარხანა «ბაისუბანმა», მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება იმავე სასამართლოსათვის.

კასატორის აზრით, სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას არასწორად განმარტა კანონი, დაარღვია საპროცესო სამართლის ნორმები, კერძოდ, არასრულად დაასაბუთა გადაწყვეტილება; სასამართლომ დაარღვია შეჯიბრებითობის პრინციპი, ვერ დაინახა არასათანადო მოსარჩელის სათანადო მოსარჩელით შეცვლის აუცილებლობა; სასამართლომ დაარღვია მტკიცებულებათა შეფასების კანონით დადგენილი წესი, შეგნებულად, სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობის გარეშე შეაფასა სარჩელის საფუძველად წარდგენილი მტკიცებულება. ამასთან, სასამართლომ არ იმსჯელა აშკარა სიყალბეების ფაქტების თაობაზე; სასამართლომ შეფასების გარეშე დატოვა სარჩელის მოთხოვნათა გასაბათილებლად მის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები; არასწორად განსაზღვრა დავის საგნის ღირებულება და, შესაბამისად, სახელმწიფო ბაჟის ოდენობა. სასამართლომ ისე მიიღო განჩინება, რომ მესამე პირად ჩაბმული მესაკუთრის - ჟ. რ-შვილის უფლებების თაობაზე არც უმსჯელია.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სს ღვინის ქარხანა «ბაისუბანის» წარმომადგენლების - თ. ტ-მისა და ხ. გ-შვილის საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მოთხოვნებს, რის გამოც მიჩნეულ უნდა იქნეს დაუშვებლად, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის შესაბამისად, საკასაციო საჩივარი ქონებრივ და სხვა არაქონებრივ დავებში დასაშვებია, თუ ა) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; დ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე. ზემოაღნიშნული ნორმები განსაზღვრავს იმ მოთხოვნებს, რომელთაც საკასაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს და ეფუძნებოდეს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული არცერთი ზემომითითებული საფუძველით.

სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე არ არის განხილული მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით, ვერც კასატორი მიუთითებს რაიმე ისეთ საპროცესო დარღვევაზე, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე, რის გამოც საკასაციო საჩივარს არა აქვს წარმატების პერსპექტივა.

საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები არც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საკასაციო სასამართლოს სტაბილური

პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძველით. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება არ განსხვავდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან.

ამასთან, საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი დაუშვას სს ღვინის ქარხანა «ბაისუბანის» საკასაციო საჩივარი, რის გამოც საკასაციო საჩივარს უარი უნდა ეთქვას განხილვაზე.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 401-ე მუხლებით და

**და ა დ გ ი ნ ა :**

1. სს ღვინის ქარხანა «ბაიუბანის» საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი დარჩეს განუხილველად.
2. კასატორს დაუბრუნდეს გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 7940 ლარის 70% - 5558 ლარი
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**კასაციის დასაშვებობა**

**განჩინება**

#ას-864-1078-08 24 ოქტომბერი 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**

**რ. ნადირიანი,**

**თ. თოდრია**

**დავის საგანი - ზიანის ანაზღაურება**

**აღწერილობითი ნაწილი:**

2005 წლის 10 მარტს თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოში სარჩელი აღძრა ა. და ნ. გ-ურებმა მოპასუხე შპს «საქართველოს რკინიგზის» მიმართ და მოითხოვეს ქ. თბილისში, ნამალადევის რ-ნში ოროთახიანი იზოლირებული ბინის შექმნა ან ზიანის ანაზღაურება 20 000 ლარის ოდენობით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 17 ნოემბრის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა ა. გ-ურის სარჩელი. შპს „საქართველოს რკინიგზას“ დაეკისრა მოსარჩელების სასარგებლოდ 20 000 ლარის გადახდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრა შპს «საქართველოს რკინიგზამ».

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 5 ივნისის განჩინებით შპს «საქართველოს რკინიგზის» სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. უცვლელი დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 17 ნოემბრის გადაწყვეტილება.

პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელე 1978 წლიდან მუშაობს საქართველოს რკინიგზის თბილისის #2 სავაგონო უბანში ელექტროშემდუღებლად. მოსარჩელები ცხოვრობდნენ ქირით. სა-ქართველოს რკინიგზის ხელმძღვანელობის შუამდგომლობით, თბილისის ნამალადევის რ-ნის გამგეობის მოქალაქეთა ჩაწერის საკითხების კომისიის 1993 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილებით /ოქმი #5/ ა. გ-ურს და მის ცოლშვილს, ნება დაერთოთ, გამოწვევის სახით ჩაწერილიყვნენ რკინიგზის ორგანიზაციის საერთო საცხოვრებელში მდებარე თბილისი, ... ქ. #22-ა. აღნიშნულის საფუძველზე საქართველოს რკინიგზის თბილისის ტერიტორიულმა სამმართველომ, 1993 წლის 5 მაისს და 1994 წლის 3 ივნისს სამ სულზე გასცა #3/33 და 3/85 ორდერები, რომლითაც ა. გ-ურის ოჯახი უნდა შესახლებულიყო ... ქ. #22-ა-ში მდებარე საერთო საცხოვრებლის მეხუთე სართულზე ორ ოთახში. მათი შესახლება ვერ მოხდებოდა იმის გამო, რომ ბინაში შეიჭრნენ აფხაზეთიდან დევნილები. 1993 წლის 8 ნოემბერს განათლების მინისტრის მოადგილის #386-ე ბრძანებით თბილისის სტუდენტთა ქალაქის სამმართველოს დაევალა ა. გ-ურის ოჯახი დროებით, აგვისტომდე, შეესახლებინა ვაშლიჯვრის საერთო საცხოვრებელში.

1999 წლის 10 აგვისტოს თბილისის პრემიერის #654 განკარგულებით დაკმაყოფილდა შპს „საქართველოს რკინიგზის“ 1999 წლის 26 მარტის #6-357-ე თხოვნა და მის ბალანსზე რიცხული ორი საოჯახო საერთო საცხოვრებელი ... #12-სა და ... ქ. #22-ა-ში ჩარიცხული იქნა საცხოვრებელ ფონდში.

2000 წლის 10 ნოემბრის #5 ოქმით ნამალადევის რ-ნის გამგეობის #76-ე გადაწყვეტილების საფუძველზე ... ქ. #22-ა-ში მდებარე სახლი ჩაირიცხა ქალაქის კომუნალურ ფონდში, რის შემდეგაც გამგეობამ მოახდინა აღნიშნული ბინების პრივატიზაცია და შესაბამისად მფლობელები გახდნენ ბინების მესაკუთრეები.

პალატამ მიიჩნია, რომ ა. გ-ური იყო თბილისში, ... ქ. #22-ა-ში, მდებარე ბინის მართლზომიერი მფლობელი. მას, მართალია ნივთზე ფაქტობრივი ფლობა არ განუხორციელებია ბინაში დევნილების

შეჭრის გამო, მაგრამ გაცემული ორდერების საფუძველზე მას გააჩნდა ნივთის სამართლებრივი ფლობის საფუძველი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 5 ივნისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს «საქართველოს რკინიგზის» წარმომადგენელმა თ. კ-ძემ.

კასატორის აზრით, სასამართლომ არ გაიზიარა შპს „საქართველოს რკინიგზის“ განმარტება სარჩელის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით. 1993 წლის 23 აპრილის გლდანი-ნაძალადევის რ-ნის გამგეობის მოქალაქეთა ჩაწერის საკითხების განმხილველი კომისიის გადაწყვეტილებით (ოქმი #5) საქართველოს რკინიგზის ხელმძღვანელობის შუამდგომლობის საფუძველზე ა. გ-ურს დროებით სარგებლობის მიზნით ნება დაერთო, ჩაწერილიყო საქართველოს რკინიგზის ბალანსზე რიცხული საერთო საცხოვრებლის 2 ოთახში მდებარე . . . ქ. #22ა-ში. 1993 წელს მოსარჩელებზე გაიცა ორდერები 3/33 და 3/85. საქმის მასალებით დადგენილია, რომ მოსარჩელებმა შპს „საქართველოს რკინიგზას“ მიმართეს 2002 წელს, იმ დროს როდესაც სადავო საერთო საცხოვრებელი ფართი 2000 წლის დეკემბრიდან შპს საქართველოს რკინიგზის ბალანსზე აღარ იმყოფებოდა და მოპასუხეებს განემარტათ, რომ აღნიშნულის თაობაზე მიემართათ გლდანი-ნაძალადევის რ-ნის გამგეობისათვის. მოსარჩელებს საერთო საცხოვრებელში შესახლების თაობაზე მოთხოვნის უფლება წარმოშვათ 1993 წლიდან, მაშინ მოქმედი სამოქალაქო კოდექსის 75-ე მუხლის თანახმად, საერთო ვადა უფლების დაცვისა განისაზღვრებოდა სამი წლით და შესაბამისად გ-ურის ოჯახს მოთხოვნის უფლება უნარჩუნდებოდათ 1996 წლამდე. გ-ურის ოჯახი შპს „საქართველოს რკინიგზისაგან“ ითხოვენ ზიანის ანაზღაურებას, დღეს მოქმედი სამოქალაქო კოდექსის 1008-ე მუხლითაც ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადა განისაზღვრება სამი წლით, იმ მომენტიდან როდესაც დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურების, კერძოდ შპს „საქართველოს რკინიგზის“ მიმართ 2-ოთახიანი ბინის ღირებულების დაკისრების თაობაზე ხანდაზმულია. მოსარჩელებმა სასამართლოს სარჩელით მიმართეს 2005 წელს, რითაც გაშვებული აქვთ ზიანის ანაზღაურებისათვის მოთხოვნის სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა.

ასევე, კასატორის აზრით, 1999 წლის 13 აგვისტოს თბილისის პრემიერის გ. შ-ძის #654 ბრძანებით დაკმაყოფილდა საქართველოს რკინიგზის 1999 წლის 26 მარტის #ნ-357 წერილით გათვალისწინებული თხოვნა და რკინიგზის ბალანსზე რიცხული საერთო საცხოვრებელი გადავიდა ქ.თბილისის გლდანი-ნაძალადევის რ-ნის ბალანსზე, ჩარიცხულ იქნა საცხოვრებელ ფონდში 2000 წლის დეკემბრიდან საერთო საცხოვრებელი შპს „საქართველოს რკინიგზის“ საკუთრებას არ წარმოადგენდა და რომც ყოფილიყო შპს „საქართველოს რკინიგზის“ ბალანსზე აღნიშნული საერთო საცხოვრებელი სახლი ზემოაღნიშნული მინისტრთა კაბინეტის დადგენილების მე-3 პუნქტის თანახმად, პრივატიზაციას არ დაექვემდებარებოდა. შესაბამისად, უსაფუძვლო იყო.

სასამართლოს მიერ სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველად იმ გარემოებაზე მითითება შემდეგზე: მოსარჩელები რომ შესახლებულიყვნენ საერთო საცხოვრებელში მოხდებოდა ბინის პრივატიზაცია მოსარჩელებზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს «საქართველოს რკინიგზის» წარმომადგენლის თ. კ-ძის საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მოთხოვნებს, რის გამოც მიჩნეულ უნდა იქნეს დაუშვებლად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის მიხედვით, საკასაციო საჩივარი სხვა ქონებრივ და არაქონებრივ დავებში დასაშვებია, თუ: ა) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგებზე; დ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე.

ზემოაღნიშნული ნორმები განსაზღვრავს იმ მოთხოვნებს, რომელთაც საკასაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს და ეფუძნებოდეს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული არც ერთი მითითებული სა-ფუძველით.

საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები არც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საკასაციო სასამართლოს სტაბილური პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძველით.

ამასთან, საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამო-ყალიბების თვალსაზრისით.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი დაუშვას შპს «საქართველოს რკინიგზის» წარმადგენლის - თ. კ-ძის საკასაციო საჩივარი, რის გამოც კასატორს უარი უნდა ეთქვას საკასაციო საჩივრის განხილვაზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად თუ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნება მიჩნეული, პირს დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70%. ამდენად საკასაციო პალატა თვლის, რომ შპს «საქართველოს რკინიგზას» უნდა დაუბრუნდეს სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 1000 ლარის 70% , რაც შეადგენს 700 ლარს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა :**

შპს «საქართველოს რკინიგზის» წარმადგენელ თ. კ-ძის საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩეს განუხილველად;

შპს «საქართველოს რკინიგზას» დაუბრუნდეს მის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 700 ლარი;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **კასაციის დასაშვებობა**

#### **განჩინება**

#ას-649-871-08

27 ოქტომბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**

**ლ. ლაზარაშვილი,**

**რ. ნადირიანი**

**დავის საგანი - სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელება**

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2007 წლის 3 აგვისტოს ლ. კ-ენის წარმომადგენელმა ზ. ლ-ძემ თბილისის საქალაქო სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა და მისი მარწმუნებლისათვის 2004 წლის 23 სექტემბერს გარდაცვლილი მამის - ნ. ზ-ლნს სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელება მოითხოვა. საქმეში მოპასუხედ ეკონომიკური განვითარების სამინისტრო ჩაება.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ ლ. კ-ენმა, როგორც გარდაცვლილი ნ. ზ-ლნის პირველი რიგის კანონიერმა მემკვიდრემ 2005 წლის 30 აგვისტოს ნოტარიუსს მამის სამკვიდრო ქონების მიღებისა და სამკვიდრო მოწმობის გაცემის შესახებ განცხადებით მიმართა. ნოტურიუსმა, სამკვიდროს მიღების ექვსთვიანი ვადის გაშვების გამო, სამკვიდრო მოწმობის გაცემაზე უარი უთხრა. ლ. კ-ენი ისრაელის მოქალაქეა და მის მუდმივ საცხოვრებელ ადგილს ისრაელის ქალაქი ხოლონი წარმოადგენდა, სადაც იგი სამკვიდრების გარდაცვალების მომენტისთვის იმყოფებოდა. მამის გარდაცვალების შემდეგ ლ. კ-ენი მძიმედ დაავადებული დედის - ლ. ზ-იას, ერთადერთი მომვლელი იყო, რომელიც მეუღლის გარდაცვალების შემდეგ მრავალჯერ იყო ჰოსპიტალიზირებული და 2006 წლის 4 ნოემბერს გარდაიცვალა, ამდენად ლ. კ-ენს მამის გარდაცვალების შემდეგ საქართველოში ჩამოსვლის და კუთვნილ სამკვიდრო ქონების მიღებაზე ზრუნვის შესაძლებლობა მხოლოდ ერთხელ, 2005 წლის 26 აგვისტოდან ამავე წლის 9 სექტემბრამდე მიეცა, რაც განახორციელა კიდევ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 20 ნოემბრის გადაწყვეტილებით ლ. კ-ენის წარმომადგენელ ზ. ლ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა, ლ. კ-ენს მამის - ნ. ზ-ნის დანაშთი სამკვიდროს - ქ. თბილისში ... ქ. #8-ში მდებარე უძრავი ქონების მიღების ვადა გაუგრძელდა 6 თვემდე გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან.

სასამართლომ დადგინოდა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები მიიჩნია:

ლ. კ-ენის მამა იყო 1935 წლის 21 ნოემბერს დაბადებული ნ. ზ-ლნი, რომელიც 2004 წლის 23 სექტემბერს ქ. ხოლონიში გარდაიცვალა. გარდაცვლილის საკუთრებას წარმოადგენდა ქ. თბილისში, ... ქ. #8-ში მდებარე უძრავი ქონება;



ნ. ზ-ლს ერთადერთი კანონიერი მემკვიდრე ლ. კ-ენია. ნოტარიუს ე. ჩ-ძის 2005 წლის 30 აგვისტოს დადგენილებით ლ. კ-ენს ნიკოლოს ზ-ლს სახელზე რიცხული უძრავი ქონების მემკვიდრეობის წესით მიღებაზე უარი ეთქვა, სამკვიდროს მიღების 6-თვიანი ვადის გაშვების გამო;

ლ. კ-ენის დედას - ლ. ზ-იას მრავალი ქრონიკული დაავადება აღნიშნუბოდა, 2004 წლის 23 სექტემბრიდან 2006 წლის თებერვლამდე არარერთხელ იყო ჰოსპიტალიზირებული. 2005 წლის აგვისტოდან 2006 წლის თებერვლამდე დროის მონაკვეთში კი ქიმიოთერაპია ჩატარდა. მთელი ამ დროის მანძილზე ლ. კ-ენი დედასთან იმყოფებოდა. ლ. ზ-აია 2006 წლის 4 ნოემბერს გარდაიცვალა.

სასამართლომ გაითვალისწინა მოსარჩელის ოჯახის უახლოესი წევრის, დედის, ჯანმრთელობის უკიდურესად მძიმე მდგომარეობა, ისრაელის მოქალაქეობა, ასევე, ისრაელში მუდმივად ცხოვრების ფაქტი და მიიჩნია, რომ ლ. კ-ენმა სამკვიდროს მიღების ვადა საპატიო მიზეზით გაუშვა.

აღნიშნული გადაწყვეტილება ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ სააპელაციო წესით გაასაჩივრა. აპელანტმა აღნიშნა, რომ დედის ავადმყოფობა არ შეიძლება ჩაითვალოს საპატიო მიზეზად. ამასთან, მხარეს შეეძლო მემკვიდრეობა წარმომადგენლის მეშვეობით მიეღო, რაც არ განუხორციელებია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 22 აპრილის განჩინებით ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სარჩელი არ დაკმაყოფილდა და პირველი ინსტანციის სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა. სააპელაციო სასამართლო სრულად დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნებსა და შეფასებებს საქმის ფაქტობრივ-სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით.

სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული განჩინება ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ საკასაციო წესით გაასაჩივრა, მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება მოითხოვა.

კასატორის მტკიცებით, სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ კი სამოქალაქო კოდექსის 1423-ე მუხლი. ამასთან, არასწორად მიიჩნია, რომ მოსარჩელემ სამკვიდროს მიღების ვადა საპატიო მიზეზით გაუშვა, რადგანაც ავადმყოფობის ფაქტი ვადის გაშვების საპატიო მიზეზად არ შეიძლება ჩაითვალოს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 29 ივლისის განჩინებით ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის შესამოწმებლად.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მოთხოვნებს, რის გამოც მიჩნეულ უნდა იქნეს დაუშვებლად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის მიხედვით, საკასაციო საჩივარი ქონებრივ და სხვა არაქონებრივ დავებზე დასაშვებია, თუ: ა) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; დ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე. ზემოაღნიშნული ნორმები განსაზღვრავს იმ მოთხოვნებს, რომელთაც საკასაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს და ეფუძნებოდეს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული არც ერთი ზემომითითებული საფუძვლით.

სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე არ არის განხილული მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით, ვერც კასატორი მიუთითებს რაიმე ისეთ საპროცესო დარღვევაზე, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე.

საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები არც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საკასაციო სასამართლოს სტაბილური პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძვლით, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება არ განსხვავდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან.

ამასთან, საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი, დაუშვას ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საკასაციო საჩივარი, რის გამოც საკასაციო საჩივარს უარი უნდა ეთქვას განხილვაზე.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 401-ე მუხლებით და

**და ა ა დ გ ი ნ ა :**

1. ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩეს განუხილველად;
2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**კასაციის დასაშვებობა**

**განჩინება**

#ას-678-899-08 31 ოქტომბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),  
რ. ნადირიანი (მომხსენებელი),  
თ. თოდრია**

**დავის საგანი:** სასაქონლო ნიშნის გამოყენების აკრძალვა

**აღწერილობითი ნაწილი:**

2007 წლის 6 მარტს შპს «პირველი ჟურნალის» სახელით მისმა დირექტორმა ე. კ-იამ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მოპასუხე შპს «პირველის» მიმართ და მოითხოვა სასაქონლო ნიშნის - «პირველის» გამოყენების აკრძალვა მოპასუხისათვის მის მიერ გაწეულ ნებისმიერ საქმიანობაში, მათ შორის, ვებ-გვერდის მისამართზეც.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 6 აგვისტოს გადაწყვეტილებით შპს «პირველი ჟურნალის» სარჩელი დაკმაყოფილდა - მოპასუხე შპს «პირველს» აკრძალა მოსარჩელის მიერ რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის - «პირველი» «PIღVELI» გამოყენება, მათ შორის, ინტერნეტის საინფორმაციო ქსელში მოპასუხის მიერ განთავსებული ვებ-გვერდის დასახელებაში.

საქალაქო სასამართლომ საქმეზე დადგინებულ ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

მოსარჩელეს «სასაქონლო ნიშნების შესახებ» კანონის საფუძველზე რეგისტრაციის შედეგად წარმოშობილი აქვს განსაკუთრებული უფლება სასაქონლო ნიშანზე - «პირველი»;

სასაქონლო ნიშანი - «პირველი» - რეგისტრირებულია 2002 წლის პირველ მაისს და ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის «საქპატენტის» მიერ გაცემული #M14448 მოწმობა ასახავს საქონლის ან/და მომსახურების ჩამონათვალს, რომლის მიმართაც რეგისტრირებულია ეს ნიშანი; მოსარჩელე შპს «პირველი ჟურნალი» რეგისტრირებულია 2001 წლის 7 ივნისს, ხოლო მოპასუხე საზოგადოება შპს «პირველი» კი რეგისტრირებულია ქალაქ თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ 2006 წლის 28 სექტემბერს.

სარეგისტრაციო მოწმობის მიხედვით სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ვადაა 10 წელი. სამართლებრივ დაცვას ექვემდებარება როგორც ქართული, ისე ლათინური შრიფტით შესრულებული სიმბოლო «პირველი» «PIღVELI»;

მოპასუხე სამოქალაქო ბრუნვაში ძირითადად მონაწილეობს დასახელებით - «საინფორმაციო სააგენტო პირველი», რომელსაც თან ერთვის ლათინური შრიფტით შესრულებული ასო შუაგულში მოთავსებული დედამიწის გამოსახულებით და იგი შესრულებულია წითელი ფერით.

სასამართლომ მიიჩნია, რომ, მართალია, შპს «პირველის» მიერ გამოყენებადი სიმბოლო შესრულებულია წითელი ფერით, თუმცა სხვა ნიშნით სიმბოლოთა მსგავსება აშკარაა. მოსარჩელე და მოპასუხე ფაქტობრივად ერთ სფეროში საქმიანობენ, ჩნდება მათი აღრევის ასოცირებისა და მოსარჩელისათვის ზიანის მიყენების შესაძლებლობა, რაც ეწინააღმდეგება «სასაქონლო ნიშნების შესახებ» კანონის მე-6 მუხლს.

სასამართლომ ასევე დადგინებულად მიიჩნია, რომ მოსარჩელეს მსოფლიო საინფორმაციო ქსელში გააჩნია რამდენიმე დომეინური მისამართი - პირველი.იმფო, პირველიჯოურნალ.გე, პირველი-ჯოურნალ.ცომ.გე, ხოლო მოპასუხის დომეინური მისამართია პირველი.ცომ.გე, რაც იმის დამდასტურებელია, რომ სასაქონლო ნიშანი «პირველი» გამოყენებულია მოპასუხის დომეინურ მისამართშიც. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხის დომეინურ მისამართად გამოყენებულია

უკვე არსებული გამოყენებადი და გარკვეული რეპუტაციის მქონე სასაქონლო ნიშანი, რაც არამართლ-ზომიერად უნდა ჩაითვალოს.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს «პირველმა», მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის პირველი მაისის განჩინებით შპს «პირველის» სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და ასევე ამ გარემოებების მიმართ მის მიერ გაკეთებული დასკვნები და სამართლებრივი შეფასებები. ამასთან, მიუთითა, რომ აპელანტის მიერ სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები არ ქმნიან პროცესუალურ-სამართლებრივ საფუძველს საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებისათვის.

სააპელაციო სასამართლოს აზრით, ვინაიდან საქმის მასალებით დადგენილია, რომ მოსარჩელე წარმოდგენდა სადავო სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების მქონე პირს, ხოლო მოპასუხის მიერ სამოქალაქო ბრუნვაში გაშვებულ საქონელზე დატანებული ნიშანი მოსარჩელის მიერ რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის მსგავსია, შპს «პირველი» «სასაქონლო ნიშნების შესახებ კანონის» მე-6 მუხლის საფუძველზე, უფლებამოსილი იყო, მოეთხოვა მისი სამოქალაქო ბრუნვაში ნებისმიერი გამოყენების აკრძალვა და აღნიშნული არ აღრვედა ამავე კანონის მე-7 მუხლით დადგენილ განსაკუთრებულ უფლებათა ფარგლებს.

აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს «პირველმა», მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასატორის მოსაზრებით, სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა იგი, კერძოდ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა «სასაქონლო ნიშნის შესახებ» საქართველოს კანონის მესამე მუხლი, რომელიც გვაძლევს სასაქონლო ნიშნის დეფინიციას. ამასთან, არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა ფაქტობრივ გარემოებებს, სასამართლომ არ ჩათვალა საჭიროდ ჩატარებულიყო ექსპერტიზა დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის ობიექტური დადგენის თვალსაზრისით;

კასატორის აზრით, ორივე ინსტანციის სასამართლომ უფულებელყო «სასაქონლო ნიშნის შესახებ» კანონის მე-7 მუხლის დათქმა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავლერების საქმეთა პალატის 2008 წლის 5 სექტემბრის განჩინებით შპს «საინფორმაციო სააგენტო პირველის» საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული დასაშვებობის შესამოწმებლად. მოწინააღმდეგე მხარეს განესაზღვრა 5 დღის ვადა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის დასაშვებობის წინაპირობებთან დაკავშირებით მოსაზრებების წარმოსადგენად.

შპს «საინფორმაციო სააგენტო პირველის» საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხზე, საკასაციო სასამართლოში მოწინააღმდეგე მხარემ წარმოადინა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ საკასაციო საჩივარი დაუშვებელია, რადგან იგი არ აკმაყოფილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მოთხოვნებს.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს «საინფორმაციო სააგენტო პირველის» საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მოთხოვნებს, რის გამოც მიჩნეულ უნდა იქნეს დაუშვებლად, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის შესაბამისად, საკასაციო საჩივარი ქონებრივ და სხვა არაქონებრივ დავებში დასაშვებია, თუ: ა) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; დ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე. ზემოაღნიშნული ნორმები განსაზღვრავს იმ მოთხოვნებს, რომელთაც საკასაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს და ეფუძნებოდეს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული არც ერთი ზემომითითებული საფუძველით.

სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე არ არის განხილული მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით, ვერც კასატორი მიუთითებს რაიმე ისეთ საპროცესო დარღვევაზე, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე, რის გამოც საკასაციო საჩივარს არა აქვს წარმატების პერსპექტივა.

საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები არც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საკასაციო სასამართლოს სტაბილური

პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძვლით. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება არ განსხვავდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან.

ამასთან, საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი, დაუშვას შპს «საინფორმაციო სააგენტო პირველის» საკასაციო საჩივარი, რის გამოც საკასაციო საჩივარს უარი უნდა ეთქვას განხილვაზე.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 401-ე მუხლებით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა :**

1. შპს «საინფორმაციო სააგენტო პირველის» საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი დარჩეს განუხილველად.

2. კასატორს დაუბრუნდეს გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 300 ლარის 70% - 210 ლარი

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

#### **კასაციის დასაშვებობა**

##### **განჩინება**

#ას-507-743-08

14 ნოემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**

**რ. ნადირიანი,**

**თ. თოდრია**

**დავის საგანი:** საცხოვრებელ ბინაზე საკუთრების უფლების აღიარება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ნ. გ-მემ სარჩელით მიმართა ქობულეთის რაიონულ სასამართლოს ქობულეთის რ-ნის გამგეობის წინააღმდეგ და მოითხოვა ქობულეთში, ... სახლის #10, 11 და 12-ში მდებარე ბინებზე საკუთრების უფლების აღიარება იმ საფუძველით, რომ მითითებული ბინის ძირითადი დამქირავებელი იყო ვ. ბ-მე, რომელიც გარდაიცვალა 1992 წლის 14 ივნისს. ბინა კომუნალური ფონდისაა და არც ნ. გ-მეს და არც ვ. ბ-მეს პრივატიზირებული არა აქვთ. მოსარჩელემ განმარტა, რომ 10 წელზე მეტია კეთილსინდისიერად ფლობდა მითითებულ ბინას და რომ მან მოძრავი ნივთების ხანდაზმულობით შეძენის წესით მოიპოვა მის მიერ დაკავებულ ბინაზე საკუთრების უფლება, რისი დადასტურებაც მოითხოვა სასამართლოს გადაწყვეტილებით საკუთრების საჯარო რეესტრში დარეგისტრირების მიზნით.

ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 20 აგვისტოს გადაწყვეტილებით ნ. გ-მის სარჩელი დაკმაყოფილდა - აღიარებული იქნა მისი საკუთრების უფლება საცხოვრებელ ბინაზე, მდებარე ქობულეთში, ... სახლის #10,11 და 12 ბინაზე.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, ნ. გ-მის სარჩელი კი არ დაკმაყოფილდა.

პალატამ დადგენილად მიიჩნია და დავას არ იწვევს ის გარემოება, რომ ქობულეთში, ... მდებარე #12 ოთახი, პრივატიზირებული არ ყოფილა არც ვ. ბ-მის (მის გარდაცვალებამდე) და არც ნ. გ-მის მიერ.

საქმეში არსებული შპს „ქობულეთსერვისის“ 2005 წლის 14 სექტემბერს მომართვით დასტურდება, რომ ქობულეთის რ-ნის გამგეობის 2005 წლის 25 ივნისის განკარგულების საფუძველზე მათ ბალანსზე რიცხული საცხოვრებელი სახლები, მათ შორის, ..., ბალანსზე გადაეცა ქობულეთის გამგეობას ანუ სადავო ქონება წარმოადგენს ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკუთრებას.

პალატამ განმარტა, რომ რადგანაც მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენდა უძრავი ქონებაზე - საცხოვრებელ ფართზე საკუთრების უფლების აღიარება, ამდენად, აღძრული სარჩელი თავისი ბუნებით და შინაარსით სამოქალაქო კანონმდებლობით გათვალისწინებული აღიარებითი სარჩელს წარმოადგენდა.

პალატამ ასევე განმარტა, რომ ნ. გ-მე საჯარო რეესტრში არ ყოფილა რეგისტრირებული, როგორც სადავო ფართის მესაკუთრე, შესაბამისად მისი აღიარებითი სარჩელი იყო უსაფუძვლო.

აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ნ. გ-მემ და მისმა წარმომადგენელმა გ. გ-მემ.

კასატორის აზრით, სააპელაციო პალატამ საქმე ისე გადაწყვიტა, რომ არ მიუთითებია, რა გარემოება დაადგინა საქმის განხილვისას; რა მტკიცებულებებს დაეყრდნო და რა მოსაზრებით უარყო საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებები.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო პალატა ვალდებული იყო გადაეწყვიტა საკითხი 2007 წლის 20 აგვისტოს გადაწყვეტილების ფონზე - იყო თუ არა სასამართლოს მიერ განხილვადი 2005 წელს შეტანილი სარჩელი 2007 წლის აგვისტოსთვის, რა დროისთვისაც სსსკ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსიდან ამოგებული იყო 312-ე მუხლის II ნაწილის „ვ“, „ე“ და „ი“ პუნქტები.

ასევე კასატორის განმარტებით, სასამართლომ მას მიაკუთვნა ის, რაც მას არ მოუთხოვია, ამასთან, ფართი მათ სამართლის არარსებული ნორმებით მიეკუთვნათ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორმა მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ნ. გ-მის საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მოთხოვნებს, რის გამოც მიჩნეულ უნდა იქნეს დაუშვებლად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის მიხედვით, საკასაციო საჩივარი სხვა ქონებრივ და არაქონებრივ დავებში დასაშვებია, თუ: ა) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგებზე; დ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე.

ზემოაღნიშნული ნორმები განსაზღვრავს იმ მოთხოვნებს, რომელთაც საკასაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს და ეფუძნებოდეს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული არც ერთი მითითებული საფუძვლით.

საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები არც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საკასაციო სასამართლოს სტაბილური პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძველით.

ამასთან, საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბების თვალსაზრისით.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი დაუშვას ნ. გ-მის საკასაციო საჩივარი, რის გამოც კასატორს უარი უნდა ეთქვას საკასაციო საჩივრის განხილვაზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნება მიჩნეული, პირს დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70%. ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ ნ. გ-მეს უნდა დაუბრუნდეს ნ. ს-მის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 714,40 ლარის 70%, რაც შეადგენს 500,08 ლარს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით და

### **და ა ა დ გ ი ნ ა :**

ნ. გ-მეს საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი დარჩეს განუხილველად

ნ. გ-მეს გადაუბრუნდეს ნ. ს-მის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 500,08 ლარი საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოო და არ გასაჩივრდება.

## კასაციის დასაშვებობა

### განჩინება

#ას-813-1028-08

14 ნოემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),  
რ. ნადირიანი (მომხსენებელი),  
თ. თოდრია**

**დავის საგანი:** გარიგების ბათილად ცნობა, უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

სს «შუქგრეფიმპექსბანკმა» სარჩელი აღძრა სასამართლოში საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ და მოითხოვა ქ. ბათუმში, ... ქ.#13-ში მდებარე შენობის 286 კვ.მ უძრავი ქონების მოსარჩელის საკუთრებად დარეგისტრირება და შესაბამისი საკუთრების მოწმობის გაცემა შემდეგი საფუძვლებით: პროფესიული კავშირის რესპუბლიკური საბჭოს 1997 წლის 3 ოქტომბრის სხდომაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, «მეწარმეთა შესახებ» კანონის 3.3 მუხლის შესაბამისად, ქონებრივი შენატანით სს «ბანკი კრედიტის» აქციათა შეძენის შესახებ. 1997 წლის 7 ნოემბერს, სს «ბანკი კრედიტის» დირექტორთა საბჭოსა და პროფესიული კავშირების აჭარის რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარეებმა წერილობით მიმართეს ქ.ბათუმის მერიის ტექნიკური ინვენტარიზაციის სამსახურს, ამავე წლის 6 ნოემბრის შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, პროფკავშირების საკუთრებაში არსებული ქ. ბათუმში, ... #13-ში მდებარე შენობის ნაწილის, სულ 53000 ლარის ღირებულების 286 კვ.მ-ის, როგორც ბანკის საწესდებო კაპიტალში განხორციელებული ქონებრივი შენატანის რეგისტრაციის შესახებ. ამასთან, სს «ბანკი კრედიტის» 1998 წლის 10 ოქტომბრის აქციონერთა საერთო კრებაზე პროფესიული კავშირების აჭარის რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე თ. ჯ-მე, როგორც ამავე საბჭოს წარმომადგენელი, არჩეულ იქნა ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრად. ამდენად, 1997 წლიდან მოპასუხე არის ბანკის აქციონერი, რაც დასტურდება სააქციო საზოგადოების აქციათა შეძენის შესახებ ხელშეკრულება-განაცხადით. მოპასუხე «მეწარმეთა შესახებ» კანონით გათვალისწინებული წესით მონაწილეობს საზოგადოების მართვაში და იღებს დივიდენდს. მოსარჩელემ 2004 წლის 17 თებერვალს და 20 მაისს წერილებით მიმართა ბათუმის ტექნიკური ინვენტარიზაციის სამსახურს შესაბამისი საკუთრების მოწმობის გაცემის მოთხოვნით, თუმცა ტექნიკურ ორივეჯერ გაურკვეველი პასუხი გასცა მოსარჩელეს და მისი მოთხოვნა არ დააკმაყოფილა.

პროფესიული კავშირების აჭარის რესპუბლიკურმა გაერთიანებამ სარჩელი აღძრა სასამართლოში სს «ბანკი კრედიტის» უფლებამონაცვლე სს «შუქგრეფიმპექსბანკის» მიმართ მხარეთა შორის სააქციო საზოგადოების წილის შესყიდვის შესახებ დადებული გარიგებების ბათილად ცნობისა და უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის თაობაზე შემდეგი დასაბუთებით: 1997 წელს მოსარჩელის კუთვნილი სადავო შენობის 286 კვ.მ შევიდა სს «შუქგრეფიმპექსბანკის» საწესდებო კაპიტალში. ხელშეკრულება, რომლითაც აღნიშნული განხორციელდა, დაიდო სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლის პირველი ნაწილის დარღვევით, კერძოდ, სათანადო ფორმის დაუცველად, რაც ამავე კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, მისი ბათილად ცნობის საფუძველია. მოსარჩელისათვის ცნობილი გახდა, რომ მოპასუხე ცდილობს, ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის არსებობის გარეშე, საწესდებო კაპიტალში შენატანის სახით საჯარო რეესტრში თავის სახელზე აღრიცხოს პროფკავშირების კუთვნილი, ქ. ბათუმში, ... ქ.#13-ში მდებარე უძრავი ქონება - 286 კვ.მ და 158 კვ.მ სარდაფი. ფაქტობრივად, სადავო ფართი სააქციო საზოგადოებას გადაცემული აქვს იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე თვეში 300 ლარის გადახდის სანაცვლოდ, ხოლო უძრავი ნივთის მოპასუხის საკუთრებაში გადაცემის დამადასტურებელი, 1964 წლის რედაქციის სამოქალაქო კოდექსის 293-ე მუხლის პირველი, მეოთხე ნაწილების, 47-ე მუხლის პირველი ნაწილის, 48-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად შედგენილი რაიმე მტკიცებულება არ არსებობს. მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების პირველი პუნქტის მიხედვით, მოსარჩელემ, როგორც მოპასუხე ბანკის აქციონერმა, ვალდებულება იკისრა, შეეძინა გამოცხადებული აქციები ფულადი ნიშნით, ხოლო ქონების სანაცვლოდ, შესყიდვა მომხდარიყო მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს ნებართვით. ამდენად, ხელშეკრულებაში არ იყო აღნიშნული, თუ რა შენატანი უნდა შეეტანა მოსარჩელეს მოპასუხის საწესდებო კაპიტალში, თუმცა უძრავი ქონებით შენატანის განხორციელებისას უნდა დადებულიყო სათანადო ხელშეკრულება შესაბამისი ფორმის დაცვით, რაც მოცემულ შემთხვევაში არ მომხდარა. ამასთან, მხარეთა შორის გაფორმებული ორი გარიგებიდან არც ერთი არ არის დათარიღებული. აღნიშნულიდან გამომდინარე, ზემოხსენებული ხელშეკრულებები ბათილია სამოქალაქო კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად. ამასთან, სს «შუგრეფიმპექსბანკი», არაერთგზის შეხსენების მიუხედავად, საიჯარო ქირას სრულად არ

იხდის, რის გამოც სადავო ფართი საზოგადოების მფლობელობიდან გამოთხოვილ უნდა იქნეს და დაუბრუნდეს მესაკუთრეს.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 13 მაისის განჩინებით აღნიშნული სარჩელები გაერთიანდა ერთიან წარმოებად. ამავე სასამართლოს 2006 წლის 17 აპრილის განჩინებით შეჩერდა საქმის წარმოება, სს «შუგრეფინპექსბანკის» სარჩელის გამო, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ ქმედების დავალდებულების თაობაზე გარიგების ბათილად ცნობისა და უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის შესახებ სს «შუგრეფინპექსბანკის» მიმართ საქართველოს პროფესიული კვაშირების აჭარის რესპუბლიკის გაერთიანების სარჩელის განხილვამდე.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 26 სექტემბრის გადაწყვეტილებით საქართველოს პროფესიული კვაშირების აჭარის რესპუბლიკური გაერთიანების სარჩელი დაკმაყოფილდა – ბათილად იქნა ცნობილი მხარეთა შორის შემდგარი აქტი სს «შუგრეფინპექსბანკის» საწესდებო კაპიტალში შეტანის სახით მოპასუხისათვის უძრავი ქონების გადაცემის შესახებ. სს «შუგრეფინპექსბანკი» გამოსახლდა ქ. ბათუმში, ... ქ.#13-ში მდებარე ფართიდან და იგი თავისუფალ მდგომარეობაში გადაეცა მოსარჩელეს.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სს «შუგრეფინპექსბანკის» უფლებამონაცვლე სს «აგროინვესტბანკმა» გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

საქმე არაერთხელ იქნა განხილული ზემდგომი ინსტანციების სასამართლოების მიერ და ბოლოს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 14 ივლისის განჩინებით სს «აგროინვესტბანკის» სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ დადგინოდა მიიჩნია, რომ 1997 წის 6 ნოემბერს აჭარის პროფსაბჭოსა და სს «ბანკი კრედიტს» შორის შედგა მიღება-ჩბარების აქტი, რომლის თანახმად, პროფსაბჭო ბანკს გადასცემდა ქ. ბათუმში, ... ქ.#13-ში მდებარე შენობის 53000 ლარის ღირებულების 286 კვ.მ-ის, ბანკის აქციების შემენის, განაცხადისა და პროფსაბჭოს დადგენილების შესაბამისად.

სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმის მასალებით არ დასტურდებოდა სადავო უძრავი ქონების სს «აგროინვესტბანკის» საწესდებო კაპიტალში შეტანა და მოპასუხის მიერ დივიდენდების მიღება.

სასამართლომ მიუთითა, რომ 1997 წლის 6 ნოემბრის მიღება-ჩბარების აქტი ვერ ჩაითვლებოდა იურიდიული ძალის მქონედ სადავო ქონების ბანკისთვის გადაცემის შესახებ, ვინაიდან საწესდებო კაპიტალის გაზრდა საზოგადოების საერთო კრებაზე მოხდა კანონით დადგენილი წესის დარღვევით.

სასამართლომ დადგინოდა მიიჩნია, რომ საწესდებო კაპიტალში არ იყო ასახული სადავო შენობა, არაფულადი შესატანის განხორციელების შეთანხმება კი განმტკიცებული უნდა ყოფილიყო საზოგადოების წესდებით, სადაც მითითებული იქნებოდა არაფულადი შესატანის სახე და თითოეული პარტნიორის წილის ოდენობა.

ამასთან, სასამართლომ მიუთითა, რომ არაფულადი შესატანის გაფორმება უძრავ ქონებაზე უნდა მომხდარიყო საკუთრების გადაცემისათვის გათვალისწინებული წესით, რაც მოცემულ შემთხვევაში არ მომხდარა და არც უძრავი ქონების გადაცემის ხელშეკრულება დადასტურებულა სანოტარო წესით, შესაბამისად, სასამართლომ გარიგება, როგორც ფორმის დაუცველად დადებული გარიგება, ბათილად მიიჩნია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ ჩათვალა, რომ ვინაიდან ფორმის დაუცველად დადებული გარიგება აბსოლუტურად ბათილი იყო, დადების მომენტისთანავე იგი არ წარმოშობდა სამართლებრივ შედეგებს, შესაბამისად, გამორიცხული იყო პროფკავშირის სარჩელის ხანდაზმულობაც.

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 14 ივლისის განჩინება საკსაციო წესით გაასაჩივრა სს «აგროინვესტბანკმა», მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავორების საქმეთა პალატის 2008 წლის 29 სექტემბრის განჩინებით სს «აგროინვესტბანკის» საკსაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული დასაშვებობის შესამოწმებლად. მოწინააღმდეგე მხარეს განესაზღვრა 5 დღის ვადა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული საკსაციო საჩივრის დასაშვებობის წინაპირობებთან დაკავშირებით მოსაზრებების წარმოსადგენად.

სს «აგროინვესტბანკის» საკსაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხზე, საკსაციო სასამართლოში მოწინააღმდეგე მხარემ წარმოადგინა მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ საკსაციო საჩივარი დაუშვებელია, რადგან იგი არ აკმაყოფილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მოთხოვნებს.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკსაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკსაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სს «აგროინვესტბანკის» საკსაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მოთხოვნებს, რის გამოც მიჩნეულ უნდა იქნეს დაუშვებლად, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის შესაბამისად, საკსაციო საჩივარი ქონებრივ და სხვა არაქონებრივ დავებში დასაშვებია, თუ: ა) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) სააპელაციო

სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილული მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; დ) გასაჩივრებელი სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე. ზემოაღნიშნული ნორმები განსაზღვრავს იმ მოთხოვნებს, რომელთაც საკასაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს და ეფუძნებოდეს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული არცერთი ზემომითითებული საფუძვლით.

სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე არ არის განხილული მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით, ვერც კასატორი მიუთითებს რაიმე ისეთ საპროცესო დარღვევაზე, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე, რის გამოც საკასაციო საჩივარს არა აქვს წარმატების პერსპექტივა.

საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები არც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საკასაციო სასამართლოს სტაბილური პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძვლით. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება არ განსხვავდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან.

ამასთან, საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი დაუშვას სს «აგროინვესტბანკის» საკასაციო საჩივარი, რის გამოც საკასაციო საჩივარს უარი უნდა ეთქვას განხილვაზე.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 401-ე მუხლებით და

### **და ა ა დ გ ი ნ ა :**

1. სს «აგროინვესტბანკის» საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი დარჩეს განუხილველად.
2. კასატორს დაუბრუნდეს გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 2650 ლარის 70% - 1855 ლარი.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **კასაციის დასაშვებობა**

#### **განჩინება**

#ას-614-840-08

28 ნოემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავტრების საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ სულხანიშვილი (თავმჯდომარე),**

**თ. თოდრია (მომხსენებელი),**

**რ. ნადირიანი**

**დავის საგანი:** ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და იძულებითი გაცდენილი დროის ხელფასის ანაზღაურება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ახალქალაქის რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართა ი. ს-იანმა მოპასუხე საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ახალქალაქის ფილიალის მიმართ და მოითხოვა საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ახალქალაქის რაიონული ფილიალის უფროსის 2005 წლის 9 თებერვლის #4 ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და იძულებით გაცდენილი დროის ხელფასის ანაზღაურება.

მოსარჩელის განმარტებით, იგი მუშაობდა საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ახალქალაქის ფილიალში უფროსი ინსპექტორის თანამდებობაზე. 2004 წლის 7 დეკემბერს, სამსახურში ყოფნისას ფილიალის უფროსმა მ. თ-იანმა მოსარჩელეს მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა, რის შედეგადაც მან მიიღო ტვინის შერყევა. მიუხედავად იმისა, რომ მკურნალობის შესახებ მოსარჩელემ წარადგინა ცნობები სამსახურში, იგი 2005 წლის 9 თებერვლის ბრძანებით გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან.



მოპასუხებმ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის სისტემაში მიმდინარე რეფორმებთან დაკავშირებით, განხორციელდა რეორგანიზაცია, შემცირდა სისტემაში მომუშავე მუშაკთა შტატების რაოდენობა, ხოლო სისტემა დაკომპლექტდა უმაღლესი ეკონომიკური და იურიდიული განათლების მქონე პირებით. აღნიშნულის გამო საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ახალქალაქის ფილიალის მუშაკები, ფონდის გენერალური დირექტორის შესაბამისი ბრძანების საფუძველზე, 2004 წლის 17 დეკემბერს პერსონალურად, ხელმოწერით, გარდა ი. ს-ანისა, გაფრთხილებულ იქნენ სამსახურიდან მოსალოდნელი განთავისუფლების შესახებ. იმ დროისათვის ი. ს-იანი იმყოფებოდა საავადმყოფო ფურცელზე და ამ მიზეზით 2004 წლის 17 დეკემბერს ვერ მოხერხდა მისი გაფრთხილება. მოსარჩელე სამსახურში უნდა გამოცხადებულიყო 18 დეკემბერს, მაგრამ იგი 2005 წლის 5 იანვრამდე, საპატიო მიზეზის გარეშე არ გამოცხადდა სამსახურში. 2005 წლის 5 იანვარს გაფრთხილებულ იქნა მოსალოდნელი შემცირების შესახებ, მაგრამ მან უარი განაცხადა ხელმოწერაზე. ამის გამო ფილიალის უფროსმა იმავე ფილიალის ერთ-ერთი თანამშრომლის თანდასწრებით შეადგინა ოქმი. 2005 წლის 20 იანვარს, გაფრთხილებიდან ერთთვიანი ვადის გასვლის შემდეგ, ახალქალაქის ფილიალის ყველა თანამშრომელი, ხსენებული ფილიალის უფროსის ბრძანებით, გათავისუფლდა თანამდებობიდან და იმავე დღეს მათივე წერილობითი განცხადებისა და შრომითი კონტრაქტის საფუძველზე მიიღეს სამსახურში 3 თვის ვადით. 2005 წლის 9 თებერვალს, გაფრთხილებიდან ერთთვიანი ვადის გასვლის შემდეგ, ი. ს-იანი გათავისუფლდა სამსახურიდან შრომის კანონთა კოდექსის 36-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით, ვინაიდან ი. ს-იანმა აღნიშნულის მერე არ მიმართა ფილიალის უფროსს მისი სამსახურში მიღების შესახებ განცხადებით, იგი აღარ იქნა ხელმოწერად დანიშნული.

ახალქალაქის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 7 აპრილის გადაწყვეტილებით ი. ს-იანის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ი. ს-იანმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 26 მარტის გადაწყვეტილებით ი. ს-იანის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა - გაუქმდა ახალქალაქის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 7 აპრილის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ი. ს-იანის სარჩელი დაკმაყოფილდა, გაუქმდა საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ახალქალაქის რაიონული ფილიალის უფროსის 2005 წლის 9 თებერვლის #4 ბრძანება ი. ს-იანის სამუშაოდან განთავისუფლების შესახებ და ი. ს-იანი აღდგენილ იქნა სამუშაოზე საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სოციალური სუბსიდიების სააგენტოს სამცხე-ჯავახეთის რეგიონური საკოორდინაციო ცენტრის ახალქალაქის რაიონულ განყოფილებაში სპეციალისტის თანამდებობაზე; ი. ს-იანს აუნაზღაურდა იძულებითი გაცდენილი დროის ხელფასი სამუშაოდან განთავისუფლების დღიდან სამუშაოზე აღდგენამდე.

სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ახალქალაქის რაიონული ფილიალის ადმინისტრაციამ ი. ს-იანის სამუშაოდან განთავისუფლებისას დაარღვია შრომის კანონთა კოდექსის 42<sup>1</sup>, 42<sup>2</sup> და 36-ე მუხლების მოთხოვნები.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ მოსარჩელე ი. ს-იანის სამუშაოდან განთავისუფლების ბრძანებას საფუძველად დაედო საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის გენერალური დირექტორის 2004 წლის 3 დეკემბრის #01\163-ო ბრძანების საფუძველზე ახალქალაქის რაიონულ ფილიალში განხორციელებული რეორგანიზაცია, რასაც თან ახლავს შტატებისა და მუშაკთა რიცხოვნობის შემცირება. განთავისუფლების სამართლებრივ საფუძველად მიეთითა საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 34-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ სამუშაოდან მუშაკის განთავისუფლება შრომის კანონთა კოდექსის 34-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ადმინისტრაციის ან მუშაკთა რიცხოვნობის, ან შტატების შემცირების გამო, არ გულისხმობს მუშაკის სამუშაოდან უპირობოდ განთავისუფლებას. საწარმოდან მუშაკის განთავისუფლება დაუშვებელია, თუკი არ გამოირიცხება რეორგანიზებულ საწარმოში მუშაკის შემდგომი დასაქმების შესაძლებლობა და თუკი მუშაკი თანახმაა, დაინიშნოს საწარმოში სხვა თანამდებობაზე. ადმინისტრაცია კი ვალდებულია, შესთავაზოს მუშაკს შესაბამისი თანამდებობა, რომლის შესაძლებლობაც დაწესებულებაშია მუშაკთა უპირატესი დარჩენის საკითხის გათვალისწინებით. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნული პირობების დაცვის შემდეგ გამოვლინდება, რომ დაწესებულებაში არ არსებობს შესაბამისი ვაკანსია ან აღნიშნულ მოხელეს არა აქვს შეთავაზებული თანამდებობის დაკავების სურვილი, შესაძლებელია მუშაკის განთავისუფლება.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო პალატამ დადგინილად ცნო, რომ საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ახალქალაქის რაიონულ ფილიალში განხორციელებულ რეორგანიზაციას თან ახლდა შტატების შემცირება, კერძოდ, ფონდის გენერალური დირექტორის 2004 წლის 3 დეკემბრის #01\163-ო ბრძანებით დამტკიცებული სოცფონდის ახალქალაქის რაიონული ფილიალის საშტატო ნუსხის მიხედვით, ფილიალში, მანამდე არსებული 14 საშტატო ერთეულის ნაცვლად, დამტკიცდა 13 საშტატო ერთეული. მთავარი და წამყვანი სპეციალისტის თანამდებობაზე დასანიშნი პირისათვის სავალდებულო საკვალიფიკაციო მოთხოვნას წარმოადგენდა უმაღლესი იურიდიული ან ეკონომიკური განათლება, რომელსაც მოსარჩელე ვერ აკმაყოფილებდა. ამასთან, ასეთი

მოთხოვნა არ იყო გათვალისწინებული სპეციალისტის თანამდებობაზე, რომელიც 3 სამტატო ერთეულით განისაზღვრა.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სოცფონდის ახალქალაქის რაიონული ფილიალის ადმინისტრაციამ მოსარჩელის სამუშაოდან განთავისუფლებისას არ იმსჯელა მისი სამუშაოზე დარჩენის უპირატესი უფლების საკითხზე შრომის კანონთა კოდექსის 36-ე მუხლის შესაბამისად და არ მიიღო კანონშესაბამისი გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა მოპასუხის მოსაზრება იმის შესახებ, რომ, ვინაიდან მოსარჩელე ი. ს-იანს არ გააჩნდა უმაღლესი იურიდიული ან ეკონომიკური განათლება, საწარმოს ადმინისტრაციას არ უმსჯელია და არც იყო ვალდებული, ემსჯელა მისი სამუშაოზე დარჩენის უპირატესი უფლების შესახებ. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ უმაღლესი იურიდიული ან ეკონომიკური განათლება, როგორც სავალდებულო საკვალიფიკაციო მოთხოვნა, არ იყო გათვალისწინებული სპეციალისტის თანამდებობის დასაკავებლად, შესაბამისად, ფილიალის ადმინისტრაცია ვალდებული იყო, განეხილა სპეციალისტის თანამდებობაზე ი. ს-იანის კანდიდატურა აღნიშნულ დაწესებულებაში მუშაკთა უპირატესი დარჩენის საკითხის გათვალისწინებით.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სოცფონდის ახალქალაქის რაიონული ფილიალის ადმინისტრაციამ მოსარჩელის მიმართ დაარღვია ასევე საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 42<sup>2</sup> მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მოთხოვნა.

სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ სამუშაოდან მოსალოდნელი განთავისუფლების თაობაზე ერთი თვით ადრე შეტყობინების (გაფრთხილების) ვალდებულება ადმინისტრაციის მხრიდან, წარმოადგენს მუშაკის კანონით გათვალისწინებულ სამართლებრივ გარანტიას, მომზადებული შეხვედრის სამუშაოდან განთავისუფლების ფაქტს. სამუშაოდან მოსალოდნელი განთავისუფლების თაობაზე მოსარჩელის ერთი თვით ადრე გაფრთხილების დასადასტურებლად მოპასუხე უთითებს 2004 წლის 24 მარტისა და 2005 წლის 5 იანვრის ოქმებზე.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქმეში წარმოდგენილი 2005 წლის 5 იანვრის ოქმი არ არის შედგენილი საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 42<sup>2</sup> მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნათა შესაბამისად, ვინაიდან, ხსენებული ნორმის თანახმად, მოსალოდნელი განთავისუფლების შესახებ მუშაკი პერსონალურად უნდა იქნეს გაფრთხილებული, რაც მან ხელმოწერით უნდა დაადასტუროს, ხოლო ხელმოწერაზე უარის თქმის შემთხვევაში, გაფრთხილებაზე უფლებამოსილი პირის მიერ დგება სათანადო ოქმი, რომელიც მიეთითება, რომ მუშაკი გაფრთხილებულ იქნა მოსალოდნელი განთავისუფლების შესახებ და იგი უარს აცხადებს ხელის მოწერაზე. სააპელაციო პალატის აზრით, სოცფონდის ახალქალაქის რაიონული ფილიალის უფროსისა და ფილიალის თანამშრომელთა მიერ შედგენილი 2005 წლის 5 იანვრის ოქმით არ დასტურდება, რომ სამუშაოდან მოსალოდნელი განთავისუფლების შესახებ ი. ს-იანი პერსონალურად (მისი თანდასწრებით) იქნა გაფრთხილებული უფლებამოსილი პირის მიერ და მან უარი განაცხადა გაფრთხილების შესახებ ოქმზე მოწერა ხელი.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ი. ს-იანი სამუშაოდან მოსალოდნელი განთავისუფლების თაობაზე უნდა გაეფრთხილებინათ ფონდის გენერალური დირექტორის 2004 წლის 3 დეკემბრის #01\163-ო ბრძანების საფუძველზე, რაც არ განხორციელებულა შრომის კანონთა კოდექსის 42<sup>2</sup> მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნათა შესაბამისად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ახალქალაქის რაიონული ფილიალის ადმინისტრაციის მიერ ი. ს-იანის სამუშაოდან განთავისუფლებისას დაირღვა შრომის კანონთა კოდექსის 41<sup>1</sup>, 42<sup>2</sup> და 36-ე მუხლების მოთხოვნები.

სააპელაციო პალატის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა სსიპ «სოციალური სუბსიდიების სააგენტომ» და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი თქმა.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო პალატამ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, სააპელაციო პალატამ არ იხელმძღვანელა შრომის კანონთა კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით, რომლებიც ითვალისწინებს ორგანიზაციაში ცვლილებებთან დაკავშირებით შრომის არსებითი პირობების შეცვლას იმავე სპეციალობით, კვალიფიკაციითა და იმავე თანამდებობაზე მუშაობის გაგრძელების პირობებს.

კასატორი მიუთითებს, რომ სააპელაციო პალატამ არასწორად განმარტა შრომის კანონთა კოდექსის 34-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა» ქვეპუნქტი.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო პალატამ შრომის კანონთა კოდექსის 36-ე მუხლის არასწორი განმარტებით, ჩათვალა, რომ ი. ს-იანის მიმართ არ შესრულებულა 36-ე მუხლის მოთხოვნები მაშინ, როდესაც აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილით ამ მუხლის გამოყენება უნდა მომხდარიყო არა თანამდებობრივი კატეგორიების ცვლილებისას, არამედ მუშაკთა რიცხოვნობისა და შტატების შემცირების დროს. ამასთან სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა განყოფილების 2005 წლის 9 თებერვლის #4 ბრძანებაში მითითებული ფონდის 2004 წლის 3 დეკემბრის #01/63-ო ბრძანებაზე. მაშინ, როდესაც სამუშაოდან მოსალოდნელი განთავისუფლების შესახებ გააფრთხილეს ასევე ფონდის 2004 წლის 20 თებერვლის #01/22-ო ბრძანებითაც.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავორების საქმეთა პალატის 2008 წლის 21 ივლისის განჩინებით სსიპ «სოციალური სუბსიდიების სააგენტოს» საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული დასაშვებობის შესამოწმებლად. მოწინააღმდეგე მხარეს განესაზღვრა 10-დღიანი ვადა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის დასაშვებობის წინაპირობებთან დაკავშირებით მოსაზრებების წარმოსადგენად.

კასატორის მოწინააღმდეგე მხარე ი. ს-იანის წარმომადგენელმა მ. ფ-შილმა საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხზე საკასაციო სასამართლოში წარმოადგინა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ საკასაციო საჩივარი დაუშვებელია, რადგან იგი არ აკმაყოფილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მოთხოვნებს.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სსიპ «სოციალური სუბსიდიების სააგენტოს» საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მოთხოვნებს, რის გამოც მიჩნეულ უნდა იქნეს დაუშვებლად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის მიხედვით, საკასაციო საჩივარი ქონებრივ და სხვა არაქონებრივ დავებში დასაშვებია, თუ: ა) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; დ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე. ზემოაღნიშნული ნორმები განსაზღვრავს იმ მოთხოვნებს, რომელთაც საკასაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს და ეფუძნებოდეს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული არც ერთი ზემომითითებული საფუძვლით.

კასატორი ვერ ასაბუთებს სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვას მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რამაც არსებითად იმოქმედა საქმის შედეგზე, რის გამოც საკასაციო საჩივარს არა აქვს წარმატების პერსპექტივა.

საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები არც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საკასაციო სასამართლოს სტაბილური პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძვლით.

ამასთან, საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისით არსებობს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი, რომ დაუშვას სსიპ «სოციალური სუბსიდიების სააგენტოს» საკასაციო საჩივარი, რის გამოც საკასაციო საჩივარს უარი უნდა ეთქვას განხილვაზე.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 401-ე მუხლებით და

### **და ა ა დ გ ი ნ ა :**

სსიპ «სოციალური სუბსიდიების სააგენტოს» საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩეს განუხილველად;

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## კასაციის დასაშვებობა

### განჩინება

#ას-698-918-08

11 დეკემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

თ. თოდრია (მომხსენებელი),

რ. ნადირიანი

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

#### აღწერილობითი ნაწილი:

2006 წლის 27 მარტს ს. მ-მემ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მოპასუხე შპს „საქართველოს რკინიგზის“ მიმართ ზიანის ანაზღაურების შესახებ.

მოსარჩელემ განმარტა, რომ 1969 წლის 29 მარტს ქ. ცხინვალში, რკინიგზის სადგურში ჩავარდა მოძრავი მატარებლის ქვეშ, რის შედეგადაც მიიღო სხეულის დაზიანება - მოეკვეთა ორივე ფეხი და გახდა პირველი ჯგუფის ინვალიდი უვადოდ. ქ. თბილისის ლენინის რ-ნის სახალხო სასამართლოს 1972 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილებით დადგინდა იქნა მოპასუხის ბრალი მის დასახიჩრებაში. მას შემდეგ გაუუარესდა ჯანმრთელობის მდგომარეობა და საჭიროებს სილიკონის პროთეზებსა და მოტოეტლს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხე შპს „საქართველოს რკინიგზისათვის“ 2 ბარძაყის პროთეზისა და ტიტანის მექანიზმების შესაძენად 136.20 ლარისა და მოტოეტლის შესაძენად 168.400 რუსული მანეთის ეკვივალენტი ლარის გადახდის დაკისრება. 2007 წლის 6 ივლისს ს. მ-მემ წარმოადგინა გაზრდილი სასარჩელო განცხადება, რომლითაც მოითხოვა შპს „საქართველოს რკინიგზისათვის“ მის სასარგებლოდ სამ წელიწადში ერთხელ სილიკონითა და ტიტანის მექანიზმებიანი ორი ბარძაყის პროთეზის ღირებულების გადახდა ფასების ცვლილებების შესაბამისად, ასევე, მოპასუხისათვის ცხრა თვეში ერთხელ სილიკონის ბუდის, ე.წ. ტაკვის მიმღების ღირებულების - 450 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ არსებობს კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც შპს „საქართველოს რკინიგზას“ ს. მ-მის სასარგებლოდ დაეკისრა ყოველთიური სარჩოს გადახდა, აგრეთვე, მოსარჩელეს მიღებული აქვს მოტოეტლის ღირებულებაც.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 23 აგვისტოს გადაწყვეტილებით ს. მ-მის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ - მოპასუხე შპს „საქართველოს რკინიგზას“ ს. მ-მის სასარგებლოდ დაეკისრა ტიტანისა და სილიკონის მექანიზმებიანი ბარძაყის პროთეზის ღირებულების - 68.10 ლარის, მოტოეტლის ღირებულების 84.200 რუსული მანეთის ეკვივალენტი ლარისა და სილიკონის ბუდის ე.წ. ტაკვის მიმღების ღირებულების - 225 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ს. მ-მემ და შპს «საქართველოს რკინიგზამ».

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 6 მარტის გადაწყვეტილებით შპს «საქართველოს რკინიგზის» სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ს. მ-მის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა - გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 23 აგვისტოს გადაწყვეტილება მოსარჩელისათვის ექსპერტიზის ხარჯების ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება. მოსარჩელე ს. მ-მის მოთხოვნა ექსპერტიზის ხარჯების ანაზღაურების თაობაზე ნაწილობრივ დაკმაყოფილდა - მოპასუხე შპს «საქართველოს რკინიგზას» ს. მ-მის სასარგებლოდ დაეკისრა ამ უკანასკნელის მიერ გაწეული ექსპერტიზის ხარჯების ანაზღაურება 137 ლარისა და 50 თეთრის ოდენობით. დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიაჩნია, რომ 1969 წლის 29 მარტს ს. მ-მე ჩავარდა სამგზავრო მატარებლის ქვეშ და დაკარგა ორივე ქვედა კიდური. იგი ცნობილია პირველი ჯგუფის ინვალიდად მუდმივად. ქ. თბილისის ლენინის რ-ნის სახალხო სასამართლოს 1972 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ს. მ-მის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ - მოპასუხე «ა.კ.», «რ.კ.» სავაგონო დეპოს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა მოსარჩელის დასახიჩრებით შედეგად გამოწვეული ზარალის საზღაური ერთდროულად 70.88 მანეთი, ხოლო 1972 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ს. მ-მის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, მოპასუხე სავაგონო დეპოს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა მოსარჩელის დასახიჩრების შედეგად გამოწვეული ზარალის საზღაური ერთდროულად 70.88 მანეთი, ხოლო 1972 წლის 1 ნოემბრიდან ყოველთვიურად მუდმივად 100 მანეთი. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1972 წლის 12 დეკემბრის განჩინებით, ქ. თბილისის ლენინის რ-ნის სახალხო სასამართლოს

1972 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილება მოცემულ საქმეზე დარჩა ძალაში იმ ცვლილებით, რომ მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა ერთდროულად დაკისრებული 70.88 მანეთის ნაცვლად 47.88 მანეთი 1972 წლის 1 ნოემბრამდე, ხოლო შემდეგ ყოველთვიურად 100 მანეთის ნაცვლად - 86 მანეთი მუდმივად. სსიპ სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის 2006 წლის 18 ოქტომბრის №3/466 დასკვნით ს. მ-ძეს დაუდგინდა ორივე ბარძაყის ე.წ ამპუტირებული ტაკვი, მარჯვნივ კანის საფარველის გარქოვანებით. იმისათვის, რომ ს. მ-ძემ შეძლოს თავისუფლად გადაადგილება დამხმარე საშუალებების (ყავარჯნების) გამოყენების გარეშე, მიზანშეწონილია დაუშვადდეს თანამედროვე ტექნოლოგიის (სილიკონის) პროთეზები გარკვეული პერიოდულობის ცვლით. ს. მ-ძეს საცხოვრებელ სახლსა და ეზოში გადასადგილებად ესაჭიროება მოტოციკლი. საქმეში წარმოდგენილი შპს „ორთოჯორჯიას“ 2006 წლის 23 მარტის #3 ანგარიშით დასტურდება, რომ სილიკონიანი და ტიტანის მექანიზმებიანი ბარძაყის ორი პროთეზის ღირებულება 13.620 ლარია. შპს „მაირა-სავარძლები-ეტლები და რეაბილიტაციის საშუალებების“ 2006 წლის 20 მარტის #45 ანგარიშის მიხედვით, ერთი ერთეული სავარძელი-ეტლის ღირებულება შეადგენს 168.000 რუსულ მანეთს. შპს „ორთოჯორჯიას“ 2007 წლის 13 მარტის ცნობის თანახმად, სილიკონის ბუდის, ე.წ ტაკვის მიღების ღირებულება შეადგენს 450 აშშ დოლარის ეკვივალენტ ლარს.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა ს. მ-ძის წარმომადგენლის მოსაზრება იმის შესახებ, რომ სასამართლოს არ უნდა გამოეყენებინა სამოქალაქო კოდექსის 415-ე მუხლი (1997 წლის 25 ნოემბრის რედაქციით) და არ უნდა გაენებავებინა მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოცულობა, ვინაიდან მოსარჩელის დასახიჩრების დროისათვის მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა შერეული ბრალის არსებობისას დამატებითი ხარჯების ანაზღაურების განახევრების შესაძლებლობას.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მხარეებმა გამოთქვეს სურვილი ერთმანეთს შორის ურთიერთობა ახალი სამოქალაქო კოდექსით მოწესრიგებინათ, შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლო უფლებამოსილი იყო, სადავო ურთიერთობის მიმართ გამოეყენებინა ამ კოდექსის ნორმები.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა ასევე აპელანტის წარმომადგენლის მოსაზრება იმის შესახებ, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს უნდა გამოეყენებინა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1963 წლის 23 ოქტომბრის დადგენილება, რომლის მე-16 პუნქტის თანახმად დამატებითი ხარჯების ოდენობის განსაზღვრისას არ გამოიყენება წესები, რომლებიც უშვებენ ზიანის ოდენობის შემცირების შესაძლებლობას დაზარალებულის ბრალის ხარისხის მიხედვით, ვინაიდან, მიიჩნია, რომ მითითებულ დადგენილებას არ ჰქონდა ნორმატიული, ანუ სავალდებულო ძალა და, ამავე დადგენილების თანახმად, იგი წარმოადგენდა სასამართლოებისათვის მიცემულ განმარტებებს სასამართლო პრაქტიკაში კანონმდებლობის სწორი და ერთგვაროვანი გამოყენების მიზნით.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა შპს „საქართველოს რკინიგზის“ წარმომადგენლის მოსაზრება იმის შესახებ, რომ, ვინაიდან ზიანის წარმოშობას ხელი შეუწყო თვით დაზარალებულის (მოსარჩელის) უხეშმა გაუფრთხილებლობამ, ხოლო მოპასუხის ბრალი ზიანის დადგომამდე დადასტურებულია არ არის, ამიტომ შპს „საქართველოს რკინიგზას“ არ უნდა დაკისრებოდა ზიანის ანაზღაურება მოსარჩელის სასარგებლოდ. სააპელაციო პალატამ დადასტურებულად ცნო მოსარჩელისა და მოპასუხის ბრალეული ქმედებების შედეგად გამოწვეული ზიანი ანუ შერეული ბრალი.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს „საქართველოს რკინიგზამ“ და ს. მ-ძემ.

კასატორ შპს „საქართველოს რკინიგზის“ მოსაზრებით, სააპელაციო პალატამ უფულებელყო ის გარემოება, რომ ზიანის წარმოშობას ხელი შეუწყო თვით დაზარალებულის უხეშმა გაუფრთხილებლობამ, ხოლო მოპასუხის ბრალი ზიანის დადგომამდე დადასტურებული არ არის, ამიტომ შპს «საქართველოს რკინიგზას» არ უნდა დაკისრებოდა ზიანის ანაზღაურება მოსარჩელის სასარგებლოდ.

კასატორ ს. მ-ძის მოსაზრებით, სააპელაციო პალატამ არასწორად განმარტა სამოქალაქო სამართლის კოდექსის 471-ე მუხლი. ამასთან, არ გამოიყენა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1963 წლის 23 ოქტომბრის დადგენილება მაშინ, როდესაც სსრ კავშირის პლენუმის 1984 წლის 16 აგვისტოს #15 დადგენილების მე-7 პუნქტის თანახმად, უმაღლესი სასამართლოს პლენუმის განმარტებები მიჩნეულია სავალდებულო ძალის მქონედ, როგორც სასამართლოებისათვის, ასევე სხვა ორგანოებისათვის.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაცოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 22 სექტემბრის განჩინებებით შპს «საქართველოს რკინიგზისა» და ს. მ-ძის საკასაციო საჩივრები მიღებულ იქნა წარმომავალი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული დასაშვებობის შესამოწმებლად.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრების დასაშვებობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს «საქართველოს რკინიგზისა» და ს. მ-ძის საკასაციო საჩივრები არ აკმაყოფილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მოთხოვნებს, რის გამოც მიჩნეულ უნდა იქნეს დაუშვებლად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის მიხედვით, საკასაციო საჩივარი ქონებრივ და სხვა არაქონებრივ დავებში დასაშვებია, თუ: ა) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; დ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე. ზემოაღნიშნული ნორმები განსაზღვრავს იმ მოთხოვნებს, რომელთაც საკასაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს და ეფუძნებოდეს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივრები არ არის დასაშვები სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული არც ერთი ზემომითითებული საფუძველით.

კასატორები ვერ ასაბუთებენ სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვას მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რამაც არსებითად ემოქმედა საქმის შედეგზე, რის გამოც საკასაციო საჩივრებს არა აქვს წარმატების პერსპექტივა.

საკასაციო საჩივრები არ არის დასაშვები არც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საკასაციო სასამართლოს სტაბილური პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძველით.

ამასთან, საკასაციო საჩივრების განხილვისა და საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისით არსებობს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი, რომ დაუშვას შპს «საქართველოს რკინიგზისა» და ს. მ-მის საკასაციო საჩივრები, რის გამოც საკასაციო საჩივრებს უარი უნდა ეთქვას განხილვაზე.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 401-ე მუხლებით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა :**

1. შპს «საქართველოს რკინიგზისა» და ს. მ-მის საკასაციო საჩივრები, როგორც დაუშვებელი, დარჩეს განუხილველად;

2. შპს «საქართველოს რკინიგზისა» დაუბრუნდეს გადახდილი სახელმწიფო ბაჟის (611 ლარისა და 44 თეთრის) 70% - 428 ლარი;

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **7. საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა**

#### **განჩინება**

#ას-623-847-08

18 ნოემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),**

**ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),**

**ლ. ლაზარაშვილი**

**დავის საგანი:** გარიგების ბათილად ცნობა, საჯარო რეესტრში განხორციელებული ჩანაწერის გაუქმება, უძრავი ქონების სააღსრულებო ბარათში ცვლილების შეტანა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

სს «ერდოს» დამფუძნებელმა აქციონერმა რ. ს-შვილმა სარჩელი აღძრა სასამართლოში სს «ერდოს», საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და ნოტარიუს დ. კ-მის მიმართ, რომლითაც მოითხოვა სს «ერდოსს» და მის აქციონერ ი. ა-შვილს შორის 2005 წლის 25 მარტს სანოტარო წესით გაფორმებული საზოგადოების საწესდებო კაპიტალში შემავალი, ქ. ახალციხეში, ... ქუჩაზე მდებარე მაღაზია-პავილიონის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, აღნიშნულთან დაკავშირებით საჯარო რეესტრში განხორციელებული ჩანაწერის გაუქმება, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ახალციხის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ 2005 წლის 14 მარტს განხორციელებული #0365/05 რეგისტრაციის მონაცემებს, #62.09.09.027 მიწისა და უძრავი ქონების სააღსრულებო ბარათში ცვლილების შეტანა იმდაგვარად, რომ საკუთრების გრაფაში «კერძო საკუთრების ნაცვლად», მიეთითოს, «კერძო თანაზიარი საკუთრება», ხოლო მესაკუთრის გრაფაში გაუქმდეს 2005 წლის 29 მარტს #04931 განცხადების საფუძველზე შესრულებული #2 ჩანაწერი; ამასთან, სადავო ნასყიდობის ხელშეკრულების საგნის - სს

«ერდოს» კუთვნილი პავილიონის ტექნიკურ პასპორტში მესაკუთრედ ფირმა «პრომეთე» არასწორადაა მითითებული, რაც უნდა შეიცვალოს სს «ერდოსი» შემდეგი საფუძვლებით: სადავო ნასყიდობის ხელშეკრულება სს «ერდოს» სახელით მისმა გენერალურმა დირექტორმა ა.გ-შვილმა გააფორმა «მეწარმეთა შესახებ» კანონის 55-ე მუხლის დარღვევით, ვინაიდან მას საზოგადოების წარმოდგენის უფლება გააჩნდა მესამე პირების წინაშე, ხოლო ი. ა-შვილი იყო სს «ერდოს» დამფუძნებელი და მესამე პირად ვერ ჩაითვლებოდა. სადავო გარიგების საგანი იყო უფლებრივი ნაკლის მქონე, ახალციხის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 3 თებერვლის განჩინებით ქ. ახალციხეში, ... ქუჩაზე მდებარე პავილიონს დაედო ყადაღა, რომელიც სადავო ნასყიდობის გაფორმებისას გაუქმებული არ ყოფილა. სადავო ნასყიდობის ხელშეკრულების საწარმოო წესით გაფორმებისას ნოტარიუსთან წარდგენილი არ ყოფილა სს «ერდოს» აქციონერთა საერთო კრების ოქმი. ასეთი კრება საერთოდ არ ჩატარებულა. ფაქტობრივად, ჩატარდა სს «ერდოს» მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება, რომელსაც საზოგადოების საწესდებო კაპიტალში შეტანილი ქონების გასხვისების შესახებ გადაწყვეტილების მიღების უფლება არ გააჩნდა. ამასთან, რ. ს-შვილი, როგორც აქციონერი, საერთოდ არ ყოფილა მიწვეული კრებაზე. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა მოწვეულ იქნა «მეწარმეთა შესახებ» კანონის 55.6 მუხლის დარღვევით. ცეკავშირის გამგეობა არ იყო უფლებამოსილი, თანხმობა მიეცა სს «ერდოს» საწესდებო კაპიტალში შეტანილი ქონების გასხვისების თაობაზე. სს «ერდოს» საწესდებო კაპიტალიდან ქონების კანონიერად გასხვისების შემთხვევაშიც, საწესდებო კაპიტალის ოდენობის შემცირება სათანადოდ უნდა დარეგისტრირებულიყო, რაც არ განხორციელებულა.

ახალციხის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 1 აგვისტოს განჩინებით ქ. ახალციხეში, ... ქუჩაზე მდებარე ი. ა-შვილის კუთვნილ მაღაზია-პავილიონს დაედო ყადაღა, ხოლო რ. ს-შვილს დაევალა მოსალოდნელი ზიანის ასანაზღაურებლად საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ანგარიშზე 400 ლარის შეტანა.

ახალციხის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 3 ოქტომბრის განჩინებით საქმეში სათანადო მოპასუხედ ნოტარიუსისა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ნაცვლად, ჩაება სს «ერდოს», ხოლო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო საქმეში ჩაებმა მესამე პირად.

მოპასუხე სს «ერდოს» დირექტორმა ა. გ-შვილმა სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით: რ. ს-შვილმა სათანადოდ ვერ დაასაბუთა, თუ რა უფლებით სარგებლობს სს «ერდოსი», რის გამოც მისი მოთხოვნები უსაფუძვლოა. ახალციხის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 31 იანვრის განჩინებით, სს «ერდოსს» და საგადასახდაო ინსპექციას შორის მორიგების გაფორმების გამო, სადავო პავილიონს ყადაღა მოეხსნა, ამდენად, ამავე სასამართლოს 2005 წლის 3 თებერვლის განჩინებით ქ. ახალციხეში, ... ქუჩაზე მდებარე მაღაზია ხელახლა არასწორად დაყადაღდა. დაუსაბუთებელია მოსარჩელის მითითება პავილიონის ტექნიკურ პასპორტში მესაკუთრედ ფირმა «პრომეთეს» ნაცვლად სს «ერდოს» ჩაწერის თაობაზე, ვინაიდან «პრომეთე» იმავე ორგანიზაციის სამართალმემკვიდრეა, რისიც სს «ერდოს». სადავო ნასყიდობის ხელშეკრულება გაფორმდა კანონის მოთხოვნათა დაცვით, სამეთვალყურეო საბჭოსა და ცეკავშირის თანხმობის საფუძველზე. რაც შეეხება საზოგადოების საერთო კრების გადაწყვეტილებას, აქციონერთა ნაცვლად მოწვეულ იქნა საზოგადოების თანამშრომელთა საერთო კრება, რაც, «მეწარმეთა შესახებ» კანონის შესაბამისად, დასაშვებია და აღნიშნულ კრებაზე მიღებულ იქნა სათანადო თანხმობა. მართალია, საერთო კრებას არ დასწრებია ნოტარიუსი, მაგრამ ნოტარიუსის მიწვევის შემთხვევაში სს «ერდოს» უნდა გადაეხადა მისთვის 150 ლარი, რისი შესაძლებლობაც საზოგადოებას არ ჰქონდა.

ახალციხის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილებით რ. ს-შვილის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი სს «ერდოს» წარმომადგენელ ა. გ-შვილსა და ი. ა-შვილს შორის 2005 წლის 25 მარტს #1-79-ით ადიგენის საწარმოო კანტონში რეგისტრირებული ნასყიდობის ხელშეკრულება, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურს დაევალა ფირმა «პრომეთეს» ტექნიკურ პასპორტში ცვლილების, კერძოდ, «პრომეთეს» ნაცვლად სს «ერდოს» შეტანა, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურის ჩანაწერის უძრავი ქონების საკუთრების უფლების გრაფაში «კერძო საკუთრების» «კერძო თანაზიარი საკუთრებით» შეცვლაზე მოსარჩელის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, რაც სს «ერდოს» და ი. ა-შვილმა გაასაჩივრეს სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 31 მარტის გადაწყვეტილებით გასაჩივრებული გადაწყვეტილება 2005 წლის 25 მარტის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის ნაწილში გაუქმდა და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რ. ს-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი 2005 წლის 25 მარტს სს «ერდოსს» და ი. ა-შვილს შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულება შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: სს „ერდოს“ რეგისტრაციაში გატარდა 1998 წლის 22 ივნისს. საზოგადოების წესდების 4.1 მუხლის შესაბამისად, მისი საწესდებო კაპიტალი შედგება ცეკავშირის ახალციხის უნივერსალური საბითუმო-სავაჭრო ბაზის ბალანსზე რიცხული ქონებისაგან, აგრეთვე, წვერთა შენატანებისაგან, შემდგომში საზოგადოების სამეურნეო საქმიანობით შექმნილი ფასეულობებისა და შემოსავლებისაგან. წესდების 4.3 მუხლის თანახმად, საზოგადოების საწესდებო კაპიტალი შეადგენს 343300 ლარს, აქციონერთა რიცხვი კი - 15 აქციონერს. მათ შორისაა ი. ა-შვილი. ახალციხეში, ... ქუჩაზე მდებარე სადავო მაღაზია-პავილიონი შეტანილია სს „ერდოს“ საწესდებო კაპიტალში. 2005 წლის 25 მარტს, ერთი მხრივ, სს „ერდოს“ გენერალურ დირექტორ ა.

გ-შვილსა და, მეორე მხრივ, ი. ა-შვილს შორის ზემოხსენებულ მაღაზია-პავილიონზე გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება. სს „ერდოს“ წესდების 4.14 მუხლის შესაბამისად, საზოგადოების საერთო კრებას შეუძლია გადაწყვიტოს საწესდებო კაპიტალის გადიდება ან შემცირება, თუ მას ესწრება ან წარმოდგენილია ხმის უფლების მქონე საწესდებო კაპიტალის მფლობელთა ნახევარზე მეტი. 4.15 მუხლის მიხედვით, საზოგადოების გადაწყვეტილება საწესდებო კაპიტალის შეცვლის შესახებ ძალაში შედის სახელმწიფო რეესტრში შესაბამისი ცვლილებების შეტანის შემდეგ. წესდების 7.5 მუხლის თანახმად, საერთო კრება უფლებამოსილია, შეცვალოს საზოგადოების წესდება, კერძოდ, საწესდებო კაპიტალი, საფირმო სახელწოდება, საზოგადოების საქმიანობის საგანი და გადაწყვიტოს მისი ლიკვიდაციის საკითხი. აღნიშნულიდან გამომდინარე სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ სს „ერდოს“ წესდების შესაბამისად, საზოგადოების წესდების შეცვლა საერთო კრების ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა. პალატამ მიიჩნია, რომ საწესდებო კაპიტალში შეტანილი ქონების გასხვისება იწვევს საწესდებო კაპიტალის შემცირებას და საწესდებო კაპიტალის გასხვისებისათვის აუცილებელია საერთო კრების გადაწყვეტილება, ვინაიდან ამგვარი გადაწყვეტილება ითვლება საზოგადოების წესდების შემცველ გადაწყვეტილებად. სასამართლოს მითითებით, მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ სს „ერდოს“ დირექტორ ა. გ-შვილის მიერ გასხვისებულია საწესდებო კაპიტალში შეტანილი უძრავი ქონება, კერძოდ, ახალციხეში, ... ქუჩაზე მდებარე მაღაზია-პავილიონი, რითაც შემცირდა საწესდებო კაპიტალი, თუმცა საზოგადოების წესდებაში შესაბამისი ცვლილებები არ განხორციელებულა. სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმეში არ მოიპოვება საერთო კრების გადაწყვეტილება საწესდებო კაპიტალის შემცირების შესახებ, არამედ წარმოდგენილია ცეკავშირის სააქციო საზოგადოება სს „ერდოს“ მუშა-მოსამსახურეთა და აქციონერთა 2004 წლის 13 ოქტომბრის კრების #3 ოქმი, რომლითაც ირკვევა, რომ კრებაზე მოწონებულ იქნა დირექციის წინადადება საზოგადოების ბალანსზე რიცხული მაღაზია-პავილიონის ი. ა-შვილისათვის მიყიდვის შესახებ. სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ გადაწყვეტილება საწესდებო კაპიტალის გასხვისების შესახებ მიღებულია არა აქციონერთა საერთო კრებაზე, არამედ აქციონერთა და სს „ერდოს“ მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე. ამდენად, 2004 წლის 13 ოქტომბერს აქციონერთა და მუშა-მოსამსახურეთა მიერ მიღებული გადაწყვეტილება საწესდებო კაპიტალიდან ქონების გასხვისების საფუძველი ვერ გახდებოდა. ამასთან, სასამართლომ მიიჩნია, რომ საერთო კრების ოქმი არ არის შედგენილი „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 54.4 მუხლის შესაბამისად. სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის შესაბამისად, სააპელაციო პალატა ჩათვალა, რომ სადავო ნასყიდობის ხელშეკრულება ბათილია, ვინაიდან საწესდებო კაპიტალში შეტანილი ქონების გასხვისებისას აუცილებელი იყო სს „ერდოს“ საერთო კრების გადაწყვეტილება. ამასთან, სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ ი. ა-შვილი, რომელმაც შეიძინა სადავო ქონება, არის სს „ერდოს“ აქციონერი და მისთვის ცნობილი იყო საზოგადოების წესდებაში მითითებული დებულება საწესდებო კაპიტალში შეტანილი ქონების გასხვისებასთან დაკავშირებით საერთო კრების გადაწყვეტილების აუცილებლობის შესახებ, რის გამოც იგი კეთილსინდისიერ შემძენად ვერ ჩაითვლება. სასამართლომ მიიჩნია, რომ „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 9.1 მუხლის, 9.3 მუხლის პირველი აბზაცის, 9.4 და 9.5 მუხლების შესაბამისად, განსახილველ შემთხვევაში კონტრაქტისათვის ცნობილი იყო საზოგადოების ხელმძღვანელობისათვის უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ. სააპელაციო პალატამ არ გაიზარა აპელანტების განმარტება, რომ რ. ს-შვილი სს „ერდოს“ აქციონერი არ არის და სადავო გარიგების ბათილად ცნობის მოთხოვნის უფლებამოსილების მქონე დაინტერესებულ პირს არ წარმოადგენს იმ საფუძველით, რომ სს „ერდოს“ დირექტორის მიერ წარმოდგენილ აქციონერთა რეესტრში რ. ს-შვილი აქციონერად არ ფიქსირდება. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ სს „ერდოს“ წესდებით საზოგადოებას რეესტრაციის მომენტისათვის და ამჟამადაც 15 აქციონერი ჰყავს, საქმეში არსებული სს „ერდოს“ სადამფუძნებლო დოკუმენტაციით კი რ. ს-შვილი საზოგადოების დამფუძნებელი აქციონერია. პალატამ დაადგინა, რომ სს „ერდოს“ დირექტორის მიერ 2007 წლის 27 სექტემბრის მდგომარეობით წარმოდგენილ აქციონერთა რეესტრში რ. ს-შვილი აქციონერთა რიცხვში მითითებული არ არის, თუმცა ჩათვალა, რომ სს „ერდოს“ დირექტორმა ვერ წარადგინა მტკიცებულება იმის დასადასტურებლად, რომ რ. ს-შვილმა გაასხვისა მისი წილი აქციები. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზარა აპელანტის მითითება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 53.3.2 მუხლზე, ვინაიდან აღნიშნული ნორმა განსაზღვრავს სამეურნეო მოქმედებებისა და წლიური ბალანსის სპეციალური შემოწმების მიზნით ხუთი პროცენტის მფლობელი აქციონერების საერთო კრებისათვის მიმართვის უფლებამოსილებას და საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე სასამართლოსათვის აღიარებითი სარჩელით მიმართვის აქციონერის უფლებას არ ზღუდავს.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება სს „ერდოს“ და ი. ა-შვილმა გაასაჩივრეს საკასაციო წესით, მოითხოვეს მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

სს „ერდოს“ დირექტორმა მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება შემდეგი საფუძველით: სააპელაციო სასამართლომ ისე განიხილა მოთხოვნა სადავო გარიგების ბათილად ცნობის შესახებ, რომ კასატორი საქმეში მოპასუხედ ჩაბმული არ ყოფილა და წარმოადგენდა მესამე პირს, რაც დარღვევაა. რ. ს-შვილი არასათანადო მოსარჩელეა, ვინაიდან მან ვერ წარადგინა მტკიცებულება, რომელიც მისი სს „ერდოს“ აქციონერად ყოფნას დაადასტურებდა. სასამართლოს უნდა გამოეყენებინა „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 54.6 მუხლის «გ» ქვეპუნქტი, რომლის შესაბამისად, სადავო ქონების



გასხვისებისას აქციონერთა საერთო კრების თანხმობა საჭირო არ იყო. სს «ერდოს» საწესდებო კაპიტალი 300 000 ლარს შეადგენს, სადავო ქონების ღირებულება კი 3400 ლარია. აღნიშნულის მიუხედავად, სადავო ნივთის გასხვისებაზე თანხმობა მიღებულ იქნა 2004 წლის 13 ოქტომბრის მუშა-მოსამასახურეთა და აქციონერთა საერთო კრებისა და სამეთვალყურეო საბჭოს 2004 წლის 20 ოქტომბრის სხდომის გადაწყვეტილების მიერ. სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ «მეწარმეთა შესახებ» კანონის 54.1 მუხლის შესაბამისად, 2004 წლის 13 ოქტომბრის ზემოხსენებულ კრებაზე ნოტარიუსის დასწება სავალდებულო არ იყო. სააპელაციო პალატას უნდა გამოეყენებინა ამავე კანონის 15.2 მუხლი, ვინაიდან მოსარჩელემ გაუშვა საერთო კრების ოქმის გასაჩივრების ხანდაზმულობის ვადა. სასამართლომ არ გამოიკვლია, თუ რა იურიდიული ინტერესი გააჩნდა რ. ს-შვილს სადავო ნასყიდობის ხელშეკრულების მიმართ და მისი რომელი უფლება დაირღვა გარიგების დადებით. დაუსაბუთებელია სასამართლოს მითითება, რომ სადავო უძრავი ნივთი მისი გასხვისებისას დაყადებული იყო, ვინაიდან საქმეში წარმოდგენილია უფლებამოსილი სუბიექტის მიერ გაცემული ცნობა აღნიშნული ყადაღის არარსებობის თაობაზე.

ი. ა-შვილმა მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი დასაბუთებით: სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილება გამოიტანა მესამე პირის მიმართ და სადავო გარიგება ბათილად ცნო ისე, რომ კასატორი საქმეში მოპასუხედ არ ჩაურთავს, რაც სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის დარღვევად უნდა ჩაითალოს. პალატამ არასწორად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლი, რადგან ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის საფუძველი არ არსებობდა. ამასთან, ასეც რომ არ ყოფილიყო, კასატორი კეთილსინდისიერ შემქმენს წარმოადენდა. რ. ს-შვილი არასათანდო მოსარჩელეა, ვინაიდან იგი არასდროს ყოფილა სს «ერდოს» აქციონერი. მოპასუხემ რ. ს-შვილის წილის გასხვისების დამადასტურებელი მტკიცებულება ვერ წარადგინა, რადგან მოსარჩელე რ. ს-შვილს სააქციო საზოგადოების აქციები არ ჰქონია. აღნიშნულ აქციათა განაწილების დროს იგი სს «ერდოში» დასაქმებული აღარ იყო. სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა «მეწარმეთა შესახებ» 9.5 მუხლი.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები, განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიიჩნია, რომ ი. ა-შვილისა და სს «ერდოს» საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

სააპელაციო სასამართლომ დადგინილად შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები მიიჩნია:

სს «ერდო» რეგისტრირებულია 1998 წლის 22 ივნისს. საზოგადოების საწესდებო კაპიტალი შედგება ცეკავშირის ახალციხის უნივერსალური საბითუმო-სავაჭრო ბაზის ბალანსზე რიცხული ქონებისაგან, აგრეთვე წევრთა შენატანებისაგან;

საზოგადოების საწესდებო კაპიტალი შეადგენს 343 300 ლარს, აქციონერთა რაოდენობა - თხუთმეტი;

სადავო უძრავი ქონება - ახალციხეში, 9 აპრილის ქუჩაზე მდებარე მაღაზია-პავილიონი შეტანილია სს «ერდოს» საწესდებო კაპიტალში;

2005 წლის 25 მარტს სს «ერდოს» გენერალურ დირექტორსა და ი. ა-შვილს შორის ახალციხეში, 9 აპრილის ქუჩაზე მდებარე მაღაზია-პავილიონის ნასყიდობის ხელშეკრულება გაფორმდა;

ი. ა-შვილი სს «ერდოს» აქციონერია.

კასატორებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგინილად ცნობილი აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების მიმართ დასაბუთებული და დასაშვები პრეტენზია არ წარმოუდგენიათ.

საკასაციო პალატა არ იზიარებს ი. ა-შვილის მტკიცებას, რომ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რადგანაც თავად საქმეში მოპასუხედ ჩაბმული არ ყოფილა, რის გამოც გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს.

საპროცესო სამართალი მატერიალური სამართალით მინიჭებული უფლებების და კანონიერი ინტერესების დაცვის ფორმაა. სამოქალაქო სამართალწარმოება, სამოქალაქო პროცესი განსაზღვრავს სამოქალაქო საქმეების განხილვისა და გადაწყვეტის წესს.

სამოქალაქო პროცესის ამოცანას წარმოადგენს დარღვეული ან სადავოდ გამხდარი უფლებების დაცვა. სამოქალაქო სამართალწარმოების ფუნქციას კი - დავის სწორი და დროული გადაწყვეტა.

საპროცესო სამართალი ადგენს პროცედურას, თუ როგორ უნდა მოახდინოს სასამართლომ საქმის გარემოებების შესწავლა, მტკიცებულებების გამოკვლევა და მათზე დაყრდნობით გადაწყვეტილების მიღება, ამასთან გასათვალისწინებელია, რომ ამ პროცესუალური ნორმების დანიშნულება საქმეზე სწორი გადაწყვეტილების მიღებაა. იმ შემთხვევაში, თუ საქმეზე სწორი შედეგია დამდგარი, მხოლოდ პროცესუალური ნორმის დარღვევის გამო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება არამართებულია. ეს პრინციპი სამოქალაქო საპროცესო კოდექსში არაერთგზისაა განმტკიცებული, მათ შორის 391-ე მუხლში,

რომლის მიხედვითაც, სააპელაციო სასამართლოს მიერ დაშვებული პროცესუალური ნორმის დარღვევა მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს საკასაციო სასამართლოსათვის მნიშვნელობა, თუ ამ დარღვევას შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე. ამ ნორმიდან გამომდინარე ყოველ განსახილველ შემთხვევაში უნდა შეფასდეს, რა გადაწყვეტილება მიიღო სასამართლომ და რა შედეგი დადგებოდა მხარისათვის, სასამართლოს დავა პროცესუალური ნორმის დარღვევის გარეშე რომ განეხილა.

სასამართლომ დავის განხილვისას მკაცრად უნდა დაიცვას კანონმდებლობით განსაზღვრული საპროცესო ფორმები, მათ შორის, პროცესში მონაწილე მხარეთა ჩანაცვლების პროცედურები. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი შეიცავს კანონის დარღვევის ფორმალურ ჩამონათვალს, სასამართლო აქტების დაუსაბუთებლობისა და უკანონობის ნიშნებს:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის თანახმად, სამართლის ნორმები დარღვეულად ითვლება, თუ სასამართლომ:

- ა) არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა;
- ბ) გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და
- გ) არასწორად განმარტა კანონი.

იმავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი.

აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, საპროცესო სამართლის ნორმის დარღვევა შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ეს დარღვევა ეწინააღმდეგება სამოქალაქო სამართალწარმოების მიზნებსა და ამოცანებს, დარღვეული ან სადავოდ ქცეული უფლების დაცვას.

განსახილველ შემთხვევაში კასატორი პირველი ინსტანციის სასამართლოში ფორმალურად მონაწილეობდა როგორც მესამე პირი. მას თავისი პროცესუალური სტატუსი სადავოდ არ გაუხდია, ამასთან, საპროცესო სტატუსის გამო არ შეზღუდულა რაიმე მოქმედების განხორციელებაში. მან გაასაჩივრა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას მონაწილეობდა როგორც მხარე. ი. ა-შვილი ვერ მიუთითებს რაიმე მტკიცებულებაზე ან გარემოებაზე, რომელზეც უნდა მიეთითებინა და ვერ მიუთითა აღნიშნული საპროცესო დარღვევის გამო, ამდენად, განსახილველ შემთხვევაში, ვერ ჩაითვლება, რომ ი. ა-შვილის საქმეში მესამე პირის სტატუსით მონაწილეობამ საქმეზე არასწორი გადაწყვეტილების მიღება გამოიწვია.

რაც შეეხება საკასაციო საჩივრის სხვა მოტივებს, ორივე კასატორი მიუთითებს, რომ რ. ს-შვილი არ იყო სს «ერდოს» აქციონერი. აღნიშნული მტკიცებას საკასაციო პალატა არ იზიარებს და მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოება სწორად დაადგინა. საქმეში წარმოდგენილი სს «ერდოს» სადამფუძნებლო დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ რ. ს-შვილი საზოგადოების ერთ-ერთი დამფუძნებელი აქციონერი იყო. რაიმე მტკიცებულება იმისა, რომ რ. ს-შვილმა სარჩელის შეტანის დროისათვის გაასხვისა თავისი კუთვნილი აქციები, სასამართლოში წარდგენილი არ ყოფილა, ამდენად, სასამართლოს სრული საფუძველი აქვს ივარაუდოს, რომ რ. ს-შვილი კვლავ სს «ერდოს» აქციონერია.

რაც შეეხება ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილობის საფუძველებს, «მეწარმეთა შესახებ» კანონის ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისა და დავის სააპელაციო სასამართლოში განხილვის დროისათვის მოქმედი რედაქციის 55.9-ე მუხლის «ბ» ქვეპუნქტის მიხედვით, სააქციო საზოგადოებაში უძრავი ქონებისა და უძრავი ქონების მსგავსი უფლებების შეძენა, გასხვისება და დატვირთვა შესაძლებელია მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობით. ამგვარი თანხმობის გარეშე დადებული გარიგება ბათილია. ხოლო იმავე კანონის 54.6-ე მუხლის «მ» ქვეპუნქტის მიხედვით საერთო კრება უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებები საზოგადოების ქონების შეძენის, გასხვისების, ან გაცვლის გარიგებების (ან ერთმანეთთან დაკავშირებული ასეთი გარიგებების) შესახებ, ჩვეული საქმიანობის წარმართვის გარდა, რომელთა ღირებულებაც შეადგენს საზოგადოების ქონების საბალანსო ღირებულების ნახევარზე მეტს.

მართალია, საქმეში წარმოდგენილია სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმი, რომლის მიხედვითაც სს «ერდოს» ღირეკციას მიეცა თანხმობა მაღაზია-პავილიონი ინვენტარითურთ მიეყიდა ი. ა-შვილისათვის, მაგრამ, გადაწყვეტილება საზოგადოების ქონების ნაწილის გასხვისების თაობაზე სს «ერდოს» მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზეა მიღებული.

საერთო კრება არის სააქციო საზოგადოების მართვის უმაღლესი ორგანო, რომლის მეშვეობითაც საზოგადოების აქციონერები მისი მართვის პროცესში უშუალოდ მონაწილეობენ და თავიანთ უფლებებს ახორციელებენ. აქციონერი არის საზოგადოების პარტნიორი, რომელსაც მის საკუთრებაში არსებული ფასიანი ქაღალდის (აქციის) საფუძველზე გააჩნია გარკვეული უფლებები, ხოლო საზოგადოებას მის მიმართ – შესაბამისი ვალდებულებები. «მეწარმეთა შესახებ» კანონით დეტალურადაა მოწესრიგებული საერთო კრების მოწვევის, მასში მონაწილეობის, კრების ჩატარების, საერთო კრების გადაწყვეტილება-უნარიანობისა და სხვა საკითხები, რომელთაგან 2004 წლის 13 ოქტომბრის კრება ვერც ერთს აკმაყოფილებს – კრება ჩატარებულია სს «ერდოსში» დასაქმებული პირების და არა საზოგადოების აქციონერების მონაწილეობით. ამასთან, კრება არ იყო მოწვეული და შესაბამისი ოქმი არ ყოფილა შედგენილი კანონის მოთხოვნების დაცვით, შესაბამისად, გადაწყვეტილება სს «ერდოს» ბალანსზე რიცხული ქონების ნაწილის გასხვისების თაობაზე მიღებულია არაუფლებამოსილი სუბიექტის მიერ,

ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ნასყიდობის ხელშეკრულება დადებულია კანონის მოთხოვნით დარღვევით, რაც, სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის თანახმად, მისი ბათილად ცნობის საფუძველია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებულ დარღვევას არ აქვს ადგილი.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი არ არსებობს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

სს «ერდოსა» და ი. ა-შვილის საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 31 მარტის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელი.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **8. სააპელაციო წესით გასაჩივრებაზე უფლებამოსილი პირი**

#### **განჩინება**

#ას-8-294-08

10 დეკემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),  
თ. თოდრია (მომხსენებელი),  
რ. ნადირიანი**

**დავის საგანი:** ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება

#### **აღწერილობითი ნაწილი**

ნ. ი-ოვამ განცხადება შეიტანა სასამართლოში ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ. მან მიუთითა, რომ მარნეულის სასამართლოს 2004 წლის 14 მაისის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ა. გ-ევის სარჩელი სამკვიდრო ფლობის დადგენისა და სახლის იძულებით აუქციონზე გატანის შესახებ დაკმაყოფილდა. განმცხადებლის განმარტებით, მის მიერ მოპოვებულ იქნა მტკიცებულება, კერძოდ, მიწის საკუთრების სარეგისტრაციო მოწმობა, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მარნეულის სარეგისტრაციო სამსახურის 2006 წლის აგვისტოს წერილი, რომლის თანახმად, ნ. ი-ოვას სახელზე რეგისტრირებულია სოფელ ... მდებარე მიწის ნაკვეთი 0,176 ჰა რეგისტრაციის # 6478/2002. აღნიშნული მტკიცებულების წარდგენის შემთხვევაში სასამართლო მიიღებდა სხვაგვარ გადაწყვეტილებას. მან მოითხოვა მარნეულის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 14 მაისის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და საქმის წარმოების განახლება.

მარნეულის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 16 ოქტომბრის განჩინებით ნ. ი-ოვას განცხადება არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნულ განჩინებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა ნ. ი-ოვამ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 25 სექტემბრის განჩინებით ნ. ი-ოვას სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა - გაუქმდა მოცემულ საქმეზე მარნეულის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 16 ოქტომბრის განჩინება; ნ. ი-ოვას განცხადება, საქმის წარმოების განახლების შესახებ, საფუძვლიანობის შემოწმების მიზნით, დაუბრუნდა მარნეულის რაიონულ სასამართლოს.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ მოცემული საქმის წარმოების განახლების შესახებ ნ. ი-ოვას განცხადების ზეპირ სხდომაზე განხილვის თაობაზე არ აცნობა ა. გ-ევის, რომელიც არის მარნეულის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 14 მაისის გადაწყვეტილების მხარე, კერძოდ, მოსარჩელე. ვინაიდან იგი არ იყო მოწვეული კანონით დადგენილი წესით და სასამართლომ მის დაუსწრებლად გამოიტანა განჩინება, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის თანახმად, აღნიშნული განჩინება გამოტანილია კანონის დარღვევით.

აღნიშნულ განჩინებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა ა. გ-ევმა. მისი აზრით, არასწორია სააპელაციო სასამართლოს მითითება იმის შესახებ, რომ იგი არ ყოფილა მოწვეული მარნეულის რაიონულ სასამართლოში ნ. ი-ოვას განცხადების ზეპირ განხილვაზე და ამის გამო უნდა გაუქმდეს მარნეული რაიონული სასამართლოს 2006 წლის 16 ოქტომბრის განჩინება. ვინაიდან მას არ გაუსაჩივრებია მისი

არმოწვევის საკითხი, ამ საფუძვლით აღნიშნული განჩინების გაუქმება უკანონოა და სასამართლოს უფლება არ ჰქონდა ამ მოტივით გაუქმებინა მარნეულის რაიონული სასამართლოს განჩინება. აქედან გამომდინარე, კასატორის აზრით, სააპელაციო სასამართლოს განჩინება უნდა გაუქმდეს.

#### **სამოტივაციო ნაწილი**

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საკასაციო საჩივარს და მიაჩნია, რომ ა. გ-ევის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის «ბ» ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ სასამართლომ საქმე განიხილა ერთ-ერთი მხარის დაუსწრებლად, რომელსაც არ მიუღია შეტყობინება კანონით დადგენილი წესით.

აღნიშნული მუხლის თანახმად, სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ სასამართლომ აღნიშნული გადაწყვეტილება მიიღო ერთ-ერთი მხარის დაუსწრებლად, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ იყო მოწვეული სასამართლო პროცესზე. ასეთი გადაწყვეტილება გაუქმდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ გადაწყვეტილებას გაასაჩივრებს ის, მხარე, რომელიც არ იყო მოწვეული სასამართლო პროცესზე და რომელსაც კანონით დადგენილი წესით არ მიუღია შეტყობინება.

მოცემულ შემთხვევაში კი, როგორც სააპელაციო სასამართლო მიუთითებს, ამირ გამზიევი არ იყო მოწვეული კანონით დადგენილი წესით მარნეულის რაიონულ სასამართლოში ნ. ი-ოვას განცხადების განხილვის დროს. მას აღნიშნული განჩინება არ გაუსაჩივრებია. სააპელაციო საჩივარი შეიტანა მხოლოდ ნ. ი-ოვამ. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში არასწორია სააპელაციო სასამართლოს მითითება იმის შესახებ, რომ ვინაიდან ა. გ-ევი არ იყო მოწვეული კანონით დადგენილი წესით, მარნეულის რაიონული სასამართლოში ნ. ი-ოვას განცხადების განხილვაში, ამის გამო უნდა გაუქმდეს აღნიშნული განჩინება. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში ვინაიდან, ა. გ-ევის მიერ არ ყოფილა გასაჩივრებული მარნეულის რაიონული სასამართლოს განჩინება და მას არ გამოუთქვამს პრეტენზია იმის შესახებ, რომ იგი არ იყო მოწვეული სასამართლო პროცესში, სააპელაციო სასამართლოს უფლება არ ჰქონდა, ემსჯელა ამ საკითხზე და, შესაბამისად, ამ მოტივით გაუქმებინა მარნეულის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 16 ოქტომბრის განჩინება.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

ა. გ-ევის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

გაუქმდეს მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 25 სექტემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს შესაბამის პალატას;

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.